# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 22 მაისი 2001 №92 (1365) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიხარულის ავტობუსი ქუთაისში გაჩერდა

## ორგზის ჩემპიონ ტორპედოს იმერეთის გუბერნატორმა თასიც დაახარა

შაბათს, მეთორმეტე ეროვნულის ბოლოსწინა ტურში ქუთაისის „ტორპედომ“ ფოთის „კოლხეთს“ უმასპინძლა, 5:1 გაანადგურა და ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ვადამდე, ზედიზედ მეორედ.

...ხალხმა ტრიბუნიდან მოედანზე გადაინაცვლა, იყო სიხარული, მილოცვები, შამპანური...

ჩემპიონობას რა სჯობს, მაგრამ ძალიან მინდა, ქუთაისში საქართველოს თასიც ჩამოიტანოთო, უთქვამს ტორპედოელებისთვის გულაჩუყებულ იმერეთის გუბერნატორს. რაღა დარჩა, თასის ფინალი 26-შია და „ტორპედო“, შაშიაშვილს რომც არ ეთხოვა, სეზონში დუბლისთვის გაიბრძოლებს.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები





REUTERS

66 კგ-ის ფინალი: დავით მარგოშვილი ზემოთ კი დარჩა, მაგრამ გამარჯვება უკრაინელ რენატ მირზალიევს დარჩა

# უჩემპიონო ხუთოსნები

## ქართველ სპორტსმენებს ევროპის ჩემპიონატიდან ამდენი მედალი ჯერ არ ჩამოუტანიათ




ქართველმა ძიუდოისტებმა ევროპის ჩემპიონატი უჩემპიონოდ, მაგრამ ჩვენი სპორტისთვის ჯერ არნახული მიღწევით დაასრულეს — კონტინენტის ერთ პირველობაზე ხუთი მედლის მოპოვება აქამდე ვერავის მოეხერხებინა.

ხუთი მედლიდან ოთხი ბრინჯაოსია: შეჯიბრების პირველ დღეს მესამე ადგილებზე გასულ ივერი ჯიქურაულს (100კგ) და ალექსი დავითაშვილს (მძიმე წონა) კვირას ნესტორ ხერგიანმა (60კგ) და რამაზ ჩოჩიშვილმა (აბსოლუტური) აუბეს მხარი. პარიზიდან საქართველოში ყველაზე მაღალი ხარისხის ჯილდო, ვერცხლის მედალი 20 წლის დავით მარგოშვილს (66კგ) მოაქვს.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

## საქართველო — იტალია

# ნუ გაიოცებთ

## ოცი შეიძლება არ იყოს ოცი

**ახლოვდება** საქართველოს ნაკრების კიდევ ორი შესარჩევი მატჩი. ჩვენებურები 2 ივნისს ეროვნულ სტადიონზე ჯგუფის ლიდერ იტალიელებს უმასპინძლებენ, მეორე დღეს კი ჩარტერული რეისით ბუდაპეშტს გაფრინდებიან და 6 ივნისს „ნეპშტადიონზე" უნგრელებს დაუპირისპირდებიან.

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმაც გუშინ სწორედ ამ ორი მატჩისთვის გამოძახებული ფეხბურთელები ჩამოგვითვალა.

*მეკარეები: ირაკლი ზოიძე („ტორპედო"), დავით ხმელიძე („როსტსელმაში", რუსეთი);*

*მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი", შოტლანდია), გიორგი შაშიაშვილი („დინამო"), ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა, რევაზ ქემოკლიძე (ყველა „ტორპედო"), კახა კალაძე („მილანი", იტალია);*

*ნახევარმცველები: ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი (ორივე „სკონტო", ლატვია), გიორგი ქინქლაძე („დერბი", ინგლისი), თემურ ქეცბაია („ვულვერჰემპტონი", ინგლისი) გიორგი გახოკიძე (პსვ, ჰოლანდია), გიორგი ნემსაძე („დანდი"), მიხეილ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული (ორივე „ციურიხი", შვეიცარია);*

*თავდამსხმელები: ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი", მოსკოვი, რუსეთი), შოთა არველაძე („აიაქსი", ჰოლანდია), არჩილ არველაძე („კიოლნი", გერმანია).*

სიაში ოცი ფეხბურთელია, თუმც მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებთან მატჩამდე სულ 11 დღე დარჩა, ამ შემადგენლობაში ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი. არ არის გამორიცხული, ეროვნულ გუნდს „ვიტ ჯორჯიას" მეკარე სერგო ჭურაძე, მცველები — ედიკ საჯაია და გიორგი ჭანკოტაძე, ლევან მელქაძე, „ტორპედოს" მცველი ვალერი აბრამიძე და უგუნდოდ მყოფი მეკარე დავით გვარამაძეც დაემატონ. გვარამაძის, ჭურაძისა და ჭანკოტაძის გარდა სამივე ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებშიცაა გამოძახებულნი. დღემდე ცნობილი არ არის, 2 ივნისის მატჩისთვის ჩამოვლენ თუ არა გოჩა ჯამარაული და ზაზა ჯანაშია. ძოძუაშვილის თქმით, ორივე ფეხბურთელს მწვრთნელები და ფედერაციის ხელმძღვანელები უახლოეს დღეებში დაელაპარაკებიან, ჩვენ კი რატომღაც გვგონია, რომ ნაკრებს იტალიელებთან თამაში უამათოდ მოუწევთ. გამოძახებული არ არის ესპანეთის „სოსიედადის" ტრავმამოშუშებული ფორვარდი გიორგი დემეტრაძე, რომელმაც კვირას თითქმის ხუთთვიანი მკურნალობის შემდეგ პრიმერადივიზიონში ათიოდ წუთი ითამაშა.

ნაკრები მომზადებას თბილისში 27 მაისიდან შეუდგება. რომელ სასტუმროში დაბინავდება გუნდი, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. ვარჯიშით კი ფეხბურთელები „დინამოს" დიღმის ბაზაზე და ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ.

ახალგაზრდული ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა კი თავისი სადებიუტო მატჩისთვის 21 ფეხბურთელი გამოიძახა:

*მეკარეები: მირზა მერლანი („ვიტ ჯორჯია"), გიორგი ლომაია („ლოკომოტივი");*

*მცველები: ედიკ საჯაია, ჯაბა მუჯირი (ორივე „ვიტ ჯორჯია"), ოთარ ხიზანეიშვილი („სპარტაკი", მოსკოვი, რუსეთი), ვლადიმერ კაკაშვილი („ლოკომოტივი", მოსკოვი, რუსეთი), დავით კვირკველია („კოლხეთი"), ალექსანდრე ჩივაძე („დინამო"), ოლეგ გველესიანი („ბათუმი");*

*ნახევარმცველები: სოსო დევიძე („მერანი"), დავით დიღმელაშვილი, ლაშა ნოზაძე (ორივე „ვიტ ჯორჯია"), მალხაზ ასათიანი („ტორპედო"), ლადო ბურდული („დინამო"), ლევან გვაზავა („ზიმბრუ", მოლდოვა), ლევან კორღალიძე გივი კვარაცხელია (ორივე „სკონტო, ლატვია);*

*თავდამსხმელები: ლევან მელქაძე („ვიტ ჯორჯია"), გიორგი იმედაძე („ტორპედო"), ლადო ახალაია („ზიმბრუ"), გიორგი ადამია (თსუ)*

ვახტანგ კოპალეიშვილს შაშიაშვილისა და აბრამიძის გამოძახებაც სურს, მაგრამ, მისი თქმით, გააჩნია, ეროვნულ ნაკრებში ამათგან რომელს მიიწვევენ.

ახალგაზრდებს 28 ივნისს „ვიტ ჯორჯიასთან" აქვთ ამხანაგური მატჩი დაგეგმილი, 29-დან კი ისინი ვარჯიშსაც შეუდგებიან და საბურთალოზე, სასტუმრო „მეტროპოლში" დაბინავდებიან.

**კობა ინასარიძე**

# დანდი საჯაიას პერუჯაში გააძიძებს

**„ვიტ ჯორჯიას"** მცველმა ედიკ საჯაიამ, რომელიც ორი კვირა შოტლანდიის „დანდიში" ვარჯიშობდა და თბილისში დღეს უნდა ჩამოფრენილიყო, შესაძლოა, მომავალ სეზონში იტალიურ „პერუჯაში" ითამაშოს.

საქმე ამგვარადაა: „დანდის" იტალიელი მწვრთნელი ივანო ბონეტი საჯაიას მომზადების დონით ერთობ კმაყოფილია, დიდი სურვილიც აქვს, ჩვენებური თავისთან დაიტოვოს, მაგრამ საამისოდ ერთი რამ უშლის ხელს. ალბათ, მოგეხსენებათ, ბრიტანეთში თამაშისთვის ფეხბურთელს სამუშაო ვიზა სჭირდება, რისთვისაც აუცილებელია, მას ეროვნულ ნაკრებში მატჩების 75 პროცენტი ჰქონდეს ჩატარებული, საჯაიას კი საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ერთხელ, 9 მაისს უთამაშია აზერბაიჯანელების წინააღმდეგ. ჰოდა, ბუნებრივია, საჯაიას შოტლანდიაში თამაშის ნებას არ მისცემენ, თუმც ერთ წელიწადში მას ბონეტი ალბათ მაინც ჩაიგდებს ხელში. მომავალი სეზონის დამთავრებისთანავე ზემოხსენებული წესი ბრიტანეთში თურმე უქმდება, იქამდე კი ბონეტისა და „დანდის" მწვრთნელებს სურთ, რომ ედიკ საჯაიამ რომელიმე სხვა ევროპული ქვეყნის გუნდში ითამაშოს და „დანდის" ერთ წელიწადში შეუერთდეს.

ევროპული ქვეყნის რომელიმე გუნდი ვახსენეთ და მათ შორის, სერია A-ს „პერუჯაზე" ყოფილა ლაპარაკი. იტალიელებს საჯაიასთვის იტალია — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩისას დაუდგამთ თვალი. თანაც არ დაგავიწყდეთ, „დანდის" მწვრთნელიც იტალიელია და „ვიტ ჯორჯიაში" მისი კოლეგა ჯანი კარნევალიც, რომლის მეშვეობითაც გაემგზავრა ედიკ საჯაია „დანდიში".

„პერუჯა" ახალი სეზონისთვის მომზადებას სავარაუდოდ აგვისტოს დამდეგს შეუდგება და, როგორც ვთქვით, დიდია იმის შანსი, საჯაიამაც იტალიაში ამოყოს თავი. ყოველ შემთხვევაში, პერუჯელები ამის წინააღმდეგნი არ არიან.

**კობა ინასარიძე**

### პორტუგალია

XXXIII ტური

ამადორა 2:3 პორტუ

### ფინეთი

VII ტური

ატლანტისი 1:1 მიუპა

ინტერი 3:1 ჯაზი

---

საქართველოს უმაღლესი ლიგა

12 ჩემპიონატი

მეორე ეტაპი

## 9 ტური

## I–VI ადგილები

# დინამოს შუქმა თვალი მოსჭრა

თბილისი
19 მაისი
21 საათი
ეროვნული
1000 (ტევადობა 70 900)

**დინამო 0:1 ლოკომოტივი**

0:1 ქიქვეიშვილი (11)

**დინამო:** ხაჩირაშვილი, შაშიაშვილი, კანდელაკი, მაზიაშვილი, მანწკავა, გაბიდაური (მიკუჩაძე 69), ბურდული, ა. სახვაძე (თ. აფციაური 81), იაგორაშვილი, ზირაქიშვილი, გ. ჭ. მიქაძე

სათადარიგონი: ბათიაშვილი, სვანაძე, ჩივაძე, თუთარაშვილი, ი. შენგელია

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე, რ. ონიანი, გილაური, ქიქვეიშვილი, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი (დათვაძე 71), კაიდარაშვილი

სათადარიგონი: ასლანაძე, ბაქრაძე, გ. შენგელია, პარამონოვი, გოგნაძე, მანჯგალაძე

**გაფრთხილება:** კაიდარაშვილი, ლაცაბიძე, ხაჩირაშვილი

**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 14 |
| 1 | კუთხური | 5 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 3 | კარში დარტყმა | 5 |
| 0 | თამაშგარე | 2 |

**გიორგი დარჯანია**

**მატჩის** შემდეგ რკინიგზელთა მწვრთნელმა გივი ნოდიამ თქვა, სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში იყოო. მწვრთნელს სავსებით ვეთანხმებით, სახიფათო მომენტები ბლომად შეიქმნა და თითქოს გარდაუვალი გოლის მოლოდინში ტრიბუნებზე რამდენჯერმე ისე ამოიოხრეს...

თუმცა განვმარტოთ, რას ნიშნავს საგოლე მომენტების სიუხვე, როცა მატჩში ერთადერთი გოლი გადის. თავდამსხმელები მახვილგონივრულად უტევენ მეტოქის კარს, ხოლო მცველები და მეკარეები თავდადებით უკუაქცევენ მათ — თითქოს ამას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ცოტა სხვაგვარად იყო, უმეტეს შემთხვევებში საფრთხე სწორედ მცველთა უხეირო თამაშს მოჰყვებოდა ხოლმე. აქედან ერთი დასკვნის გამოტანაც შეგვიძლია — თუ მცველები სცოდავდნენ და ერთ გოლზე მეტი არ გავიდა, ესე იგი, თავდამსხმელთა თამაშშიც იყო წუნი, რასაც საფეხბურთო ენაზე საგოლე მომენტთა ვერგამოყენება ჰქვია.

სანამ ვერგატანილებს მივადგებოდეთ, გატანილისა ვთქვათ. დინამოელები ვერაფრით ალუდგნენ კახა გოგიჩაიშვილს, რომელმაც სახიფათო გაგრძელების მოლოდინში რამდენჯერმე ჩააწოდა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში და ერთ-ერთ პირველ ასეთ ჩაწოდებას დავით ქიქვეიშვილის ზუსტი თავური მოჰყვა.

„დინამოს" ოდნავი გააქტიურება დაახლოებით 30-ე წუთიდან დაეტყო, რაც მეტოქის მწვრთნელმაც აღნიშნა მატჩის შემდეგ, თუმცა რა ფასი აქვს გააქტიურებას კარში დარტყმის გარეშე? პირველ ტაიმში ერთადერთი მწვავე გარღვევის გარდა (რკინიგზელმა მეკარემ ბურთის ფეხით მოგერიება მოახერხა) მასპინძლებს არაფერი უქნიათ. თუნდაც სტატისტიკა მოვიშველიოთ, რომელიც გვამცნობს, რომ პირველ ტაიმში გიორგი ლომაიას ერთხელაც არ დასჭირვებია კარში დარტყმულის მოგერიება. კი, ორჯერ იყო კარს ოდნავ აცილებული ბურთი, ერთი-ორი ჩაწოდება და ის ერთი გარღვევაც, მაგრამ სერიოზული სანერვიულო ლომაიას არ ჰქონია.

სამაგიეროდ, საპირისპირო კარში ტაიმის მიწურულს კინაღამ მეორეც გავიდა. ალეკო კაიდარაშვილმა მის შესაჩერებლად გამოვარდნილ მეკარეს ბურთი გადაუგდო და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ძელს არ გაარტყამდა.

თავში რომ ვთქვით, საინტერესო თამაში იყოო, უფრო მეორე ტაიმს ეხება. აქ პრესკონფერენციაზე დინამოელთა თავკაცის გოჩა ტყებუჩავას სიტყვებიც უნდა გავიხსენოთ, „დინამო" პირველ ტაიმს ტრადიციულად სუსტად თამაშობსო.

მოკლედ, დინამოელებმა იერიშებს უხშირეს.

მეორე ტაიმის მეორე წუთი იყო, მასპინძლებმა პირველად რომ დაურტყეს ლომაიას, თუმცა ნაღდად კარგი მომენტი მოგვიანებით შექმნეს: რკინიგზელი ლაშა სალუქვაძე შეცდა — ბურთის თავისი საჯარიმოდან ამოტანა უნდოდა და ვახტანგ იაგორაშვილს კი მიუგორა. ასეთი საჩუქრის გამოუყენებლობა არ შეიძლებოდა, მაგრამ დინამოელმა, ალბათ, მოულოდნელობისგან დაბნეულმა, ააცილა.

ცოტაც და ზირაქიშვილს აეჭრა ბურთი ფეხზე, თორემ არანაკლები მომენტი ჰქონდა, რომლის შექმნაც მთლიანად ლადო ბურდულის დამსახურებაა — მარჯვენა ფლანგზე ბურთი კუთხურის ხაზამდე მიიტანა და ზირაქიშვილსაც მშვენივრად ჩააწოდა.

ბოლოსკენ, თამაშის დასრულებამდე ასე 12-13 წუთით ადრე ზირაქიშვილმა საჯარიმოს გარედან ისე ლონივრად გაისროლა, რომ ლომაიამ აღებას მოგერიება ამჯობინა და დინამოელთა იერიშით შეწუხებულმა რკინიგზელმა მცველმა ბურთს ისე ამოსცხო, მეორე იარუსზე მიუჩინა ადგილი. სხვათა შორის, როცა მეორეიარუსელმა პატარა მაყურებელმა ბურთი მინდორზე დააბრუნა, იქ უკვე სხვა ბურთით თამაშობდნენ და ერთ ხანს მოედანზე ორი ბურთი იყო, თუმცა ამას მატჩის მსვლელობისთვის არაფერი დაუშავებია.

დინამოელთა ბოლო იერიში, თამაშის გადარჩენა რომ შეეძლო, 86-ე წუთით თარიღდება. ზირაქიშვილის მშვენიერ დარტყმულს მარჯვენა „ცხრიანში" ლომაიამ უკეთესი ნახტომი შეაგება.

აი, ასე იყო მასპინძელთა იერიშების ამბავი და ორი სიტყვა არჩილ სახვაძეზეც ვთქვათ. ტრიბუნაზე ჩემი მეზობელი, რამდენჯერაც არჩილი ბურთს მიიღებდა და თავის ფლანგზე გაიჭრებოდა, იძახდა, ახლა გაახერხებს რამესო. თუმცა სახვაძემ ისე დატოვა მინდორი, განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია და გოჩა ტყებუჩავამაც აღნიშნა, უფრო ადრე უნდა შემეცვალაო. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ სახვაძისგან სხვებზე მეტს მოველოდით.

აქამდე ნაამბობიდან ისე გამოდის, თითქოს მხოლოდ „დინამო" უტევდა. ცხადია, ასე არ იყო. უბრალოდ, გოჩა ტყებუჩავას ნათქვამის დადასტურება გვსურდა. „დინამო" მეორე ტაიმს პირველზე უკეთ თამაშობსო.

„ლოკომოტივს" მეორე ტაიმის დაწყებისთანავე შეეძლო მატჩის ბედის საბოლოოდ გადაწყვეტა. გოგიჩაიშვილის დარტყმულს ჯერ მეკარე ხაჩირაშვილი გადაეფარა, დამატებაზე კი ბურთი კარის ხაზიდან გიორგი მანწკავამ თავით გამოიტანა.

მანწკავამ მატჩის მიწურულსაც იხსნა თავისიანები, როცა საჯარიმოში შეჭრილ დათო დათვაძეს არ დაარტყმევინა.

თუმცა ეს იმ იშვიათ შემთხვევათაგანი იყო, დაცვამ თავდასხმას რომ აჯობა. განსაკუთრებით სუსტად შაშიაშვილმა და მაზიაშვილმა ითამაშეს, რაც ტყებუჩავამ საგანგებოდ აღნიშნა.

მატჩის ყველაზე დრამატული მომენტი დასრულებამდე ათი წუთით ადრე შეიქმნა. მაზიაშვილი, რომელიც ვალდებული იყო, კაიდარაშვილისთვის ბურთის მიღების საშუალება არ მიეცა, რაც იოლადაც უნდა მოეხერხებინა, შეცდა და რკინიგზელს კარისკენ გზა გაეხსნა. შეცველისგან დალალატებული ხაჩირაშვილი კარიდან გამოვარდა, მეტოქეს ფეხებში ჩაუვარდა და ბურთი აართვა.

ოღონდ მის შექებას ნუ ვიჩქარებთ — მეკარემ ეს საჯარიმოს გარეთ გააკეთა. წესით და რიგით, ალექსანდრე შილაკაძეს ხაჩირაშვილი უნდა გაეძევებინა. აბა, სხვა რა სასჯელია მეკარისთვის პირისპირ დარჩენილ თავდამსხმელს საჯარიმოს გარეთ ბურთს ხელით რომ წაართმევს? მაგრამ არბიტრმა სხვაგვარად განსაჯა და ოდენ ყვითელმა ბარათმა რკინიგზელთა აღშფოთება გამოიწვია.

მატჩის შემდეგ გივი ნოდიამ მსაჯის ეს შეცდომა საგანგებოდ ახსენა და გოჩა ტყებუჩავაც ამ აზრისა იყო, ყოველ შემთხვევაში, დინამოელ მწვრთნელს მსაჯის დასაცავად არაფერი უთქვამს.

თუმცა სამართლიანობისთვის ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ ეპიზოდის გარდა არბიტრთან სასაყვედურო არავის არაფერი ჰქონია.

პრესკონფერენციის ბოლოს, რომლის ფრაგმენტებიც უკვე გაგაცანით, მეტოქეთა მწვრთნელებმა ერთმანეთს შემდგომში წარმატებები უსურვეს და სამატჩო ამბებიც ამით დასრულდა.

რაღა დავამატოთ? ალბათ ის, რომ მატჩს კარგად განათებულმა „ეროვნულმა" უმასპინძლა, თუკი ამაზე ლაპარაკი XXI საუკუნეში სირცხვილი არაა.



შაბათს ზაზა ზირაქიშვილის „დინამო" კახა ცხადაძის (მარცხნივ), აქვსენტი გილაურისა (№11) და გიორგი ლომაიას „ლოკომოტივთან" ვერას გახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი
19 მაისი
18 საათი
სინათლე
400 (ტევადობა 3 000)

**მერანი 1:3 ვიტ ჯორჯია**

0:1 გოჩაშვილი (23), 0:2 მელქაძე (63), 0:3 ყიფიანი (80) 1:3 ხუციშვილი (85)
მერანი: ნაჭყეპია, გოგიტაძე, კვეკვესკირი, დავითნიძე, გ. ილურიძე (ბაჯელიძე 58), ხუჯაძე, მუხინი (ნათობაძე 72), დევიძე, კოშკაძე, ხუციშვილი, ქადაგიძე (კრავეიშვილი 55)
სათადარიგონი: კოროშინაძე, მინაშვილი, დ. გოდერძიშვილი, სილაგავა
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, კობიშვილი, ჭანკოტაძე, იმნაძე? (ინჩკირველი), ჯ. მუჯირი, დ. დოლიძე (კვარაცხელია 77), დილმელაშვილი, ნოზაძე (ადამია 55), ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი (გიორგი ქორიძე 59), მელქაძე
სათადარიგონი: მერლანი; სულთანიშვილი, წუწუნავა, გოცირიძე
გაფრთხილება: ხუჯაძე (64), დევიძე (72)
მსაჯები: ლევან ფანიაშვილი; ზაზა მენთეშაშვილი (თბილისი), ნუგზარ რუხაიშვილი (ქუთაისი); სერგო კვარაცხელია (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 12 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 12 |
| 4 | კარში დარტყმა | 5 |
| 3 | თამაშგარე | 2 |



ვიტელმა ჯაბა მუჯირმა (შუაში) რომეო გოგიტაძეს და სოსო დევიძეს ბურთი არ დაუთმო

# იკითხეთ კლასიკა ოღონდ ნუ მიბაძავთ

**ვაჟა ხუციშვილი**

**როგორ** ფიქრობთ, ლარის კურსი უფრო მყარია თუ „მერანის" მეექვსე ადგილი პირველ ჯგუფში? პასუხი საშინლად მარტივია — „მერანის" მეექვსე ადგილი. ეს კი იმას ნიშნავს, ავჭალელებს შანსი აქვთ, მომავალ ჩემპიონატში სტაბილურობიდან კეთილდღეობისკენ იმოძრაონ, მით უმეტეს, რომ ტრანსპორტის პრობლემა ალბათ არ შეექმნებათ.

შაბათს, ბოლოსწინა ტურში „ვიტ ჯორჯია" „სინათლეს" ეწვია.

თამაშის დაწყებამდე საინტერესო ის იყო, რომ სტადიონის მომსახურე პერსონალიდან ერთ-ერთმა „სუპერთანამედროვე" ტაბლოზე დიდი გაჭირვებით მიამაგრა აბრა წარწერით — „ვიტ ჯორჯია".

ამ მატჩის შედეგს არც ერთი გუნდისთვის პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, სტუმრებმა დებიუტშივე „ფეხთ" იგდეს თამაშის სადავეები და დიდი ყინით მიუხდნენ მასპინძელთა დაცვით ჯებირებს.

თამაშის დაწყების მანიშნებელი სასტვენის ხმა ჯერ კიდევ ჰაერში ტრიალებდა, როცა გოჩაშვილმა საჯარიმოში ბურთით განმარტოება მოახერხა და ნაჭყეპიას მარჯვენა კუთხეში ძლიერად, მაგრამ არაზუსტად დაურტყა.

კარნევალის შეგირდები მოედნის ცენტრშივე იოლად აჩერხებდნენ მასპინძელთა მიერ წამოწყებული შეტევების ჩაშლას და ბურთს სწრაფად აგზავნიდნენ ყიფიანის, გოჩაშვილის და მელქაძის მისამართით.

მე-12 წუთზე ყიფიანმა ტურისტივით ჩაისეირნა მერანელთა საჯარიმოს მისადგომებთან და მეკარესთან თითქმის პირისპირ გასულმა იმდენი მოახერხა, რომ დარტყმული ნაჭყეპიამ აუღო.

გავიდა რამდენიმე წუთი და მოწამლული ბუზივით მოფარფატე მუხინმა ფინტების კასკადი წამოიწყო... საკუთარი კარიდან სამიოდე მეტრში. შეცდომა, რომელიც ბურთის დაკარგვაში გამოიხატა, ვერ გამოიყენა დოლიძემ, ვისი დარტყმულიც კარის სიახლოვეს მდგომ მისსავე თანაგუნდელს მოხვდა.

ვიტელებმა ტემპს უმატეს და 23-ე წუთზე მოედნის სიღრმიდან საჯარიმოში შეჭრილ გოჩაშვილს ბურთი მიაწოდეს. ამან კი ზუსტი დარტყმით მასპინძელთა კარი დალაშქრა.

გაშვებული გოლის შემდეგ ავჭალელებს თითქოს გონზე მოსვლა მართებდათ, მაგრამ მეტოქის კართან რეალურ საფრთხეს მაინც ვერ ქმნიდნენ, ხუციშვილი ბურთს კი იღებდა პარტნიორებისგან, მაგრამ ზურგით მდგარი საკუთარ კარს უფრო ხშირად ხედავდა, ვიდრე მეტოქისას, მცველები კი შემობრუნების საშუალებას არ აძლევდნენ.

ეტყობა, შესვენებაზე მასპინძლები მიხვდნენ, რომ ვიტელები საკუთარ კარში გოლის გატანას ნამდვილად არ აპირებდნენ და მეორე ნახევარი აქტიურად დაიწყეს.

55-ე წუთზე კრავეიშვილი მშიერი მგელივით შემოვარდა მინდორზე პასიური ქადაგიძის ნაცვლად. ორიოდ წუთში ხუციშვილისა და კოშკაძის მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ შეცვლაზე შესულმა ბურთი საჯარიმოში მიიღო, ლამაზი ფინტით მცველი ადგილზე დატოვა და მახვილი კუთხიდან დარტყმული ჭურაძემ აუღო. ცოტა ხანში მას მხარი აუბა ილურიძის შემცვლელმა ბაჯელიძემ და მერანელთა იერიშები უფრო სწრაფი და დალაგებული გახდა. სამაგიეროდ, დაცვა ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე და გოლის გატანის სურვილით შეპყრობილ მერანელებს ვიტელთა კონტრშეტევა გამოეპარათ. ამით ისარგებლა მელქაძემ და 63-ე წუთზე საჯარიმოში მიღებულ-დამუშავებულ ბურთს ნაჭყეპიას კარის ბადეში დაუდო ბინა.

მასპინძლებმა ცდა არ დააკლეს საგოლე კომბინაციის შექმნას, მაგრამ ვერა და ვერ გადიოდნენ დასარტყმელ პოზიციაზე. სულ მხოლოდ ორჯერ, კრავეიშვილმა და კოშკაძემ შეძლეს სტუმართა გოლკიპერის შეწუხება, აი გიორგი ყიფიანს კი სულაც არ დასჭირვებია მე-80 წუთზე რაიმე ორიგინალურის მოფიქრება. დაახლოებით 18-20 მეტრიდან ანგარიში გაასამა და დაასამარა მეტოქის იმედები.

ავჭალელებმა ისღა მოახერხეს, რომ თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე დავითნიძე-ბაჯელიძე-ხუციშვილის ლამაზი სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა.

ბარათაშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, უეჭველად „მერანის" გულშემატკივარი იქნებოდა და მეორე ტაიმში შედარებით აზრიანად მოთამაშე გუნდის შემხედვარეს იქნებ მის უგზო-უკვლობაზე აღარც კი ეფიქრა.

ოთარ გაბელია კი თავის ფეხბურთელებს მომავალი სეზონისთვის თუ უკეთ დააკვალიანებს, შესაბამის შედეგსაც მოიმკის.

წარვედ ავჭალას სევდიანი ფიქრთ გასართველად...

ქუთაისი
19 მაისი
18 საათი
ტორპედო
8 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 5:1 კოლხეთი**

1:0 იონანიძე (10), 2:0 აშვეთია (19), 3:0 ჯანაშია (27), 4:0 დიდავა (37), 5:0 ქობულაძე (47პ.კ.), 5:1 შალამბერიძე (87პ)
ტორპედო: ზოიძე (ტოგონიძე 46), ლევან სილაგაძე, ხვადაგიანი, დიდავა (გონჩაროვი 49), თოდუა, აბრამიძე, ქემოკლიძე, გუჩუა, იონანიძე, ჯანაშია (იმედაძე 46), აშვეთია
სათადარიგონი: მახვილაძე, ჰ. ჯინჭარაძე, გ. ბობოხიძე, ი. ვაშაკიძე
კოლხეთი: ჩემია, გოროზია, ნარსია, შალამბერიძე, ყურაშვილი (ხუჭუა 46), ვართაგავა (ქობულაძე 46), კვირკველია, შავგულიძე, ლალანიძე, მუმლაძე, წივწივაძე
სათადარიგონი: ქვაჩახია; ქანტურიძე
მსაჯები: მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)
სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 6 |
| 5 | კუთხური | 6 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 5 | კარში დარტყმა | 9 |
| 4 | თამაშგარე | 4 |



წამის შემდეგ „კოლხეთის" კარის ბადე მესამედ შეირხევა. „ტორპედო" კიდევ ორს გაიტანს და მეორედ გაჩემპიონდება

**I–VI ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 6 | 2 | 1 | 15:6 | 44 |
| ლოკომოტივი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:9 | 38 |
| დინამო | 9 | 3 | 4 | 2 | 13:9 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 34 |
| კოლხეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:19 | 23 |
| მერანი | 9 | 1 | 2 | 6 | 2:15 | 18 |

„მერან" — „კოლხეთის" მონაწილეებს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „კოლხეთს" სწორედ ამ მატჩში (4:2) მოპოვებული

**სიმბოლური ნაკრები**

ზურაბ იონანიძე — ტორპედო
ალიკო კაიდარაშვილი — ლოკომოტივი
კახა გოგიჩაიშვილი — ლოკომოტივი
გიორგი ყიფიანი — ვიტ ჯორჯია
გიორგი ანჩაბაძე — ლოკომოტივი
გივი დიდავა — ტორპედო
თენგიზ ქოჩიაშვილი — ვიტ ჯორჯია
ლევან სილაგაძე — ტორპედო
კახა ცხადაძე — ლოკომოტივი
გიორგი ბალაშვილი — ლოკომოტივი
გიორგი ლომაია — ლოკომოტივი

გუნდი: ლოკომოტივი
მწვრთნელი: გივი ნოდია

# ფინალი და დამოუკიდებლობის დღე
## რკინიგზას აქტი მოსთხოვეს

**2001 წლის 26 მაისი** — ამ დღეს საზეიმოდ გაიხსნება სტადიონი ვაკეში და საქართველოს თასის მეთერთმეტე ფინალი გაიმართება. რკინიგზის დეპარტამენტს, რომელმაც ეს კოხტა, წმინდა საფეხბურთო სარბიელიააგო, საქართველოსა და იტალიის ეროვნული ნაკრებების მატჩის ჩატარებაც სურდა 2 ივნისს 26 მაისის სახელობის სტადიონზე, თუმც ჯერჯერობით ოდენ ქართული ფინალის მასპინძლობა ერგო — მათი გუნდი „ლოკომოტივი" თასისთვის ზედიზედ მეორედ შეერკინება „ტორპედოს". ქუთაისელებმაც თანხმობა შემოთვალეს ვაკეში თამაშზე.

და კიდევ. სფფ-მ ყურად იღო „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობის თხოვნა — მატჩზე ბილეთები არ გაიყიდება. რკინიზელებს კი მანამდე ფორმალობის დაცვა დააკისრა ფედერაციამ, სტადიონის ჩაბარების აქტი უნდა წარმოადგინოთო.

**დავით თავართქილაძე**

# ფესვებს ყიფიანი მიუჩენს

**ფესვები** არა აქვს სალი ქართულ ფეხბურთს — ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების ბოლო მატჩებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ეს. ბავშვთა ლიგა და გივი ჩოხელის თასის გათამაშება თავისთავად კარგია, მაგრამ მხოლოდ ტურნირების ჩატარება ფუჭია, თუ მას სწავლა-განათლება არ უდევს საფუძვლად.

სფფ-მ ჯერ კიდევ შარშან გადაწყვიტა მწვრთნელების, მათ შორის ბავშვთა ფეხბურთში მომუშავეთა ლიცენზირება. ამ საქმისთვის გია გეგუჩაძეს უნდა ეხელმძღვანელა, მაგრამ მან ლექციების კითხვასა და დიპლომების გაცემას რუსთავის „გორდას" გაწვრთნა არჩია. გეგუჩაძემდე კი გაიოზ დარსაძის მიწვევას აპირებდნენ, თუმც მისი და სფფ-ს თანამშრომლობა არ შედგა.

გამოსავალი მაინც გამოინახა — მწვრთნელთა ლიცენზირებას სფფ-ის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის უფროსი ლევან ყიფიანი უთავკაცებს. ის 10 ივნისს კოვერჩანოში გაემგზავრება უეფას მწვრთნელთა მომზადების მორიგ სემინარზე და იტალიიდან დაბრუნების შემდეგ გაცხადდება, თუ როდის დაიწყება ლექცია-სემინარები ქართველ მწვრთნელთათვის.

ჯერ C ლიცენზიები უნდა გაიცეს იმათთვის, ვისაც ბავშვთა ფეხბურთში სურს მუშაობა, მერე კი ეროვნული ჩემპიონატის პირველი და რეგიონული ლიგების გუნდების მწვრთნელებისთვის — B ლიცენზიები. ამ ორი დიპლომისთვის საგანგებო პროგრამა უკვე შედგენილია, რომელზეც ლევან ყიფიანის გარდა გია გეგუჩაძემ და საქართველოს სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრის გამგემ, თენგიზ რატიანმა იმუშავეს. „ბავშვთა ფეხბურთში ახლა 400-მდე მწვრთნელი საქმიანობს. მათი ლიცენზირება ეტაპობრივად განხორციელდება. მთავარია, ეს პროცესი დავიწყოთ, რაც უახლოეს მომავალში მოხდება. ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება მეტ მცოდნე ხალხს მოვუყაროთ თავი. აქ იგულისხმება თანამედროვე ფეხბურთის ცოდნა. სწორედ ამიტომ გვინდა, რომ გაიოზ დარსაძე და გია გეგუჩაძეც ჩაერთონ ამ საქმეში. მოძველებულ მეთოდიკაზე უარი უნდა ვთქვათ" — გვითხრა ლევან ყიფიანმა.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე ეტაპი 12

# 10 ტური

ანონსი

# გავარდნის დღე

## I–VI ადგილები

მცხეთა. არმაზი. 23 მაისი. 18 საათი

### ვიტ ჯორჯია — დინამო

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვიტ ჯორჯია:** ქურაძე, საჯაია, ქანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, ფიფიანი, ვ. გოჩაშვილი, მელქაძე
**დინამო:** ხაჩირაშვილი, შაშიაშვილი, მაზიაშვილი, კანდელაკი, ა. სახვაძე, მაჩხ კავა, გაბიდაური, ბურდული, იაგორაშვილი, ზირაქიშვილი, მიქუჩაძე

თითქოს „დინამოს" ვერცხლი ყელზე ეკიდა, მაგრამ მეთორმეტე ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მეორედ წააგო და ბრინჯაოც სანატრელი გაუხდა. მიუხედავად ამისა, ათგზის ჩემპიონთა საქმე ჯერ ისე არ წამხდარა, რომ იმედი გადაიწურონ.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მოპოვების შანსი თითქმის თანაბარია. დავიწყოთ იმით, რომ „დინამომ" „არმაზზე" აუცილებლად უნდა მოიგოს. მაშინ მესამე ადგილს ვერავინ შეეცილება. რაც შეეხება ვიცე-ჩემპიონობას — ვაკეში „ლოკომოტივმა" ჩემპიონთან და თასის ფინალის მეტოქესთან ვერ უნდა იმარჯვოს და...

არარეალური ვარიანტი არც ერთია, თუმც ძნელად მისაღწევი რომ არის, ფაქტია. „დინამო" გულგატეხილია. „ლოკომოტივთან" მარცხმა დათრგუნა ტყებუჩავას ბიჭები.

მომხდარის ფონზე „ვიტ ჯორჯიას" ბრინჯაოს სუნი ეცა და შანსის გამოყენებას აპირებს. „მერანთან" წარმატებული თამაშის შემდეგ ვიტელთა იტალიელი თავკაცი კლუბის პრეზიდენტს მიადგა. სამდღიანი შეკრება მოითხოვა სინიორ ჯანიმ. კარნევალი ამით აღარ დაკმაყოფილდა და შოტლანდიიდან ედიკ საჯაია გამოიხმო. „დანდიში" გასინჯვაზე მყოფი საჯაია გუშინვე ედინბურგიდან ლონდონს, იქიდან კი თბილისს გადმოფრინდა. მცველი დღეს უკვე კარნევალის მითითებით ივარჯიშებს.

„დინამოსთან" მატჩისთვის ემზადება ალეკო გოგობერიშვილიც. ნახევარმცველს მამის გარდაცვალების გამო ავჭალაში არ უთამაშია. ცხადია, ბოლო ერთი კვირაც არ უვარჯიშია. დღეს კი გუნდთან ერთადაა.

ყველაფერ ზემოთქმულს თუ იმასაც დავამატებთ, რომ ვიტელთა შორის დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული არავინაა, მაშინ მცხეთაში ფიცხელ ბრძოლას უნდა ველოდოთ.

თბილისი. 26 მაისი. 23 მაისი. 18 საათი

### ლოკომოტივი — ტორპედო

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; მ. მალალურაძე (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, სალუქვაძე, ონიანი, ქიქვეიშვილი, ზ. ლაცაბიძე, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი, გილაური
**ტორპედო:** ზოიძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, თოდუა, ქემოკლიძე, დიდავა, გუჩუა, ჯანაშია, იონანიძე, აშვეთია

„ტორპედო" ჩემპიონია... ჩვენი აზრით, ღირსეულიც, მაგრამ რკინიგზელები ასე არ ფიქრობენ. კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, ქუთაისელებმა რკინიგზელებს მაინც ვერ აჯობეს და თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას ამ კვირაშივე აპირებენ.

ვინ ვის აჯობა, ამის შესახებ კამათი შეიძლება და „ტორპედოს" ბოლო ტურში განტვირთვის უფლებაც აქვს, მაგრამ პრინციპი?!

რიონისპირელთა ერთ-ერთი თავკაცი რევაზ ძოძუაშვილია, რკინიგზელთა ერთადერთი ტიტულის შემოქმედი. „ლოკომოტივში" მწარედ ახსოვთ გუნდიდან მისი წასვლა. წასვლაცაა და წასვლაც. მიხიჩა ხომ კონკურენტ „ტორპედოში" გადავიდა და ძირითადის ფეხბურთელებიც თან გაიყოლა. გუნდი დაგვიშალაო, გაიძახიან რკინიგზელები.

სწორედ ამიტომაც იქნება ვაკეში დაძაბული თამაში და კიდევ იმიტომ, რომ „ლოკომოტივს" ვერცხლი განაღდებული სულაც არა აქვს, არც თასი. „ტორპედომ" დუბლის შესრულება მწადიაო.

დღემდე უპირატესობა ქუთაისელთა მხარესაა. მეთორმეტე ჩემპიონატში ორჯერ, შინ და სტუმრად დაუმარცხებიათ მეტოქე, ერთხელაც ქუთაისში ფრე გაუჩარხავს „ლოკომოტივს".

რკინიგზელებს რევანში სწყურიათ, სხვათა შორის, რიონისპირელებსაც (შარშან თასი პენალტების სერიაში რომ დათმეს) და ვნახოთ, ვისი აჯობებს. ვინ არის ძლიერი — ახალი „ტორპედო" თუ ახალი „ლოკომოტივი"? ჩვენი აზრით, ჩემპიონმა თავისი უპირატესობა უკვე დაამტკიცა, თუმც მარილმოყრილი მადლისა არ იყოს, ალბათ, ხვალ ვაკეში წაგებას არ ინდომებს.

ფოთი. ფაზისი. 23 მაისი. 18 საათი

### კოლხეთი — მერანი

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა
**დისკვალიფიცირებული:** დევიძე (მერანი)



ხვალ მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას" ლევან მელქაძე (მარჯვნივ) დინამოელი გიორგი შაშიაშვილის ჯობნას ეცდება

## VII–XII ადგილები

თბილისი. ისანი. 22 მაისი. 18 საათი

### თსუ — ბათუმი

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
**დისკვალიფიცირებული:** ხარებავა (თსუ)

„ბათუმს" თავი ქუდში აქვს. „სიონი" გადარჩენილია. „გორდას" ნერვიულობა მაინც მოუწევს. „დილას" ბედი ბოლნისელთა ხელშია. „თსუ" კი ისეთ დღეშია, როგორც ხავსს მოჭიდებული წყალწაღებული.

რატომ, კაცო, „დილამ" რომ წააგოს, თსუ-მ რომ მოიგოს... არ შველის ამ საქმეს მარჩიელობა. „დილა", ალბათ, არ წააგებს, წარმოუდგენელია, „გორდამ" წაიფორხილოს, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, თსუ-ს ურთიერთშეხვედრებში მაინც სჯობნის. მაშ, არ ყოფილა სტუდენტების საშველი. ყველაფერი აქეთ მიდის. საგაზაფხულო გამოცდებს ვერ გაუძლეს ახალგაზრდებმა, მაგრამ ხომ შეიძლება, მოხდეს სასწაული. კი შეიძლება, თუმც ათასში ერთხელ. იმედი მაინც არის, იმედი ბოლოს კვდება.

თბილისი. შევარდენი. 22 მაისი. 18 საათი

### იბერია — გორდა

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ლ. სილაგავა (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი
**დისკვალიფიცირებულნი:** ჯელაძე, ა. ბურნაძე (გორდა)

გორი. ცენტრალური. 22 მაისი. 18 საათი

### დილა — სიონი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა
**დისკვალიფიცირებულნი:** აკოფიანი, საყვარელიძე (დილა)

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე ეტაპი 12

# 9 ტური

# სახალხო გოლი

ზესტაფონი
18 მაისი
18 საათი
მეტალურგი
2 500 (ტევადობა 10 000)

**მეტალურგი 1:0 სამგურალი**

1:0 დ. ოდიკაძე (40)
**მეტალურგი:** ნიქაბერიძე, გურეშიძე, მ. ლურსმანაშვილი, ორმოცაძე (გ. გვაზავა 58), მაღლაკელიძე, გენაძე, კაციაშვილი, ვარდიაშვილი (ფირცხალაიშვილი 43), ამაშუკელი, დ. ოდიკაძე, მემარნიშვილი
სათადარიგონი: თ. ოდიკაძე; მახათაძე, ქანკვეტაძე, კვანტრიშვილი
**სამგურალი:** ბოდოკია, ბერაძე, თირქია, ქელიძე (დ. ჯიქია 78), მ. ჯინჭარაძე, დარსაძე, კობალიანი (მ. ფუტკარაძე 67), თურმანიძე, კვერნაძე, ქუთათელაძე, ლონლაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე; ცუცქირიძე, ლ. ქობულაძე, ფრანგიშვილი, ტეხოვი
**გაფრთხილება:** თურმანიძე (17), ორმოცაძე (24), გენაძე (35), გვაზავა (79)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

**იუზა კაციტაძე ზესტაფონიდან**

ამ მატჩის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტიცაა. ბოლოსწინა ტურის წინ „მეტალურგს" სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, უმაღლეს ლიგაში მოხვედრის შანსს მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში ინარჩუნებდა, ხოლო „სამგურალი" წაგებით ამავე შანსს არ ჰკარგავდა, მაგრამ საგრძნობლად იმცირებდა; ალბათ, ამიტომაც საპირველლიგოდ დიდ აუდიტორიას მოუყარა თავი იმერულმა დერბიმ. ტრიბუნაზე სტუმართა გუნდის ქომაგთა სიმრავლე კი იმანაც განაპირობა, რომ წყალტუბოში მათთვის რამდენიმე ავტობუსი გამოიყო და მუქთად მგზავრობის მსურველიც ბევრი გაჩნდა.

თამაშს თავიდანვე დაეტყო დაძაბულობა. ჯერ იყო და მეტოქეებმა ცენტრის დასაუფლებლად გაიბრძოლეს, მაგრამ ერთმანეთი არ აზეირეს, მერე იერიშებისას გრძელ გადაცემებს მიმართეს და უცბად ორი სახიფათო მომენტიც შეიქმნა. მე-9 წუთზე კვერნაძემ მარცხენა ფლანგიდან ზუსტად მიაწოდა ბურთი ზესტაფონელთა საჯარიმოს წინ ჯაფარიძეს, რომელმაც ძლიერად დაარტყა კარისკენ, ოღონდ ოდნავ ააცილა. წუთში მასპინძელთა კაპიტანმა კაციაშვილმა მარჯვნიდან შეუტია და კარგადაც ჩაუწოდა „სამგურალის" საჯარიმოში მოპირდაპირე მხრიდან შეჭრილ გეწაძეს. თავურმაც არ დაახანა, მაგრამ ბოდოკიამ იმარჯვა და ხარიხას ქვეშიდან გამოაძრო ბურთი.

ამის შემდეგ თამაშის ტემპი რამდენადმე შენელდა, ინიციატივას კი „მეტალურგი" დაეუფლა. მასპინძლები ხშირად კი უტევდნენ, მაგრამ არც ისე მწვავედ, რომ წყალტუბოელთა დაცვისთვის პრობლემები შეექნათ. მხოლოდ 38-ე წუთზე იყო, ბოდოკიას ორმოცაძის მიერ შორიდან გასროლილზე რომ მოუხდა თავის გამოჩენა. ამ დროისთვის ზესტაფონელი გულშემატკივრები „მეტალურგის" დამრიგებელს თავდასხმის გაძლიერებას სთხოვდნენ. ვასო ჭეიშვილმაც შესვენებამდე ორი წუთით ადრე ვარდიაშვილის ნაცვლად ფირცხალაიშვილი ჩართო თამაშში და შეცვლამაც უმალ გაამართლა. კუთხურის ალა-მთან გეწაძემ ბოლომდე იბრძოლა ბურთისთვის და იმდენი მოახერხა, კარის გასწვრივ გაგზავნა, მერე ფირცხალაიშვილმა საჯარიმოსკენ სვლა დააჩქარებინა ბურთს, მეკარის ბაქნის წინ კი მას დავით ოდიკაძე დაუხვდა და ერთი შეხებით ბოდოკიასგან შორეულ მარცხენა კუთხეში მიუჩინა ადგილი.

მასპინძლები თამაშის განახლების შემდეგაც აქტიურობდნენ. საწყის შვიდ წუთში მარტო ოდიკაძეს გატანის კიდევ სამი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ორჯერ აუცდა, ერთხელაც ბოდოკიამ აუღო. წყალტუბოელები, რაღა თქმა უნდა, ანგარიშის გაქვითვას ლამობდნენ, მაგრამ ამჯერად ძალა არ ეყოთ.

ნიორი
19 მაისი
18 საათი
ძველი ანაგა
5 000 (ტევადობა 3 000)

**მილანი 0:1 გურია**

0:1 კირკიტაძე (86)
**მილანი:** გ. სომხიშვილი, ტარუღაშვილი, ლუდუშაური, კობაიძე, მეტონიძე, ვარამაშვილი, გოლეთიანი, ქყონია (გ. ჩიტაური 85), ბარამიძე (სოსელია 83), მედოევი, ტოკლიკიშვილი
სათადარიგონი: ძამუნაშვილი; მ. სომხიშვილი, ლეკიშვილი
**გურია:** დოლიძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ძნელაძე, ჯღარკავა (გ. სამხარაძე 83), სულაკაძე, განეევი, ქიქავა, ჩხეტია (კირკიტაძე 69), ვოსკანოვი, პატარაია
სათადარიგონი: შეყრილაძე; ვასაძე, ფაცურია, თ. ლორია
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი)

**ცხინვალი 3:1 შუქურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 38 |
| მილანი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:5 | 37 |
| მეტალურგი | 9 | 4 | 2 | 3 | 9:11 | 35 |
| სამგურალი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 35 |
| ცხინვალი | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | 29 |
| შუქურა | 9 | 0 | 3 | 6 | 3:16 | 23 |

**მეათე ტური**

დღეს
სამგურალი — მილანი
გურია — ცხინვალი
შუქურა — მეტალურგი

ხვალ
ხობი — ზუგდიდი
ოკეანე — თბილისი
თორი — ივერია

## ინგლისი

XXXVIII ტური

### დერბი ქაუნთი 1:1 იფსვიჩი

1:0 კრისტი (31), 1:1 ნეილორი (46)
დერბი ქაუნთი: პოომი, რიგოტი (ჯექსონი 46), კარბონარი, მავენი, დელაპი, ერანიო (ბოლდერი 86), ქინქლაძე, ჰიგინბოთემი, ბოერტიენი, კრისტი, გუდიონსონი (ევატი 78)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
იფსვიჩი: რ. რაიტი, მაკინი (უილნისი 74), მაკგრილი, ბრემბლი, ჰრეიდარსონი, ჯ. რაიტი (სკოუკროფტი 27), მეჟილტონი, ჰოლანდი, რეიზერი, მარკუს სტიუარტი (ნეილორი 42), ა. არმსტრონგი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: ჰიგინბოთემი, მეჟილტონი
33 239 მაყურებელი

### მანჩესტერ სიტი 1:2 ჩელსი

0:1 უაიზი (19), 1:1 ჰაუი (39), 1:2 ჰასელბაინკი (62)
მანჩესტერ სიტი: ნეში, ედჯილი, დანი, ჰაუი, გრენვილი, ჯეფ უიტლი (დანფილდი 32), ვოკენსი, დიკოვი, გოტიერი, ვანჩოპე, კენედი
მწვრთნელი: ჯო როილი
ჩელსი: კუდიჩინი, ბაბაიარო (პოიეტი 65), დესაი, იოკანოვიჩი, უაიზი, ლე სო, მელხიოტი (ლებეფი 81), ტერი, ჯ. მორისი (გუდიონსენი 88), ძოლა, ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: დიკოვი, გრენვილი, დანი, ვანჩოპე, უაიზი, ჰასელბაინკი
34 479 მაყურებელი

### ჩარლტონი 0:4 ლივერპული

0:1 ფაულერი (55), 0:2 მერფი (61), 0:3 ფაულერი (71), 0:4 ოუენი (80)
ჩარლტონი: ილიჩი, ფიში, ტოდი (კონჩესკი 73), უეინ ბრაუნი, კ. პაუელი, ნიუტონი (პარკერი 65), კინსელა, იენსენი, გ. სტიუარტი, სვენსონი (იოჰანსონი 59), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კურბიშლი
ლივერპული: ვესტერველდი, ვინალი, ბაბელი, ჰიიპია, კარაგერი, ბარმბი (მერფი 54), მაკალისტერი, ჯერარდი, ბერგერი (ჰესკი 89), ფაულერი, ოუენი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ილიჩი, ჯერარდი
20 043 მაყურებელი

### ქოვენთრი 0:0 ბრედფორდი

ქოვენთრი: კირკლენდი, ედვორთი, შოუ, პ. უილიამსი (დევენპორტი 46), ბ. ქუინი, ჩიპო (ბოტროიდი 78), სტრაჩანი (ბეტსი 88), კარსლი, ჰაჯი, ჰარტსონი, ზუნიგა
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ბრედფორდი: დევისონი, ნოლანი (კერი 83), მიერსი, ჰალე, ჯეკობსი, ლოკი, მაკკოლი, უოლი, რ. ბლეიქი (გრანტი 78), უორდი, კარბონე
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
გაფრთხილება: ჩიპო, მიერსი
20 299 მაყურებელი

### ევერტონი 2:2 სანდერლენდი

1:0 ტალი (10), 1:1 ფილიპსი (21), 2:1 ბოლი (77პ), 2:2 ფილიპსი (83)
ევერტონი: ჟერარი, ვეირი, ბოლი, ანსუორთი, უოტსონი, ნეისმიტი, ჯემილი, გრავესენი (ალექსანდერსონი 80), პემბრიჯი, კ. კემბელი, ტალი (კადამარტერი 80)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
სანდერლენდი: სორენსენი, არკა (ჰათჩისონი 46), კარტერონი, გრეი (დ. უილიამსი 68), ტომე, კრადოკი, მაკკენი, შვარცი, კილბეინი, ფილიპსი, ნ. ქუინი (კილე 68)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ვეირი, უოტსონი, ტალი, გრავესენი, ჟერარი, კილბეინი, კრადოკი, შვარცი
გაძევება: ჰათჩისონი (64)
37 444 მაყურებელი

### ლიდსი 3:1 ლესტერი

1:0 სმიტი (27), 1:1 ფერდინანდი (32ს.კ.), 2:1 ჰარტი (77), 3:1 სმიტი (90)
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, დაკური (უილკოქსი 69), კიუელი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ლესტერი: ფლაუერსი, იმპი (ე. ოუქსი 51), როუეტი, მარშალი, ფ. სინკლერი, სევიჯი, ლუისი, დავიდსონი, მ. ჯოუნსი (დ. დილანი 78), სტარიჯი (ბენჯამინი 66), აკინბაი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: დაკური, ბოიერი, ბაკე, დავიდსონი, ბენჯამინი, სინკლერი, სევიჯი
39 105 მაყურებელი

### მიდლსბრო 2:1 ვესტ ჰემი

1:0 ჟობი (21), 1:1 ტოდოროვი (31), 2:1 კარამბუ (45)
მიდლსბრო: შვარცერი, გევინი, ეჰიოგუ, ვიკერსი, კუპერი, კარამბუ (ჰადსონი 89), ოკონი, ინსი, მარინელი (დინი 38), ჟობი, უინდასი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, ფოქსი, შემელი, მინტო (მაკკანი 89), სონგი, ჯ. კოული, კარიკი, დეილი, კანო, ტოდოროვი (დეფო 68)
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
33 057 მაყურებელი

### ნიუკასლი 3:0 ასტონ ვილა

1:0 გლასი (9), 2:0 კორტი (13), 3:0 დილანი (74ს.კ.)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ობრაიენი, დაბიზასი, ა. ჰიუზი, სოლანო (ლუა ლუა 85), ბასედასი, სპიდი, გლასი (ქ. ქუინი 78), გალაჰერი (ამეობი 71), კორტი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. დილანი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ალფაი, ლ. ჰენდრი, ტეილორი, ჟინოლა (ბოატენგი 42), მერსონი, პაბლო ანჯელი (სტოუნი 64), ვასელი (დაბლინი 46)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: დილანი, ჟინოლა, საუთგეიტი, ბოატენგი, ალფაი
გაძევება: სპიდი (84), ტეილორი (84)
51 506 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 3:2 არსენალი

0:1 კოული (28), 1:1 კაჩლული (46), 1:2 ლიუნგბერგი (54), 2:2 კაჩლული (61), 3:2 ლე ტისიე (89)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, მონკი (ელ ხალეჯი 74), ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბრიჯი, ტესემი, მარსდენი, კაჩლული (ბენალი 81), პახარსი, კ. დევისი (ლე ტისიე 74), ბიტი
მწვრთნელი: სტიუარტ გრეი
არსენალი: მანინგერი, გრიმანდი, კიოუნი, ადამსი, ეშლი კოული, პირესი (აშსონი 85), ვიეირა, პარლოუ, ლიუნგბერგი (ედუ 73), ანრი, ბერხკამპი (კანუ 34)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: დევისი, ვიეირა, კოული
15 252 მაყურებელი

### ტოტენჰემი 3:1 მანჩესტერ იუნ.

1:0 კორსტენი (17), 1:1 სქოულზი (22), 2:1 კორსტენი (67), 3:1 ფერდინანდი (75)
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, გარდნერი (პერი 15), დოჰერტი, იანგი, ლეონარდსენი, კლემენსი, ეზერინგტონი (პირსი 84), ს. დევისი, ლ. ფერდინანდი, კორსტენი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მანჩესტერ იუნ: ვან დერ გოუ, ირვინი (ჯორდიჩი 77), მეი, იონსენი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ბათი, სქოულზი, გიგზი, ენდი კოული, შერინგემი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ირვინი, ბათი
36 072 მაყურებელი

# ლივერპული იგებს და იღებს




REUTERS ლონდონიდან

ჩარლტონი — ლივერპული. „ლივერპული“ დაფრინავს, ლივერპული არ დადის

ეს „ლივერპულის“ კვირეულია. კვირეული კი არა, სეზონიც „ლივერპულისაა“, თუმცა ინგლისის ჩემპიონი კარგახანია „მანჩესტერ იუნაიტედია“. ბოლო რვა დღეში „ლივერპულმა“ სამი გადამწყვეტი მატჩი ითამაშა და სამივე მოიგო. შიდა და ევროპის თასების „ენფილდზე“ დამბინავებელი გუნდი შაბათს, პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში კიდევ ერთი ფინალის სათამაშოდ გავიდა.

მერსისაიდელთა მენეჯერმა ჟერარ ულიემ ამ ბოლო, გასვლით მატჩს ჩარლტონში ფინალი უწოდა, რადგან „ლივერპულს“ აუცილებლად მოგებით უნდა დაესრულებინა პრემიერლიგა, რათა ახალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო საგზური მიეღო. ამავე დღეს „ლიდსი“ „ლესტერს“ ხვდებოდა და „ლივერპულის“ ვერგამარჯვების და ლესტერელთა დამარცხების შემთხვევაში თავად ეპატრონებოდა ამ საგზურს.

ტრილერი გათამაშდა და ვერც გათამაშდა. სანამ ლიდსსა და ჩარლტონში ფრე იყო, დიახაც, დიდი დაძაბულობის სუნი ტრიალებდა, მაგრამ როცა იან ჰარტმა საუცხოო ჯარიმით გატეხა „ლესტერი“, ჩარლტონში უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი აღმოჩნდა. „ლივერპულს“ ნანატრი საგზური ხელში ეჭირა და აღარ გაუშვებდა.

„ჩარლტონ“ — „ლივერპული“ უცნაური და თვალსასეირო თამაში იყო. ერთი, რომ „ჩარლტონი“ ძალიან იშვიათად აგებს მშობლიურ „ველიზე“ და მეორეც „ლივერპულის“ ბოლო თვის გმირი — ნახევარდაცვა მოქანცული ჩანდა. ის რაც ამ შეხვედრის პირველ ნახევარში ჩაიდინა სანდერ ვესტერფელდმა სულაც არ ჰგავდა იმას, რასაც ეს მეკარე ორი დღით ადრე სჩადიოდა დორტმუნდის მინდორზე. სტუმართა კარის დარაჯმა აიღო საერთოდ ყველაფერი, რაც მისი კარისკენ გაგზავნეს მასპინძელთა სკანდინავიელებმა. ეს არ გახლდათ იოლი ბურთები, სამი ამათგანი ნაღდად საგოლედ იყო დარტყმული, რაც ვერ აიღო ვესტერფელდმა და ძელს მოხვდა. პირველი ტაიმი თავიდან ბოლომდე „ჩარლტონისა“ იყო, მეორედან კი სტუმართა ნახევარდაცვას დასვენებული მუშები, ნიკ ბარმბი და ლენი მერფი შეემატნენ.

მეორე ტაიმში „ჩარლტონი“ აღარ იყო: რობი ფაულერმა, რომელიც კართან ზურგით იდგა მოთამაშეთა ჯგროდან ავარდნილ ბურთს რბილად ამოჰკრა და ბურთი ნელ-ნელა ჩაუშვა მასპინძელთა კარის შორეულ კუთხეში. ამ დროს მაიკლ ოუენი ჰაერში თამაშგარეში იყო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. „ლივერპული“ დაწინაურდა და სულ მალე მარქაფმაც იმუშავა — მერფი ორ ჩარლტონელ მცველს აერიდა და დაბალი ბურთი გაუშვა ახლო კუთხეში — 2:0. მასპინძელთა განადგურება დაწყებული იყო და ბოლომდეც იოლად მივიდა. ფაულერმა ჩვეულ სტილში შეაგდო მესამე, ბოლოს კი ოუენმა დასაჯა დაბნეული ჩარლტონელი მცველები. 4:0 ეგებ არც იყო ამ შეხვედრის ყველაზე მოსალოდნელი შედეგი, თუმცა, რაც მოსალოდნელი იყო, ის მაინც აღსრულდა — „ლივერპულმა“ ნაბიჯი გადადგა ყველაზე დიდი საკლუბო შეჯიბრისკენ.

ამასობაში „ლიდსმა“ საბოლოოდ გატეხა „ლესტერი“ და 3:1 მოუგო. ასეთივე ანგარიშით „ტოტენჰემმა“ ჩემპიონი „მანჩესტერი“ დაამარცხა „ვაით ჰართ ლეინზე“. მანჩესტერელთა რიგებში მავანი გორან ჯორჯიჩი გამოჩნდა, სწორედ ის, შუა კვირაში „სელტიკს“ რომ გაუტანა გოლი ამხანაგურ მატჩში. სხვაფრივ, მოულოდნელი არაფერი ყოფილა — ერთი თვეა ალექს ფერგიუსონის გუნდი აღარც კი იღებს ოფლს, თუმცა მენეჯერი მეტად წუხს ამის გამო. მანჩესტერელთა რიგებში გამოჩნდა აგრეთვე ორი წლის დაკარგული დევიდ მეი.

არაფრის შემცვლელი იყო თამაში საუთჰემპტონში „არსენალისთვისაც“. თუმცა ბრძოლა ფიცხელი გამოდგა და სამხრეთელთა ლეგენდამ, მეტ ლეტისიემ, რომელსაც მთელი წელიწადი არ უთამაშია, გამარჯვების გოლი შეაგდო. გიო ქინქლაძის პასის შემდეგ დალაშქრა „იფსვიჩის“ კარი მალკოლმ კრისტიმ, თუმცა „დერბიმ“ მაინც ვერ მოიგო. „იფსვიჩი“ კი „ლიდსსა“ და „ჩელსის“ შეუამხანაგდება საგაისო უეფას თასზე.

გავარდნილები ადრევე ვიცოდით, ჩემპიონიც და მეორეადგილოსანიც.

პრემიერლიგა დასრულდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ჯიმი ჰასელბაინკი (ჩელსი) | 23 |
| მარკუს სტიუარტი (იფსვიჩი) | 19 |
| ტიერი ანრი (არსენალი) | 17 |
| მარკ ვიდუკა (ლიდსი) | 17 |
| მაიკლ ოუენი (ლივერპული) | 16 |
| ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნ.) | 15 |
| ემილ ჰესკი (ლივერპული) | 14 |
| კევინ ფილიპსი (სანდერლენდი) | 14 |
| ალენ ბოკშიჩი (მიდლსბრო) | 12 |




REUTERS ლონდონიდან

ლიდსი — ლესტერი. ალან სმიტის ნაღდად ლიდსური გოლი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერ იუნ. | 38 | 24 | 8 | 6 | 79:31 | 48 | 80 | 19 | 15 | 2 | 2 | 49:12 | 37 | 47 | 19 | 9 | 6 | 4 | 30:19 | 11 | 33 |
| 2 არსენალი | 38 | 20 | 10 | 8 | 63:38 | 25 | 70 | 19 | 15 | 3 | 1 | 45:13 | 32 | 48 | 19 | 5 | 7 | 7 | 18:25 | -7 | 22 |
| 3 ლივერპული | 38 | 20 | 9 | 9 | 71:39 | 32 | 69 | 19 | 13 | 4 | 2 | 40:14 | 26 | 43 | 19 | 7 | 5 | 7 | 31:25 | 6 | 26 |
| 4 ლიდსი | 38 | 20 | 8 | 10 | 64:43 | 21 | 68 | 19 | 11 | 3 | 5 | 36:21 | 15 | 36 | 19 | 9 | 5 | 5 | 28:22 | 6 | 32 |
| 5 იფსვიჩი | 38 | 20 | 6 | 12 | 57:42 | 15 | 66 | 19 | 11 | 5 | 3 | 31:15 | 16 | 38 | 19 | 9 | 1 | 9 | 26:27 | -1 | 28 |
| 6 ჩელსი | 38 | 17 | 10 | 11 | 68:45 | 23 | 61 | 19 | 13 | 3 | 3 | 44:20 | 24 | 42 | 19 | 4 | 7 | 8 | 24:25 | -1 | 19 |
| 7 სანდერლენდი | 38 | 15 | 12 | 11 | 46:41 | 5 | 57 | 19 | 9 | 7 | 3 | 24:16 | 8 | 34 | 19 | 6 | 5 | 8 | 22:25 | -3 | 23 |
| 8 ასტონ ვილა | 38 | 13 | 15 | 10 | 46:43 | 3 | 54 | 19 | 8 | 8 | 3 | 27:20 | 7 | 32 | 19 | 5 | 7 | 7 | 19:23 | -4 | 22 |
| 9 ჩარლტონი | 38 | 14 | 10 | 14 | 50:57 | -7 | 52 | 19 | 11 | 5 | 3 | 31:19 | 12 | 38 | 19 | 3 | 5 | 11 | 19:38 | -19 | 14 |
| 10 საუთჰემპტონი | 38 | 14 | 10 | 14 | 40:48 | -8 | 52 | 19 | 11 | 2 | 6 | 27:22 | 5 | 35 | 19 | 3 | 8 | 8 | 13:26 | -13 | 17 |
| 11 ნიუკასლი | 38 | 14 | 9 | 15 | 44:50 | -6 | 51 | 19 | 10 | 4 | 5 | 26:17 | 9 | 34 | 19 | 4 | 5 | 10 | 18:33 | -15 | 17 |
| 12 ტოტენჰემი | 38 | 13 | 10 | 15 | 47:54 | -7 | 49 | 19 | 11 | 6 | 2 | 31:16 | 15 | 39 | 19 | 2 | 4 | 13 | 16:38 | -22 | 10 |
| 13 ლესტერი | 38 | 14 | 6 | 18 | 39:51 | -12 | 48 | 19 | 10 | 4 | 5 | 28:23 | 5 | 34 | 19 | 4 | 2 | 13 | 11:28 | -17 | 14 |
| 14 მიდლსბრო | 38 | 9 | 15 | 14 | 44:44 | 0 | 42 | 19 | 4 | 7 | 8 | 18:23 | -5 | 19 | 19 | 5 | 8 | 6 | 26:21 | 5 | 23 |
| 15 ვესტ ჰემი | 38 | 10 | 12 | 16 | 45:50 | -5 | 42 | 19 | 6 | 6 | 7 | 24:20 | 4 | 24 | 19 | 4 | 6 | 9 | 21:30 | -9 | 18 |
| 16 ევერტონი | 38 | 11 | 9 | 18 | 45:59 | -14 | 42 | 19 | 6 | 8 | 5 | 29:27 | 2 | 26 | 19 | 5 | 1 | 13 | 16:32 | -16 | 16 |
| 17 დერბი ქაუნთი | 38 | 10 | 12 | 16 | 37:59 | -22 | 42 | 19 | 8 | 7 | 4 | 23:24 | -1 | 31 | 19 | 2 | 5 | 12 | 14:35 | -21 | 11 |
| *18 მანჩესტერ სიტი* | *38* | *8* | *10* | *20* | *41:65* | *-24* | *34* | *19* | *4* | *3* | *12* | *20:31* | *-11* | *15* | *19* | *4* | *7* | *8* | *21:34* | *-13* | *19* |
| *19 ქოვენთრი* | *38* | *8* | *10* | *20* | *36:63* | *-27* | *34* | *19* | *4* | *7* | *8* | *14:23* | *-9* | *19* | *19* | *4* | *3* | *12* | *22:40* | *-18* | *15* |
| *20 ბრედფორდი* | *38* | *5* | *11* | *22* | *30:70* | *-40* | *26* | *19* | *4* | *7* | *8* | *20:29* | *-9* | *19* | *19* | *1* | *4* | *14* | *10:41* | *-31* | *7* |

# ბაიერნის მერვე საოცრება
# შალკეს 4 და 0

## გერმანია

XXXIV ტური

### ფრაიბურგი 4:1 ვოლფსბურგი

1:0 რამდანე (5), 2:0 კობიაშვილი (36პ), 3:0, 4:0 კულიბალი (51, 54), 4:1 მარიჩი (90)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, დიარა, კელი, ჟილი (კოლი 59), კულიბალი, ა. ცაიერი, კობიაშვილი (ზანდი 60), ვ. ბუტი, რამდანე (ვაისჰაუპტი 78), ტანკო
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, შნური, გრეინერი (იფეიაჩუა 46), პენგენი, დ. მუნტიანუ (ბარნორი 46), კუპპაუერი, ს. მიულერი, სებესკენი, იუსკოვიაკი (მალტრიცი 59), ტ. მარიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: დიარა, ცაიერი, მიულერი, კუპპაუერი, მუნტიანუ
25 000 მაყურებელი

### დორტმუნდი 3:3 კიოლნი

1:0 სტევიჩი (21), 1:1 დედე (28ს.კ.), 1:2 კრიიცი (35), 2:2 რეინა (49), 2:3 კრიიცი (82), 3:3 ბობიჩი (89)
სტევიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (53, მეკარე)
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, კოლერი, სტევიჩი, ჰაინრიხი, ევანილსონი (სორენსენი 64), დედე, რიკენი (ნერლინგერი 84), როსიცკი, რეინა, ადო (ბობიჩი 67)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
კიოლნი: პრიოლი, ჩიკონი, კულმანი, სიხონე, კელერი (ვოიგტი 81), ქივიორი, შპრინგერი, შერცი, ლოტნერი (კურტი 85), კრიიცი, ბარანეკი
მწვრთნელი: ევალდ ლიენენი
გაფრთხილება: სტევიჩი, შპრინგერი, შერცი, სიხონე, ქივიორი
გაძევება: ჰაინრიხი (73)
68 600 მაყურებელი

### ჰამბურგი 1:1 ბაიერნი

1:0 ბარბარესი (90), 1:1 ანდერსონი (90)
ჰამბურგი: შობერი, ჰოოგმა, პრჩი, იუფდალუში, ჰოლერბახი, ტოფტინგი, კინცი (ბესტერი 77), ჰაინცი, მაჰდავიკია (ფიშერი 90), პრეგერი (ილმაზი 77), ბარბარესი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ბაიერნი: კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, შოლი (პაულო სერჯიო 68), ეფენბერგი, ელბერი (სანტა კრუზი 88), იანკერი (ციკლერი 77)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ჰაინცი, პრჩი, ჰოლერბახი, ტოფტინგი, შოლი, კუფური
55 280 მაყურებელი

### შალკე 5:3 უნტერჰახინგი

0:1 ბრაიტენრაიტერი (3), 0:2 შპიზაკი (26), 1:2 ვან კერკჰოვენი (44), 2:2 ასამოა (45), 2:3 ზაიფერტი (69), 3:3, 4:3 ბიომე (73, 74), 5:3 სანდი (89)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი (კამფუისი 29), ვან კერკჰოვენი (ბიუსკენსი 68), ვან ჰუგდალემი, ნემეცი (ტონი 72), ასამოა, ბიომე, მიოლერი, მპენზა, სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, გრასოვი, ზაიფერტი, შვარცი (ობერლაიტნერი 79), ჰაბერი, ჰირში, ციმერმანი, ჩიჟეკი, ბრაიტენრაიტერი (აჰინფულა 79), შპიზაკი (რაკლი 68)
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კოსტნერი
გაფრთხილება: ბიომე, ასამოა, გრასოვი, ჰირში, აჰინფულა
65 000 მაყურებელი

### კაიზერსლაუტერნი 0:1 ჰერტა

0:1 ალვეში (47)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, კომლიენოვიჩი, ჰ. კოხი, შიონბერგი, რამზი (რატინიო 59), გრამოცისი, შტრასერი, ბუკი, ჯორკაეფი (ბიელიცა 73), ლოკვენცი (პეტერსონი 79), კლოზე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
ჰერტა: კირალი, შმიდტი, ვან ბურიკი, სვერისონი, მაასი, დარდაი, ჰარტმანი, რემერი, დაისლერი (ტრეჩოკი 88), ალვეში (დაეი 90), პრეცი (კონსტანტინიდისი 79)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ლოკვენცი, ბუკი, გ. კოხი, დაისლერი, მაასი, ჰარტმანი
41 500 მაყურებელი

### ლევერკუზენი 1:0 ბოხუმი

1:0 ნოიფილი (21)
ლევერკუზენი: იურიჩი, ლუსიო (ვრანიეში 85), ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ფიუკოვიჩი, პლასენტე, რამელო, ბალაკი (ბ. შნაიდერი 80), ნოიფილი, რინკე (ბრდარიჩი 58), კირსტენი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი



ჰამბურგი — ბაიერნი. პატრიკ ანდერსონის (№5) საჩემპიონო გოლი

ბოხუმი: ვან დუინოვენი, შტიკროტი, ფარენჰორსტი, შრიოდერი, ტომლაკი, კოლდინგი, სკრაიბერი, მამიჩი (ვანდერი 73), რაისი, ბალუშინსკი (ლუსტი 73), კრისტიანსენი (დრინჩიჩი 63)
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
გაფრთხილება: ბალაკი, რამელო, შრიოდერი, სკრაიბერი
გაძევება: ვან დუინოვენი (72)
22 500 მაყურებელი

### ვერდერი 3:0 ჰანზა

1:0 აილტონი (31), 2:0 კრსტაიჩი (43), 3:0 ბაუმანი (87)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი (ტრარესი 52), კრსტაიჩი, ფრინგსი, აილტსი, ფ. ერნსტი, სტალტერი, ა. ჰერცოგი, აილტონი, პიზარო
მწვრთნელი: თომას შააფი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, იაკობსონი, ოსვალდი, რიდლევიჩი, ლანცი, ლანგე, ბაუმგარტი (არვიდსონი 46), ბრანდი (ვაილანდტი 88), მაიაკი (კოვაჩიჩი 88), აგალი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ბაუმგარტი, რიდლევიჩი, აგალი, ლანგე, ლანცი, პიზარო
გაძევება: პიზარო (90), ბენკენი (90)
36 000 მაყურებელი

### მიუნხენი 0:1 კოტბუსი

0:1 ლაბაკი (25)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ვოტავა, ტ. ჰოფმანი, რისეტი, ბორიმიროვი, ტაპალოვიჩი, ტისი, მაურერი, ჰესლერი, ვინკლერი, ბაიერლე
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ჰუჯოროვიჩი, ვატა, აკრაპოვიჩი, რეგეკამპფი, ლატუნდი (რიოდლუნდი 31; სკერბე 70), მირიუტა, კობილანსკი (მატიუში 69), ლაბაკი, ჰელბიგი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ბორიმიროვი, ტაპალოვიჩი, ტისი, ვატა
28 700 მაყურებელი

### აინტრახტი 2:1 შტუტგარტი

1:0 კრიცალოვიჩი (16), 2:0 გუიე-მიენი (45), 2:1 დანდი (62)
აინტრახტი: ჰაინენი, ვიმერი, ბერნსტეინი, კრახტი, მუტცელი, პრეისი, გემიტი (ლიოში 70), გუიე-მიენი, ჰელდტი (სტრააიტი 60), რაიხენბერგერი (ჯონსი 81), კრიცალოვიჩი
მწვრთნელი: ფრიდელ რაუში
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მარკეში, ბორდონი, სოლდო, კარნელი (ტიამი 46), ჰინკელი, მაისნერი (ტაიფერტი 76), ვენცელი, ბალაკოვი, დანდი, ადემარი (განეა 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
34 000 მაყურებელი

**ეს იყო** ყველაზე დაძაბული, ემოციური და გიჟური ფინალი ბუნდესლიგის ისტორიაში: შაბათს „შალკე" ჩემპიონი გახდა, თუმცა მხოლოდ ოთხი წუთით. ამ ოთხ წუთში გელზენკირხენის „პარკშტადიონის" მინდორს გახარებული ქომაგები შეესივნენ, მათ მოედნის საფარი ნაწილებად აქციეს, კარს ბადე ჩამოახიეს, სამახსოვროდ უნდოდათ. შალკელები სიხარულისგან ცეკვავდნენ და საჩემპიონო სინის (ასლის) ალსამართად ემზადებოდნენ... სინი, თანაც ნაღდი, ჰამბურგში მიუნხენის „ბაიერნმა" ალმართა. ეს მართლაც სასწაული იყო, სასწაული, რომელიც ძალიან იშვიათად ხდება და თუ ხდება, აუცილებლად გერმანული გუნდის (ან გუნდების) მონაწილეობით.

ძნელია იმ ემოციების კალმით ან სიტყვით გადმოცემა, რომელიც შაბათს გელზენკირხენსა და ჰამბურგში სუფევდა. „შალკემ" ბოლო ტურში „უნტერჰახინგს" უმასპინძლა და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ 0:2-ს აგებდა, მერე 2:3-ს, მაინც მოიგო. თამაში რამდენიმე წამის დასრულებული იყო, „პარკშტადიონი" რომ კინაღამ დაინგრა — ჰამბურგიდან ბარბარესის გოლის ამბავი მოვიდა. ეს გელზენკირხენელთა ჩემპიონობას ნიშნავდა. ქომაგები მინდორზე შეცვივდნენ, ფეხბურთელებს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ტაბლოს ცოტა თუ უყურებდა — იქ „ჰამბურგი" — „ბაიერნის" შეხვედრის ბოლო წამებს უჩვენებდნენ...

და უცებ „პარკშტადიონი" დადუმდა, ცოტა ხანში სამგლოვიარო მუსიკა გაისმა და სტადიონზე შეკრებილი 65 ათასი გულშემატკივარი „შალკესთან" ერთად ატირდა. გელზენკირხენში 4 წუთის წინ მოპოვებული ჩემპიონობის დაკარგვას მისტიროდნენ — „ბაიერნმა" ჰამბურგში ანგარიში გაათანაბრა.

„ თქვენ არ ჩაგისვრიათ, ნამდვილი „შალკე" ხართ. ჩვენ ვამაყობთ თქვენით და თქვენთან ერთად ვტირით — წერდა გუშინწინ „ბილდ ამ ზონთაგი". „ჩასვრილები" კი სტევენსის გუნდს წინა ტურში „შტუტგარტთან" სამარცხვინო თამაშის გამო შეარქვეს გერმანიაში, აქაოდა, ფეხები უკანკალებდათო.

„ბაიერნს" რომ დღეს ჩვეულებრივ მოეგო, ასე არ განვიცდიდით, მაგრამ ამის გადატანა ძალიან ძნელია, რატომ გაგვწირა ასე ღმერთმა" — სტევენსი ამ სიტყვებს რომ ამბობდა, თან ცრემლს იწმენდდა.

მიუნხენელებმა კი ჰამბურგში დიდი გმირობა ჩაიდინეს. „შალკეს" ჩემპიონს მე გავხდი" — დაიმუქრა მატჩამდე „ჰამბურგის" გოლეადორი სერგეი ბარბარესი, რომელსაც დანაპირების ასრულებაში თანაგუნდელმა მეკარე შობერმა შეუშალა ხელი. ბოლო წუთი იწურებოდა, ბარბარესმა რომ თავურით ანგარიში გახსნა და ბავარიელები შოკში ჩაავდო. ყველაზე მალე ოლივერ კანი მოეგო გონს, თანაგუნდელებს შეუძახა, გამოაფხიზლა და...

94-ე წუთზე იუჟფალუშმა ორთაბრძოლისას მეკარეს დაუბრუნა ბურთი, ტრამვირებული ჰანს-იორგ ბუტის ნაცვლად მოთამაშე შობერმა კი ფეხით მოგერიების ნაცვლად ხელში აიღო იგი და მსაჯმაც თავისუფალი დანიშნა. „ათიდან ცხრა მსაჯი ასე არ მოიქცეოდა" — განაცხადა სტევენსმა. დასარტყმელად ანდერსონი და ეფენბერგი მოემზადნენ.

„შტეფანმა მითხრა, შენ დაარტყი, ოღონდ ისე, რომ გაიტანოო. მეც ვემზადებოდი, ვიცოდი, ბურთი ბადეში უნდა გამეხვია, სულ ერთია, როგორ. ცოცხალ კედელში ხვრელი არ შემინიშნავს, ალალბედზე დავარტყი. მერე კი მახსოვს, მთელი გუნდი თავზე დამემხო, ახლაც ყველაფერი მტკივა" — იხსენებს ანდერსონი, ფეხბურთელი, რომელმაც წლეულს პირველი ბურთი გაიტანა, მაგრამ ისეთი, „შალკეს" ლიდერ სანდის 22 გოლს გადაწონის. „ჩვენი ჩემპიონობა მსოფლიოს მერვე საოცრებაა" — აღნიშნა ნამატჩევს „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა.

მართალია, წლეულს „შალკეს" ასეთ შედეგს არავინ ელოდა, მაგრამ ჩემპიონატის მთავარ სენსაციად აქ მაინც „ფრაიბურგის" თამაშს მიიჩნევენ. ფოლკერ ფინკეს გუნდს დაქვეითებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ უეფას თასის საგზური მოიპოვა. ფრაიბურგელებმა შაბათს „ვოლფსბურგს" ადინეს ბდღვირი. ამაში თავისი წვლილი ლევან კობიაშვილმაც შეიტანა, რომელმაც 35-ე წუთზე პენალტი გამოიყენა და სეზონში მეშვიდე გოლი გაიტანა. ქართველი მცველის გოლამდე რამდანემ მოასწრო ანგარიშის გახსნა. მეორე ნახევარში კულიბალიმ დუბლი შეასრულა, მარიჩმა კი ანგარიში უბრალოდ გაალამაზა.

ამ მატჩში აღსანიშნავი სხვაც იყო: ათწლიანი სამსახურის მერე „ფრაიბურგს" გამოეთხოვა რალფ კოლი, 35 წლის მცველმა საფეხბურთო კარიერის დასრულება გადაწყვიტა და ამიერიდან მეორე გუნდში იმუშავებს.

ფრაიბურგელთა მსგავსად, [illegible] თასზე ითამაშებს ბერლინის „ჰერტაც", რომელმაც სტუმრად „კაიზერსლაუტერნი" ალვეშის გოლით დაამარცხა. „ჰერტას" [illegible] მაშა, „ლევერკუზენის" [illegible] „ბოხუმთან" რომ არ გაუჭირდება. ლევერკუზენელებმა [illegible] ბული თამაშის წყალობით დაამარცხეს 73-ე წუთიდან ათი კაცით მოთამაშე აუტსაიდერი, რომელიც ელიტას ჯერ კიდევ ორი ტურის წინ გამოეთხოვა.

ქომაგები ტრიბუნაზე გაჰყვიროდნენ, ბერტი, წაეთრიეო, ნოივილმა რომ მასპინძელთა კარგი კომბინაცია გოლით დააგვირგვინა, მაგრამ ფოგტსმა გულშემატკივართა გული ამით მაინც ვერ მოიგო, ან კი როგორ მოიგებდა, როცა „ბოხუმი" მისი გუნდის კართან მომენტს მომენტზე ქმნიდა. მართალია, ამ შეტევებმა შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ მწვრთნელისთვის უარესი ამბავი მოჰყვა, კვირას ფოგტსი თავის თანაშემწეებიანად დაითხოვეს და როგორც ამბობენ, მალე „ლევერკუზენში" ტოპმიოლერის ერა დადგება.

გაისად მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს „უნტერჰახინგი", რომელმაც უძლიერესთა შორის ორი სეზონი გაძლო. ჰახინგელებს „შალკესთან" რომც მოეგოთ, არაფერი ეშველებოდათ, რადგან კოტბუსმა „მიუნხენს" სტუმრად აჯობა. დამარცხებული „მიუნხენ 1860", „ვერდერისა" და „ვოლფსბურგის" მსგავსად, გაისად ინტერტოტოზე ითამაშებს.

...და ისევ „შალკე"

„დღეიდან საფეხბურთო ღმერთის აღარ მჯერა, რადგან ყველაფერი ძალიან უსამართლოდ მოხდა" — განაცხადა გელზენკირხენელთა მენეჯერმა რუდი ასაუერმა შაბათ საღამოს. საინტერესოა, ან აქამდე რატომ სჯეროდა ასაუერს მისი, გერმანიაში საფეხბურთო ღმერთი ხომ თავად „ბაიერნია".

**ვანო ოქროპირიძე**
**ბერლინიდან**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 34 | 19 | 6 | 9 | 62:37 | 25 | 63 | 17 | 12 | 1 | 4 | 37:20 | 17 | 37 | 17 | 7 | 5 | 5 | 25:17 | 8 | 26 |
| 2 შალკე | 34 | 18 | 8 | 8 | 65:35 | 30 | 62 | 17 | 12 | 4 | 1 | 36:13 | 23 | 40 | 17 | 6 | 4 | 7 | 29:22 | 7 | 22 |
| 3 დორტმუნდი | 34 | 16 | 10 | 8 | 62:42 | 20 | 58 | 17 | 9 | 4 | 4 | 34:20 | 14 | 31 | 17 | 7 | 6 | 4 | 28:22 | 6 | 27 |
| 4 ლევერკუზენი | 34 | 17 | 6 | 11 | 54:40 | 14 | 57 | 17 | 10 | 2 | 5 | 30:16 | 14 | 32 | 17 | 7 | 4 | 6 | 24:24 | 0 | 25 |
| 5 ჰერტა | 34 | 18 | 2 | 14 | 58:52 | 6 | 56 | 17 | 11 | 2 | 4 | 38:22 | 16 | 35 | 17 | 7 | 0 | 10 | 20:30 | -10 | 21 |
| 6 ფრაიბურგი | 34 | 15 | 10 | 9 | 54:37 | 17 | 55 | 17 | 9 | 5 | 3 | 36:15 | 21 | 32 | 17 | 6 | 5 | 6 | 18:22 | -4 | 23 |
| 7 ვერდერი | 34 | 15 | 8 | 11 | 53:48 | 5 | 53 | 17 | 10 | 4 | 3 | 33:18 | 15 | 34 | 17 | 5 | 4 | 8 | 20:30 | -10 | 19 |
| 8 ლაუტერნი | 34 | 15 | 5 | 14 | 49:54 | -5 | 50 | 17 | 8 | 3 | 6 | 24:19 | 5 | 27 | 17 | 7 | 2 | 8 | 25:35 | -10 | 23 |
| 9 ვოლფსბურგი | 34 | 12 | 11 | 11 | 60:45 | 15 | 47 | 17 | 8 | 6 | 3 | 38:18 | 20 | 30 | 17 | 4 | 5 | 8 | 22:27 | -5 | 17 |
| 10 კიოლნი | 34 | 12 | 10 | 12 | 59:52 | 7 | 46 | 17 | 8 | 5 | 4 | 33:18 | 15 | 29 | 17 | 4 | 5 | 8 | 26:34 | -8 | 17 |
| 11 მიუნხენი | 34 | 12 | 8 | 14 | 43:55 | -12 | 44 | 17 | 8 | 3 | 6 | 23:25 | -2 | 27 | 17 | 4 | 5 | 8 | 20:30 | -10 | 17 |
| 12 ჰანზა | 34 | 12 | 7 | 15 | 34:47 | -13 | 43 | 17 | 8 | 5 | 4 | 22:20 | 2 | 29 | 17 | 4 | 2 | 11 | 12:27 | -15 | 14 |
| 13 ჰამბურგი | 34 | 10 | 11 | 13 | 58:58 | 0 | 41 | 17 | 8 | 6 | 3 | 33:21 | 12 | 30 | 17 | 2 | 5 | 10 | 25:37 | -12 | 11 |
| 14 კოტბუსი | 34 | 12 | 3 | 19 | 38:52 | -14 | 39 | 17 | 10 | 1 | 6 | 27:20 | 7 | 31 | 17 | 2 | 2 | 13 | 11:32 | -21 | 8 |
| 15 შტუტგარტი | 34 | 9 | 11 | 14 | 42:49 | -7 | 38 | 17 | 9 | 5 | 3 | 31:20 | 11 | 32 | 17 | 0 | 6 | 11 | 11:29 | -18 | 6 |
| 16 უნტერჰახინგი | 34 | 8 | 11 | 15 | 35:59 | -24 | 35 | 17 | 7 | 6 | 4 | 21:20 | 1 | 27 | 17 | 1 | 5 | 11 | 14:39 | -25 | 8 |
| 17 აინტრახტი | 34 | 10 | 5 | 19 | 41:68 | -27 | 35 | 17 | 8 | 3 | 6 | 26:22 | 4 | 27 | 17 | 2 | 2 | 13 | 15:46 | -31 | 8 |
| 18 ბოხუმი | 34 | 7 | 6 | 21 | 30:67 | -37 | 27 | 17 | 5 | 4 | 8 | 20:28 | -8 | 19 | 17 | 2 | 2 | 13 | 10:39 | -29 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ებე სანდი (შალკე) | 22 |
| სერგი ბარბარესი (ჰამბურგი) | 22 |
| კლაუდიო პიზარო (ვერდერი) | 19 |
| მიხაელ პრეეცი (ჰერტა) | 16 |
| ჯოვანი ელბერი (ბაიერნი) | 15 |
| ოლივერ ნოივილი (ლევერკუზენი) | 15 |

## მეორე ბუნდესლიგა

XXXIV ტური

### ჰანოვერი 2:1 ფიურტი

1:0 კაუფმანი (10), 1:1 აზუზი (56), 2:1 კაუფმანი (65)
ფიურტი: რაიხოლდი, რაიტერი (ვალტერი 46), შკარაბელა, სხორდონე, სურმანი (მასა 76), რუმანი, აზუზი, რაიხელი, ფელგენაუერი, ამანატიდისი, კიოო (მესემბუტლე 59)
მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი
7 000 მაყურებელი

### როიტლინგენი 1:1 ობერჰაუზენი

1:0 ტრაუბი (46), 1:1 ლიპინსკი (87)
როიტლინგენი: კურკო, ჰელდმანი (აგუ 76), მალხოვი, ლაპაჩინსკი (კასტი 84), ტრაუბი, ადუბე, ლექსა, ბეკერი, იანიჩი, სუმიალა (მ. საჰჩაბ 68)
მწვრთნელი: რალფ ვი
6 183 მაყურებელი

### არმინია 4:2 ზაარბრიუკენი

1:0 ლაბადია (9), 1:1 კრიგი (11), 2:1 დამაიერი (21), 3:1 ვიშნიარეკი (29), 3:2 ჰუტველკერი (51), 4:2 ვიშნიარეკი (58)

### დუისბურგი 2:2 ოსნაბრუკი

1:0 გრუევი (20), 1:1 ტიუნი (40), 1:2 კლაასენი (47), 2:2 გუვენისკი (78)

### ნიურნბერგი 1:2 ზანქტ პაული

1:0 დავიდი (9), 1:1 კოლინგერი (45), 1:2 ბარისი (76)

### მიონხენგლადბახი 3:0 ქემნიცი

1:0 ვან ლენტი (12), 2:0 ნილსენი (33), 3:0 ვან ჰუტი (68)

### კიკერსი 2:4 ულმი

1:0 ციმერმანი (11), 2:0 სილვინიო (18), 2:1, 2:2 შარინგერი (24, 31), 2:3, 2:4 რისტიჩი (42, 90)

### ვალდჰოფი 4:0 მაინცი

1:0 კისი (43), 2:0, 3:0 კლაუსი (64, 83), 4:0 კატოჩი (90)

### ალენი 1:2 ალემანია

0:1 რუდიანი (56პ), 1:1 ბელა (60), 1:2 ლ. მიულერი (71)

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 34 | 20 | 5 | 9 | 58:35 | 65 |
| გლადბახი | 34 | 17 | 11 | 6 | 62:31 | 62 |
| ზანქტ პაული | 34 | 17 | 9 | 8 | 70:52 | 60 |
| ვალდჰოფი | 34 | 17 | 8 | 9 | 57:42 | 59 |
| ფიურტი | 34 | 15 | 9 | 10 | 55:38 | 54 |
| ალენი | 34 | 15 | 9 | 10 | 61:53 | 54 |
| როიტლინგენი | 34 | 15 | 8 | 11 | 64:52 | 53 |
| ზაარბრიუკენი | 34 | 14 | 8 | 12 | 48:59 | 50 |
| ჰანოვერი | 34 | 12 | 10 | 12 | 52:45 | 46 |
| ალემანია | 34 | 13 | 7 | 14 | 42:60 | 46 |
| დუისბურგი | 34 | 12 | 9 | 13 | 46:40 | 45 |
| ობერჰაუზენი | 34 | 13 | 6 | 15 | 45:50 | 45 |
| არმინია | 34 | 10 | 11 | 13 | 53:46 | 41 |
| მაინცი | 34 | 10 | 10 | 14 | 37:45 | 40 |
| ოსნაბრიუკი | 34 | 9 | 10 | 15 | 40:52 | 37 |
| ულმი | 34 | 9 | 7 | 18 | 42:58 | 34 |
| კიკერსი | 34 | 8 | 10 | 16 | 31:51 | 34 |
| ქემნიცი | 34 | 3 | 7 | 24 | 24:78 | 16 |

## ესპანეთი

XXXV ტური

### სოსიედადი 4:0 მალაგა

1:0 იდიაკესი (3), 2:0 დე პაულა (34), 3:0 ხოხლოვი (47), 4:0 ტაიფური (90)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე (ფუენტესი 82), ლორენი, ლუის ალბერტო, ხაბი ალონსო, არანსაბალი, იდიაკესი, ტაიფური, ხოხლოვი, დე პედრო, დე პაულა (დემეტრაძე 82)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ბრავო (რობასი 43), ფერნანდო სანსი, ლარაინსარი, რუფეტე აგოსტინიო (მუსამპა 46), დე ლოს სანტოსი, სანდრო (ედგარი 77), კანაბალი, დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
29 000 მაყურებელი

### ვალენსია 1:0 ბილბაო

1:0 ზაჰოვიჩი (90პ)
ვალენსია: პალოპი, ანგულო, ბიორკლუნდი, ჯუკიჩი, პელეგრინო, აურელიო, ალბელდა, დეშამპი, ვისენტე (ხუან სანჩესი 64), ზაჰოვიჩი, დიეგო ალონსო (კარეუ 68)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ბილბაო: ლაფუენტე ფელიპე ლაკრუსი, კარლოს გარსია, ალკორტა, ლარასაბალი, ალკისა, ორბაისი, იეხტე (გერერო 87), ესკერო (კუელიარი 80), ურსაისი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: ანგულო, ზაჰოვიჩი, ორბაისი
38 000 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო 0:1 რეალი

0:1 გუტი (39)
რაიო ვალეკანო: კელერი, ალკასარი (ბოლიჩი 58), ბალესტეროსი, დე კინტანა, მინგო, მაურო (პოშნერი 81), პელდერი, კევედო, მიჩელი, სემბრანოსი (გლაუჩიო 81), ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
რეალი: სესარი, სალგადო, კამპო, კარანკა (ელგერა 80), რობერტო კარლოსი, ფიგუ, სელადესი, მაკელელე, მაკმანამანი (ფლავიო კონსეისაო 65), სავიო (რაული 59), გუტი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: მაურო, ბალესტეროსი, მიჩელი, მინგო, მაკმანამანი, სალგადო, დე კინტანა
გაძევება: პელდერი (52)
15 000 მაყურებელი

### სელტა 1:1 ნუმანსია

0:1 როსუ (66), 1:1 გუსტავო ლოპესი (77პ)
სელტა: კავალიერო,ველასკო (მაკკარტი 73), კასერესი, ჯოროვიჩი, ხუანფრანი, კარპინი, ჯოვანელა, ედუ (ხესული 63), მოსტოვოი, კატანია, გუსტავო ლოპესი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ნუმანსია: ნუნიესი, ხაუმე, კულებრასი, ნაგორე, ანტია, პირი, მანელი, პაჩეტა, როსუ (კაკო მორანი 70), ოხედა, რუბენ ნავარო (მარინი 90)
მწვრთნელი: სელესტინო ვალეხო
გაფრთხილება: ველასკო, გუსტავო ლოპესი, კატანია, მანელი, პირი
გაძევება: მარინი (90), კარპინი (90)
17 000 მაყურებელი

### ოსასუნა 3:3 ლას პალმასი

1:0 ივან როსადო (3), 1:1 გიარე (15), 1:2 ნაჩო გონსალესი (53პ), 2:2, 3:2 ხერარდო (59პ, 66), 3:3 ნაჩო გონსალესი (79პ)
ოსასუნა: ნუნო, ხოსუე (ალფონსო 57), კრუჩაგა, ვიდაკოვიჩი, იანგუასი, ალექსი, ლეკუმბერი, ხერარდო (არპონი 85), საბინო (ტრეჩაკი 50), განსედო, ივან როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ედუ ალონსო (ბაიანო 75), ალვარო, შურერი, პაკუი, ანხელი, სემვისი, რამონი, ხოსიკო (ელოი 70), ორლანდო (ტურდო 73), გიარე
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: ივან როსადო, ალექსი, შურერი, რამონი, ალვარო, სემვისი
18 725 მაყურებელი

### ოვიედო 2:3 დეპორტივო

0:1, 0:2 დიეგო ტრისტანი (15, 21), 1:2 ხაიმე (53), 1:3 დიეგო ტრისტანი (58), 2:3 პაუნოვიჩი (69)
ოვიედო: ესტებანი, გასპარი (რუბენი 90), დანჯუ (პაბლო სუარესი 50), ბორისი, რაბარივონი, ონოპკო, ხაიმე (ხენი 68), პაუნოვიჩი, ჯ. ტომიჩი, ივან ანია, ოლი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, სესარი, დონატო, რომერო, ვიქტორია, მაურო სილვა (ემერსონი 69), ფრანი, ვალერონი (პელდერი 76), მაკაი, დიეგო ტრისტანი (სკალონი 73)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: მაურო სილვა, სესარი, ოლი, სკალონი, მაკაი
გაძევება: მოლინა (84)
28 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 1:1 რასინგი

1:0 ჩირიჩი (20), 1:1 რუშფელდტი (87)
ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, გარსია კალვო, პაინცე, მარკოსი, კამინერო (რიკეტი 54), პენია, ფერნანდო, ჩემა (ალბერტო 90), ჩირიჩი (ეუსებიო 77), პაჩონი
მწვრთნელი: პეპე მორე
რასინგი: სებალიოსი, მელბერგი, ჩემა (ესპინია 46), არსენო, ხუანმა, რეგუერო, რამისი, ისმაელი (კოლსა 69), ამავისკა, მაგალიანესი (მაცონი 69), რუშფელდტი
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: კამინერო, ჩემა, რუშფელდტი
15 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 0:1 მალიორკა

0:1 ლუკე (19)
ესპანიოლი: მორა, კრისტობალი, ლოპო (ბენიტესი 61), როტჩენი, დავიდ გარსია, ველამასანი, სერხიო, გალკა, როხერი (არტეაგა 80), მარტინ პოსე (სერანო 74), ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
მალიორკა: მიკა, ოლაიზოლა (არმანდო 80), სოვიერო, ნადალი, მიგელ სოლერი, ფინიდი (ნოვო 69), ჩიჩი სოლერი, მარკოსი, იბაგასა, ლუკე ეტოო (რობლესი 62)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ტამუდო, ლუკე, ფინიდი, მარკოსი, ლოპო, ოლაიზოლა, იბაგასა, ეტოო, გალკა, მორა, მარკოსი
გაძევება: მარკოსი (57)
24 600 მაყურებელი

### ალავესი 0:1 ბარსელონა

0:1 ოვერმარსი (17)
ალავესი: ერერა, კონტრა, ეგენი, ტელიესი, ჯელი, დესიო (ასკოიტია 75), ასტუდილიო, მაგნო (ივან ალონსო 46), ვუჩკო (კრუიფი 61), იბონ ბეგონია, ხავი მორენო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ბარსელონა: დუტრუელი, პუიოლი, რაიციგერი (კლუივერტი 61), ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, კოკუ, გაბრი (პეტი 40), ლუის ენრიკე, ოვერმარსი (ზენდენი 78), რივალდო
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: მაგნო, ასკოიტია, ჯელი, კონტრა
18 137 მაყურებელი

### სარაგოსა 0:0 ვილიარეალი

სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, აგუადო, პაკო ხემესი, სუნდგრენი, აკუნია, ხოსე იგნასიო, ხუანელე (ფერონი 72), მონტენეგრო, მარტინ ველისკა (იორდი 77), ესნაიდერი
მწვრთნელი: ლუის კოსტა
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, გალვანი, ბერუეკოკე მედინა, არუაბარენა, ლოპესი, ამორი, ხავი გრასია, კალეხა (ესკუდა 69), ვიქტორი (კრაიოვეანუ 74), პალერმო (მოიზესი 89)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: ხოსე იგნასიო, აკუნია, არუაბარენა
24 000 მაყურებელი

# და ჩადგა კარში დონატო



რაიო ვალეკანო — რეალი. რეალელმა სავიომ (მარჯვნივ) ხოსე ალკასარო ხელით მოიგერია

REUTERS

„რეალის" ოფიციალურად გაჩემპიონება მინიმუმ ერთი კვირით გადაიდო. ამ ტურის წინ ასე იყო: თუ „რეალი" მოიგებდა და „დეპორტივო" დამარცხებოდა, დედაქალაქელები ფაბიო კაპელოს წასვლის შემდეგ პირველად შესწვდებოდნენ ჩემპიონის ტიტულს. კაპელო კი მადრიდიდან ოთხი წლის წინ წავიდა.

„რეალმა" მოცემული პირობის თავისი წილი შეასრულა, ანუ თანაქალაქელ „რაიო ვალეკანოს" სძლია. ამ მატჩში ერთადერთი გოლი რობერტო კარლოსის საჯარიმოს მოჰყვა. რა გასაკვირია, რომ ბრაზილიელის დარტყმული ამერიკელმა მეკარემ კეისი კელერმა ვერ დაიჭირა და მხოლოდ მოგერიება შეძლო, დამატებაზე კი ყველას გუტიმ დაასწრო და გაიტანა.

აღვნიშნოთ, რომ ბოლოსკენ ვალეკანოელები ათნი დარჩნენ, რაკი პელდერმა ისე გულიანად გააპროტესტა არბიტრის გადაწყვეტილება, სავიო ლუის სემბრანოსის წაქცევისთვის რად არ დასაჯეო, რომ მსაჯს მეორე ყვითელი ბარათი დასტყუა. თუმც ისიც ვთქვათ, რომ „რაიოს" გათანაბრების ერთი კარგი შანსი ჰქონდა — მიჩელის დარტყმული ძელს მოხვდა. მთლიანობაში კი ვისენტე დელ ბოსკეს სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „რეალმა" თავის ჩვეულ სტილში ითამაშა და მოედნის ბატონ-პატრონი იყო".

„რეალის" ახლავე გაჩემპიონების მეორე პირობა არ შესრულდა. „დეპორტივო" ოვიედოში იგებდა 2:0, მერე 3:1 და მიუხედავად ამისა, დიდი შანსი იყო, დამარცხებულიყო, ყოველ შემთხვევაში, ფრეს მაინც დასჯერებოდა.

85-ე წუთზე ლაკორუნიელებს მეორე გაფრთხილების გამო მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინა გაუგდეს. მიზეზი სულ უბრალო რამ გახდა — დროის გაჭიანურება. ხავიერ ირურეტას ამ დროისთვის სამივე შეცვლა გამოეყენებინა და კარის დაცვა 38 წლის ვეტერანმა ნახევარმცველმა დონატომ იკისრა.

სიტუაცია წარმოვიდგინოთ. გასავარდნთა ახლოს მყოფ „ოვიედოს" ჰაერივით სჭირდებოდა ქულა მაინც და ანგარიშის მინიმუმამდე შემცირების მერე, ანუ 72-ე წუთიდან, მთელი გახელებით უტევდა. ამიტომაც იყო, რომ მოლინამ სულის ამოსათქმელად დროის გაყვანა დაიწყო. იოლი მისახვედრია, როგორ შტურმს მოაწყობდნენ მასპინძლები, კარში ნაკრების მეკარის ნაცვლად დონატო რომ ჩადგა. ეს ამბავი სრულ ათ წუთს გაგრძელდა (მსაჯმა თამაშს ხუთი წუთი წაამატა). ესპანელმა მიმომხილველებმა ამ წუთებს, განსაკუთრებით კი წამატებულს, აგონიური უწოდეს. დონატო კი იდგა კარში და გოლი არ გაუშვა. მისმა მეკარეობამ დიეგო ტრისტანს ჰეთ თრიკიც დაჩრდილა.

ბოლო სამ ადგილზე მყოფნი — „ოსასუნა", „რასინგი" და „ნუმანსია" ფრეებს გამორჩნენ, ანუ ვერაფრით იხეირეს და როგორც იყვნენ, ისევე არიან. თუმცა დონატოს მათგანაც ერგება მადლობა, რაკი წინ მყოფ „ოვიედოს" თითო ქულით მიუახლოვდნენ.

სამაგიეროდ, მაჩანჩალები ვერაფრით გაახარა „მალაგამ", რომელმაც ბასკურ სან სებასტიანში ოთხი გოლი გაუშვა. ამ გამარჯვებამ „რეალ სოსიედადი" მეთხუთმეტე ადგილზე გადაიყვანა და მგონი, პრიმერადივიზიონიდან გავარდნასაც გადაარჩინა — ვინძლო, საქმე აქეთკენ მიდის. ჩვენთვის აღსანიშნავი კი ისაა, რომ ჯონ ტოშაკმა ბოლო რვა წუთი გიორგი დემეტრაძეც ათამაშა, რითაც ჩვენებურის ესპანური მონაგარი 28 წუთამდე გაზარდა.

ახლა მთავარიც — ვინ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში? „რეალს" და „დეპორტივოს" ამ მხრივ სადარდებელი არაფერი აქვთ, დანარჩენი ორი ადგილისთვის კი სამი გუნდი იბრძვის და ისე მოხდა, რომ სამივემ ერთნაირი ანგარიშით მოიგო.

„ალავესს" დიდებული შეხვედრა მოუწყვეს ქომაგებმა „მენდისოროსაზე", მაგრამ გუნდმა თავისი შესაძლებლობები დორტმუნდში ამოწურა და ბოლო ხუთ პრიმერადივიზიონულ მატჩში მეოთხედ წააგო. საფიქრებელია, რომ ვიტორიელები [illegible] ლმა დარწმუნდნენ, რაც საწყენია.

„ბარსელონას" კი მარკ ოვერმარსის გოლი და [illegible] ვერაფერში დაეხმარა, რადგან „ვალენსიამ" და „მალიორკამ" ქულები არ დაკარგეს.

კატალონიის დედაქალაქში „მალიორკამ" ალბერტო ლუკეს გოლით სძლია „ესპანიოლს", თუმცა აღნიშვნის ღირსი უფრო „ვალენსიას" გამარჯვებაა. ექტორ რაულ კუპერს სამი ფეხბურთელი ისედაც დისკვალიფიცირებული ჰყავდა და ლიგის ფინალის წინ შვიდი სხვაც დაასვენა. მაგრამ მეორე შემადგენლობით ვალენსიელებს გამარჯვება არ ეწერათ და მხსნელად ისევ შეცვლაზე შესული ხუან სანჩესი მოევლინათ, რომელმაც ბოლო წუთზე ბილბაოელ კარლოს გარსიას მისსავე საჯარიმოში თავი წააქცევინა და პენალტის შესრულება ზლატკო ზაჰოვიჩს მიანდო.

ორიოდე სიტყვა კალენდარზეც ვთქვათ. ამ მხრივ ყველაზე ნაკლებად „ვალენსიას" გაუმართლა — ბოლო ორ ტურში „დეპორტივოს" და „ბარსელონას" ხვდება. მაგრამ ერთიცაა — ხვალ თუ ლიგა მოიგო, სადარდებელი არაფერი ექნება, თუნდაც დივიზიონში მეხუთეობას დასჯერდეს. ამ შემთხვევაში ყველაზე კარგი კალენდარი „ბარსას" გამოუვა, რაკი „ოვიედოსთან" და „ვალიადოლიდთან" წესით არ უნდა შერცხვეს და „ვალენსიაც" თუ უმოტივაციოდ დარჩა, მთლად უკეთესი. საქმის ამგვარი მსვლელობა „მალიორკას" გაურთულებს საქმეს, რომელსაც ვიტორიაში აქვს გასვლა, სადაც „ალავესი" იოლად არ დანებდება. მაგრამ ლიგა თუ „ბაიერნმა" მოიგო, უკვე „ვალენსიას" ექნება საქმე თავში საცემად — მისი მეტოქეები „დეპორტივო" და „ბარსელონა" არიან. მოკლედ, გვარიანად ჩახლართული ამბებია.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 35 | 22 | 7 | 6 | 73:38 | 35 | 73 | 17 | 13 | 3 | 1 | 46:14 | 32 | 42 | 18 | 9 | 4 | 5 | 27:24 | 3 | 31 |
| 2 | დეპორტივო | 35 | 20 | 7 | 8 | 67:42 | 25 | 67 | 17 | 14 | 3 | 0 | 39:11 | 28 | 45 | 18 | 6 | 4 | 8 | 28:31 | -3 | 22 |
| 3 | ვალენსია | 35 | 18 | 8 | 9 | 52:29 | 23 | 62 | 18 | 13 | 1 | 4 | 30:9 | 21 | 40 | 17 | 5 | 7 | 5 | 22:20 | 2 | 22 |
| 4 | მალიორკა | 35 | 17 | 11 | 7 | 49:39 | 10 | 62 | 17 | 12 | 4 | 1 | 30:17 | 13 | 40 | 18 | 5 | 7 | 6 | 19:22 | -3 | 22 |
| 5 | ბარსელონა | 35 | 16 | 11 | 8 | 75:52 | 23 | 59 | 17 | 11 | 4 | 2 | 48:21 | 27 | 37 | 18 | 5 | 7 | 6 | 27:31 | -4 | 22 |
| 6 | სელტა | 35 | 14 | 10 | 11 | 48:48 | 0 | 52 | 18 | 10 | 7 | 1 | 30:17 | 13 | 37 | 17 | 4 | 3 | 10 | 18:31 | -13 | 15 |
| 7 | ვილიარეალი | 35 | 14 | 9 | 12 | 52:51 | 1 | 51 | 17 | 7 | 6 | 4 | 27:25 | 2 | 27 | 18 | 7 | 3 | 8 | 25:26 | -1 | 24 |
| 8 | მალაგა | 35 | 14 | 8 | 13 | 55:55 | 0 | 50 | 18 | 9 | 5 | 4 | 32:23 | 9 | 32 | 17 | 5 | 3 | 9 | 23:32 | -9 | 18 |
| 9 | ალავესი | 35 | 14 | 7 | 14 | 55:48 | 7 | 49 | 18 | 10 | 2 | 6 | 32:20 | 12 | 32 | 17 | 4 | 5 | 8 | 23:28 | -5 | 17 |
| 10 | ესპანიოლი | 35 | 13 | 8 | 14 | 42:36 | 6 | 47 | 18 | 8 | 3 | 7 | 22:14 | 8 | 27 | 17 | 5 | 5 | 7 | 20:22 | -2 | 20 |
| 11 | ბილბაო | 35 | 11 | 10 | 14 | 42:51 | -9 | 43 | 17 | 9 | 4 | 4 | 30:19 | 11 | 31 | 18 | 2 | 6 | 10 | 12:32 | -20 | 12 |
| 12 | ლას პალმასი | 35 | 12 | 7 | 16 | 39:58 | -19 | 43 | 17 | 9 | 3 | 5 | 19:20 | -1 | 30 | 18 | 3 | 4 | 11 | 20:38 | -18 | 13 |
| 13 | სარაგოსა | 35 | 9 | 13 | 13 | 52:54 | -2 | 40 | 17 | 8 | 7 | 2 | 38:21 | 17 | 31 | 18 | 1 | 6 | 11 | 14:33 | -19 | 9 |
| 14 | რაიო ვალეკანო | 35 | 9 | 13 | 13 | 54:62 | -8 | 40 | 18 | 6 | 6 | 6 | 28:24 | 4 | 24 | 17 | 3 | 7 | 7 | 26:38 | -12 | 16 |
| 15 | სოსიედადი | 35 | 10 | 9 | 16 | 48:65 | -17 | 39 | 18 | 6 | 6 | 6 | 28:28 | 0 | 24 | 17 | 4 | 3 | 10 | 20:37 | -17 | 15 |
| 16 | ვალიადოლიდი | 35 | 8 | 14 | 13 | 37:45 | -8 | 38 | 18 | 8 | 8 | 2 | 22:13 | 9 | 32 | 17 | 0 | 6 | 11 | 15:32 | -17 | 6 |
| 17 | ოვიედო | 35 | 10 | 7 | 18 | 47:62 | -15 | 37 | 18 | 9 | 5 | 4 | 41:26 | 15 | 32 | 17 | 1 | 2 | 14 | 6:36 | -30 | 5 |
| 18 | ოსასუნა | 35 | 8 | 12 | 15 | 41:52 | -11 | 36 | 18 | 5 | 8 | 5 | 25:25 | 0 | 23 | 17 | 3 | 4 | 10 | 16:27 | -11 | 13 |
| 19 | რასინგი | 35 | 9 | 8 | 18 | 43:59 | -16 | 35 | 17 | 9 | 4 | 4 | 29:20 | 9 | 31 | 18 | 0 | 4 | 14 | 14:39 | -25 | 4 |
| 20 | ნუმანსია | 35 | 8 | 9 | 18 | 35:60 | -25 | 33 | 17 | 6 | 5 | 6 | 20:23 | -3 | 23 | 18 | 2 | 4 | 12 | 15:37 | -22 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 21 |
| რივალდო (ბარსელონა) | 20 |
| რაული (რეალი) | 20 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 19 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |

### XXXVI ტური

27 მაისი

ბილბაო — მალაგა
რასინგი — ვალენსია
დეპორტივო — ვალიადოლიდი
ბარსელონა — ოვიედო
რეალი — ალავესი
მალიორკა — რაიო ვალეკანო
ნუმანსია — ესპანიოლი
ლას პალმასი — სელტა
ვილიარეალი — ოსასუნა
სარაგოსა — სოსიედადი

## მეორე დივიზიონი

XXXVIII ტური

### მურსია 0:1 ტენერიფე

0:1 ლუსენპოფი (84)

### სპორტინგი 1:2 ბეტისი

0:1 ამატო (4), 1:1 მანელი (27), 1:2 ამატო (60)

### ხეტაფე 2:1 კომპოსტელა

0:1 ხუბერა (48), 1:1 ტრიგო (52), 2:1 მაიკელი (73)

### ლეიდა 1:1 ატლეტიკო

1:0 რენალდო (44), 1:1 კორეა (71)

### ლეგანესი 0:0 ბადახოსი

### სალამანკა 4:0 უნივერსიდადი

1:0, 2:0 მარინესკუ (54, 73), 3:0 ბარბარა (76), 4:0 კ. მუნტიანუ (87)

### ეიბარი 0:0 ესტრემადურა

### უელვა 0:0 ელჩე

### ალბასეტე 1:0 ფეროლი

1:0 ხესუსი (55)

### სევილია 2:0 კორდობა

1:0 პოდესტა (40), 2:0 მიჩელი (92)

### ლევანტე 2:2 ხაენი

0:1 პეპელუ (18), 1:1 პერაგონი (40), 1:2 ტიტო (44), 2:2 პერაგონი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 38 | 20 | 10 | 8 | 59:36 | 70 |
| ტენერიფე | 38 | 19 | 10 | 9 | 53:28 | 67 |
| ბეტისი | 38 | 18 | 12 | 8 | 43:29 | 66 |
| ატლეტიკო | 38 | 17 | 11 | 10 | 55:39 | 62 |
| უელვა | 38 | 14 | 20 | 4 | 41:23 | 62 |
| ალბასეტე | 38 | 17 | 11 | 10 | 40:35 | 62 |
| სპორტინგი | 38 | 15 | 11 | 12 | 49:44 | 56 |
| სალამანკა | 38 | 16 | 7 | 15 | 45:42 | 55 |
| ლევანტე | 38 | 11 | 19 | 8 | 51:45 | 52 |
| კორდობა | 38 | 13 | 13 | 12 | 34:33 | 52 |
| ხაენი | 38 | 13 | 13 | 12 | 31:36 | 52 |
| ეიბარი | 38 | 11 | 17 | 10 | 28:24 | 50 |
| ესტრემადურა | 38 | 14 | 8 | 16 | 35:42 | 50 |
| ბადახოსი | 38 | 10 | 19 | 9 | 31:33 | 49 |
| მურსია | 38 | 11 | 13 | 14 | 50:50 | 46 |
| ლეგანესი | 38 | 8 | 20 | 10 | 40:37 | 44 |
| ფეროლი | 38 | 10 | 13 | 15 | 39:44 | 43 |
| ელჩე | 38 | 8 | 15 | 15 | 39:51 | 39 |
| კომპოსტელა | 38 | 10 | 9 | 19 | 36:62 | 39 |
| ხეტაფე | 38 | 9 | 10 | 19 | 41:57 | 37 |
| უნივერსიდადი | 38 | 6 | 15 | 17 | 26:53 | 33 |
| ლეიდა | 38 | 4 | 12 | 22 | 32:55 | 24 |

## იტალია

### XXXI ტური

### მილანი 1:2 ფიორენტინა

0:1, 0:2 კიეზა (12, 19), 1:2 შევჩენკო (29)
მილანი: ს. როსი, ჰელვეგი, კოსტაკურტა (გუ-ლიელმინპიეტრო 73), როკე ჟუნიორი, მალდინი, გატუზო, ალბერტინი, სერჯინიო, ჯუნტი (ლეონარდო 60), შევჩენკო, კომანდინი (ბირჰოფი 70)
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, მორეტი, ბრესანი (ბონორა 62), დი ლივიო, მარკო როსი, რუი კოშტა (ვანოლი 84), ლეანდრო, კიეზა
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
44 699 მაყურებელი

### პარმა 3:1 ინტერი

1:0 ჟუნიორი (14), 2:0 დი ვაიო (74), 3:0 ჟუნიორი (89), 3:1 ვიერი (90)
პარმა: ბუფონი, ტურამი, ფ. კანავარო, სარტორი (ბენარივო 63), ჟუნიორი, ალმეიდა (აპია 86), ლამუში, სენსინი, მიკუ, მილოშევიჩი (მბომა 79), დი ვაიო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ინტერი: ფრეი, ფერარი, ბლანი, სიმიჩი, ხ. ძანეტი (ბროკი 79), მაჩელარი (გრეშკო 46), დი ბიაჯო (ზეედორფი 61), კოუ, დალმა, ვიერი, ფერანტე
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: სარტორი, მაჩელარი, ფერარი
25 000 მაყურებელი

### ატალანტა 1:1 რეჯინა

1:0 ძაური (11), 1:1 ძანკეტა (16)
*ნაპიმ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)*
ატალანტა: პელიცოლი, სივილია, კარერა, რუსტიკო, ძაური, კ. ძენონი, დ. ძენონი, დუნდიერსკი (განცი 54), დონი (დონატი 83), მორფეო (ნაპი 74), როსინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
რეჯინა: ტაიბი, ჟირანეკი, ვარგასი, სტოვინი, ვიკარი (ბერნინი 73), ბრევი, მამედე, ძანკეტა, მორაბიტო, მარაცინა, დიონიჯი (და კოშტა 84)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: დუნდიერსკი, ბრევი, ჟირანეკი, დ. ძენონი
15 000 მაყურებელი

### ბარი 1:4 რომა

0:1 კანდელა (29), 0:2 ბატისტუტა (44), 0:3 კაფუ (70), 0:4 ბატისტუტა (88), 1:4 სპინეზი (89)
ბარი: ნარჩიზო, ნექროიზი, სიბილანო (ინგროსო 69), ინოჩენტი, მაცარელი, ბელავისტა (მარკოლინი 80), ანდერსონი, საიდი, დელ გროსო, სპინეზი, ოსმანოვსკი (კოლაუტო 74)
მწვრთნელი: ლელო შანიმანიკო
რომა: ანტონიოლი, კაფუ (დი ფრანჩესკო 76), სამუელი, ძაგო, ძებინა, ასუნსაო, ტომაზი (გიგუ 46), კანდელა, ტოტი, ბატისტუტა, მონტელა (ნაკატა 80)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ბელავისტა, ტომაზი
გაძევება: ინოჩენტი (31)
33 906 მაყურებელი

### ვიჩენცა 0:0 ლეჩე

ვიჩენცა: სტერკელე, კარდონე, ძანკა, ტომაში, სომეზე (მ. ქამოზიტო 90), კროვარი, დაბო, ბეგეტო (მასიმო როსი 66), ძაული, ტონი (ჟედა 51), კალონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
ლეჩე: კიმენტი, დაინელი, ვიალი, სავინო, ბალერი (ჯორჯეტი 7), კონტიკო, პიანჯერელი, ტონეტო (ჟუარესი 86), კოლონელო (ინგესონი 76), ლუკარელი, ჟუგრინეცი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: კოლონელო, ძანკი
15 000 მაყურებელი

### ნაპოლი 2:0 ვერონა

1:0 პეკია (40), 2:0 ამაური (83)
ნაპოლი: ფონტანა, ბალდინი, ფრეზი, კიროგა, საბერი, ხუსაინი, მაგონი, პეკია (იანკულოვსკი 83), პინედა (მატუძალემი 57), ედმუნდო, ნ. ამორუზო (ამაური 79)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი (გონელა 86), აპოლონი, სერიჩი, კამორანეზი, ლ. კოლუჩი, იტალიანო (ადაილტონი 61), მელისი (ჯ. კოლუჩი 46), სალვეტი, ბონაცოლი
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: ლ. კოლუჩი, სერიჩი, ფრეზი, ბონაცოლი
35 000 მაყურებელი

### პერუჯა 2:2 ბრეშა

0:1, 0:2 უბნერი (45, 58პ), 1:2 ვრიზასი (59), 2:2 რობიატი (87)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა (ტარანა 81), მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია (ილარიო 67), ჯოვანი ტედესკო, გატი (რობიატი 71), ბაიოკო, პიერი, ვრიზასი, ანი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ბრეშა: სრნიჩეკი (კასტელაცი 46), პეტრუცი, კალორი, ბონერა, დიანა, ა. ფილიპინი, ბიზოლი (ტარე 39), ე. ფილიპინი, ბაკინი, რ. ბაჯო, უბნერი (გუანა 74)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ტარე, უბნერი, ანი, ტედესკო, დი ლორეტო, ბაიოკო, დიანა, ბაჯო, ე. ფილიპინი, ტარანა
10 000 მაყურებელი

### ბოლონია 1:4 იუვენტუსი

1:0 სინიორი (20), 1:1 ტრეზეგე (26), 1:2 ტუდორი (45), 1:3 ტრეზეგე (48), 1:4 კოვაჩევიჩი (81)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია (კასტელინი 55), გამბერინი, ტარანტინო, ბინოტო (ჩიპრიანი 55), ოლივე, ლიმა, ნერვო, ლოკატელი (კოლივანოვი 89), სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, იულიანო (ფერარა 89), მონტერო, პარამატი, ძამბროტა, ტაკინარდი, პესოტო (ბრიგი 86), ზიდანი, დელ პიერო, ტრეზეგე (კოვაჩევიჩი 80)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ძამბროტა, ფალკონე, ბია, ტუდორი
37 000 მაყურებელი

### ლაციო 3:1 უდინეზე

1:0, 2:0 კრესპო (3, 16), 2:1 ფიორე (73პ), 3:1 კასტრომანი (84)
ლაციო: პერუცი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, პობორსკი (კასტრომანი 69), დ. ბაჯო, სიმეონე, ნედვედი (სტანკოვიჩი 80), კრესპო, კლაუდიო ლოპესი (სალასი 52)
მწვრთნელი: დინო ძოფი
უდინეზე: ტურჩი, გარგო (ელგერა 69), სოტილი, ძამბონი (დიასი 46), ალბერტო, პინცი (სოზა 79), ჯანიკედა, ფიორე, ბერტოტო, იორგენსენი, მარჯოტა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: გარგო, ნედვედი
24 000 მაყურებელი

# მთქნარება სერია A-ში



REUTERS

ბოლონია — იუვენტუსი. მოედნის ბატონ-პატრონი ზინედინ ზიდანი იყო

**რა** უნდა დავწეროთ იტალიის ჩემპიონატის 31-ე ტურზე? ტურის იმ ნაწილზე, რომელშიც ინტრიგა ჩაიხლართა ანუ „მილანმა“ წააგო და „პარმამ“ მოიგო, უკვე ვთქვით, რადგან იგი ადრე, ხუთშაბათს ჩატარდა და მასზე ფიქრისა და მსჯელობისთვის დრო წინა კვირაშიც გვქონდა. დანარჩენი შეხვედრები კი კვირას გაიმართა და მხოლოდ მთქნარების საბაბი დაგვიტოვა. სამივე ლიდერმა ასკინკილით მიამატა მონაგარს სამ-სამი ქულა, ასე რომ, არაფერი დაძაბულა, არაფერი გამწვავებულა.

„რომამ“ ბარიში ითამაშა და 4:1 გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში, სულ დასაწყისს თუ არ ჩავთვლით, მოვლენები ძირითადად მასპინძელთა საჯარიმოსთან ვითარდებოდა და ისიც რალაცნაირად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე. სტუმართა 20 ათასი გულშემატკივარი კმაყოფილებით დაჰყურებდა ტრიბუნიდან თავისიანების წარმატებულ ვარჯიშს და ერთადერთ ნერვიულ ფიგურას — სათადარიგოთა სკამთან ტრადიციულად გაავებულ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს.

„ეს სამი ქულა ჩვენთვის საბედისწერო მნიშვნელობისა იყო — თქვა მატჩის შემდგომ კაპელომ — ბარიმ დასაწყისში ცოტა შემაშინა. ეს გუნდი დიდი თავდადებით თამაშობდა, მაგრამ მას მერე, რაც კანდელამ ანგარიში გახსნა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა“.

ვფიქრობთ, კაპელოს ზედმეტად დიპლომატიური ნათქვამი გამოუვიდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ კანდელას გოლმა და ამ ამბიდან ცოტა ხანში მასპინძელი მცველის, დუჩო ინოჩენტის გაძევებამ მართლაც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი „ბარის“ დამარცხებაში.

ამასობაში ფლორენციაში „ლაციო“ „უდინეზეს“ მასპინძლობდა (ადრეც ვთქვით, რომ რომის „სტადიო ოლიმპიკო“ „ლაციოსთვის“ დისკვალიფიცირებული იყო) და უპრობლემოდ გაიმარჯვა — 3:1. ანგარიში ერნან კრესპომ გახსნა: კარელ პობორსკის ჩაწოდებულს არგენტინელმა თავურით მიუჩინა ადგილი უდინელთა კარში და ეს მესამე წუთზევე მოხდა. 13 წუთის შემდეგ ისევ პობორსკის პასით ისევ კრესპომ გამოიჩინა თავი და სეზონში თავისი 23-ე გოლი შეაგდო. მეორე ტაიმში, 68-ე წუთზე, „უდინეზემ“ სხვაობა შეამცირა — სტეფანო ფიორემ პენალტი გაიტანა, მაგრამ რომაელთა კიდევ ერთმა არგენტინელმა, ლუკას კასტრომანმა შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე „მასპინძელთა“ ორბურთიანი უპირატესობა აღადგინა.

„იუვენტუსისა“ და „ბოლონიას“ მატჩის სცენარი განსხვავებული გამოდგა: ბოლონიაში თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ — გოლი ვეტერანმა ჯუზეპე სინიორიმ გაიტანა, მაგრამ შემდეგ ინიციატივა ხელში „ბებერმა ქალბატონმა“ იგდო. სტუმართა შორის ფრანგები, ზინედინ ზიდანი და დავიდ ტრეზეგე გამოირჩეოდნენ. ანგარიში სწორედ ტრეზეგემ გაათანაბრა, მას მერე, რაც ალესანდრო დელ პიერომ გაუწია ასისტენტობა.

ნახევარდაცვაში ზიდანის ბატონობა იმდენად აშკარა იყო, რომ კითხვა, ვინ გაიმარჯვებდა, „ბოლონია“ თუ „იუვენტუსი“, საერთოდ არ დასმულა. ერთადერთი საინტერესო ის იყო, როდის დაწინაურდებოდნენ ტურინელები და რამდენ გოლს გაიტანდნენ საბოლოოდ.

ტურინელები მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურდნენ, გოლი ამ ბოლო დროს გააქტიურებულმა ხორვატმა მცველმა იგორ ტუდორმა გაიტანა, ხოლო რამდენიმე წუთში ისევ ტრეზეგემ გამოიჩინა თავი, რასაც ბოლოს დარკო კოვაჩევიჩის მეოთხე მოჰყვა.

ამრიგად, სკუდეტოსთვის ბრძოლაში არაფერი შეცვლილა გარდა იმისა, რომ სეზონის ბოლომდე მხოლოდ სამი ტური დარჩა. ამ სამი ტურიდან, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესი უახლესი 32-ე იქნება, რომელშიც „რომას“ „მილანი“ ესტუმრება და ის თუ დააკარგინებს ქულებს.

თუმცა ამ თემაზე ლაპარაკს ამ კვირაში კიდევ მოვასწრებთ, ახლა კი გასავარდნთა ზონას ჩავხედოთ:

„ნაპოლიმ“ იყოჩაღა და თავისზე ორი ადგილით ქვევით მყოფ „ვერონას“ მოუგო. „რეჯინამ“ სტუმრად „ატალანტასთან“ დიდად დრამატულ ბრძოლაში ქულა მოიპოვა. საინტერესოა რომ, როცა ანგარიში 1:1 იყო და ამ მატჩის დამთავრებამდე 6 წუთი რჩებოდა, მსაჯმა მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტი დანიშნა, რომელიც „რეჯინას“ გოლკიპერმა მასიმო ტაიბიმ მოიგერია.

გასავარდნთა ზევით მდგომმა „ლეჩემ“ და „ვიჩენცამ“ თავთავიანთი წილი 0:0 ითამაშეს და თავი ქულში ნამდვილად არა აქვთ.

აი, „ბარი“ კი სერია B-შია და ეგ არის.

**ბაგუნა ძედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რომა | 31 | 21 | 7 | 3 | 62:29 | 33 | 70 | 15 | 11 | 4 | 0 | 29:12 | 17 | 37 | 16 | 10 | 3 | 3 | 33:17 | 16 | 33 |
| 2 | ლაციო | 31 | 20 | 5 | 6 | 60:33 | 27 | 65 | 16 | 12 | 2 | 2 | 33:13 | 20 | 38 | 15 | 8 | 3 | 4 | 27:20 | 7 | 27 |
| 3 | იუვენტუსი | 31 | 18 | 10 | 3 | 55:26 | 29 | 64 | 15 | 9 | 5 | 1 | 29:12 | 17 | 32 | 16 | 9 | 5 | 2 | 26:14 | 12 | 32 |
| 4 | პარმა | 31 | 15 | 8 | 8 | 47:25 | 22 | 53 | 16 | 9 | 4 | 3 | 31:10 | 21 | 31 | 15 | 6 | 4 | 5 | 16:15 | 1 | 22 |
| 5 | მილანი | 31 | 12 | 11 | 8 | 53:42 | 11 | 47 | 16 | 9 | 5 | 2 | 34:19 | 15 | 32 | 15 | 3 | 6 | 6 | 19:23 | -4 | 15 |
| 6 | ინტერი | 31 | 12 | 8 | 11 | 42:44 | -2 | 44 | 15 | 8 | 5 | 2 | 24:17 | 7 | 29 | 16 | 4 | 3 | 9 | 18:27 | -9 | 15 |
| 7 | ატალანტა | 31 | 10 | 13 | 8 | 36:30 | 6 | 43 | 16 | 4 | 9 | 3 | 16:13 | 3 | 21 | 15 | 6 | 4 | 5 | 20:17 | 3 | 22 |
| 8 | ფიორენტინა | 31 | 10 | 12 | 9 | 51:46 | 5 | 42 | 15 | 8 | 3 | 4 | 30:22 | 8 | 27 | 16 | 2 | 9 | 5 | 21:24 | -3 | 15 |
| 9 | ბოლონია | 31 | 11 | 9 | 11 | 42:44 | -2 | 42 | 16 | 9 | 3 | 4 | 24:20 | 4 | 30 | 15 | 2 | 6 | 7 | 18:24 | -6 | 12 |
| 10 | პერუჯა | 31 | 10 | 11 | 10 | 47:49 | -2 | 41 | 16 | 6 | 6 | 4 | 25:20 | 5 | 24 | 15 | 4 | 5 | 6 | 22:29 | -7 | 17 |
| 11 | ბრეშა | 31 | 8 | 13 | 10 | 38:39 | -1 | 37 | 15 | 5 | 7 | 3 | 17:14 | 3 | 22 | 16 | 3 | 6 | 7 | 21:25 | -4 | 15 |
| 12 | უდინეზე | 31 | 10 | 4 | 17 | 46:56 | -10 | 34 | 15 | 7 | 1 | 7 | 30:27 | 3 | 22 | 16 | 3 | 3 | 10 | 16:29 | -13 | 12 |
| 13 | ვიჩენცა | 31 | 8 | 9 | 14 | 33:44 | -11 | 33 | 16 | 6 | 5 | 5 | 19:18 | 1 | 23 | 15 | 2 | 4 | 9 | 14:26 | -12 | 10 |
| 14 | ლეჩე | 31 | 7 | 12 | 12 | 35:49 | -14 | 33 | 15 | 5 | 5 | 5 | 22:27 | -5 | 20 | 16 | 2 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 13 |
| 15 | ნაპოლი | 31 | 7 | 10 | 14 | 31:48 | -17 | 31 | 16 | 5 | 6 | 5 | 20:20 | 0 | 21 | 15 | 2 | 4 | 9 | 11:28 | -17 | 10 |
| 16 | რეჯინა | 31 | 8 | 6 | 17 | 28:47 | -19 | 30 | 15 | 6 | 4 | 5 | 14:16 | -2 | 22 | 16 | 2 | 2 | 12 | 14:31 | -17 | 8 |
| 17 | ვერონა | 31 | 7 | 7 | 17 | 31:53 | -22 | 28 | 15 | 7 | 4 | 4 | 19:20 | -1 | 25 | 16 | 0 | 3 | 13 | 12:33 | -21 | 3 |
| *18* | *ბარი* | *31* | *5* | *5* | *21* | *29:62* | *-33* | *20* | *16* | *5* | *2* | *9* | *21:29* | *-8* | *17* | *15* | *0* | *3* | *12* | *8:33* | *-25* | *3* |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 24 |
| კრესპო (ლაციო) | 23 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 22 |
| ბატისტუტა (რომა) | 18 |
| ვიერი (ინტერი) | 17 |

**XXXII ტური**

**27 მაისი**

ფიორენტინა — ატალანტა
რეჯინა — ბარი
ვერონა — ბოლონია
ინტერი — ლაციო
რომა — მილანი
უდინეზე — ნაპოლი
ლეჩე — პარმა
იუვენტუსი — პერუჯა
ბრეშა — ვიჩენცა

## სერია B

### XXXV ტური

### კალიარი 2:2 ანკონა

1:0 სუაზო (18), 2:0 კონტი (25), 2:1 ბაჯო (49), 2:2 ბონო (55)

### კიევო 1:1 პიაჩენცა

1:0 ვოლპი (17ს.კ.), 1:1 არტიკო (25)

### ჩიტადელა 1:1 ჯენოა

1:0 ჯირარდელო (28), 1:1 ფრანჩიოზო (47)

### კროტონე 0:1 სალერნიტანა

0:1 დი მიკელე (28)

### ემპოლი 2:1 ტორინო

1:0 მარკიონი (9), 2:0 კაპელინი (54), 2:1 არტისტიკო (80)

### პისტოიეზე 0:1 სიენა

0:1 კამპოლონი (71)

### რავენა 2:3 მონცა

0:1 დამიანი (5), 1:1 კორადო (10), 1:2 უგალი (33), 1:3 დამიანი (59), 2:3 ტენტონი (73პ)

### სამპდორია 4:1 ვენეცია

1:0 დავერზა (1), 2:0 პოსანცინი (18), 2:1 ბეტარინი (20), 3:1, 4:1 ლუიზო (44, 59)

### ტერნანა 1:1 კოზენცა

1:0 მიკოლი (45), 1:1 სავოლდი (69)

### ტრევიზო 1:0 პესკარა

1:0 როკი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 35 | 18 | 12 | 5 | 50:31 | 66 |
| პიაჩენცა | 35 | 19 | 8 | 8 | 44:23 | 65 |
| ტორინო | 35 | 19 | 7 | 9 | 43:32 | 64 |
| ვენეცია | 35 | 17 | 11 | 7 | 55:40 | 62 |
| სამპდორია | 35 | 15 | 15 | 5 | 53:32 | 60 |
| ტერნანა | 35 | 15 | 12 | 8 | 55:36 | 57 |
| ემპოლი | 35 | 16 | 9 | 10 | 46:40 | 57 |
| კოზენცა | 35 | 16 | 9 | 10 | 44:40 | 57 |
| ანკონა | 35 | 14 | 8 | 13 | 52:49 | 50 |
| კროტონე | 35 | 14 | 7 | 14 | 45:51 | 49 |
| კალიარი | 35 | 12 | 12 | 11 | 51:41 | 48 |
| სიენა | 35 | 10 | 14 | 11 | 36:41 | 44 |
| ჩიტადელა | 35 | 10 | 13 | 12 | 39:48 | 43 |
| ჯენოა | 35 | 8 | 16 | 11 | 38:37 | 40 |
| სალერნიტანა | 35 | 10 | 10 | 15 | 34:38 | 40 |
| პისტოიეზე | 35 | 9 | 10 | 16 | 41:46 | 37 |
| ტრევიზო | 35 | 8 | 10 | 17 | 36:50 | 34 |
| მონცა | 35 | 8 | 4 | 23 | 36:71 | 28 |
| რავენა | 35 | 3 | 13 | 19 | 27:56 | 22 |
| პესკარა | 35 | 3 | 12 | 20 | 28:51 | 21 |

# ბურთის მეორე მხარე: მრგვალი, ბლაგვი საგანი

## გამოსათხოვარ მატჩში კასტენდოჩიმ სახე და კინაღამ სიცოცხლეც დაკარგა



ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს ცოლიც უყვარს და „ლილიც“

### საფრანგეთი

XXXIV ტური

**მონაკო 1:2 ლილი**

1:0 ფარნერუდი (3), 1:1 პეირლედი (28), 1:2 შერუ (82)

**ლანსი 1:4 ნანტი**

0:1 და როშა (28), 0:2 მონტერუბიო (59), 0:3 სავინო (75), 1:3 კოლი (87), 1:4 მონტერუბიო (89)

**სედანი 1:0 ოსერი**

1:0 ნდიაე (26)

**მეცი 2:0 ბორდო**

1:0 ბატიკლი (53), 2:0 ჟაკერი (90)

**სენტ ეტიენი 2:2 გენგამი**

1:0 სარი (43), 1:1 ტასფაუ (50), 2:1 უარი (80), 2:2 მალუდა (89)

**რენი 3:4 ლიონი**

1:0 ლე რუ (14), 1:1 ანდერსონი (22), 2:1 შაპუი (35), 2:2 ეშუაფნი (39პ.კ.), 3:2 დელფლანდრე (39პ.კ.), 3:3 ანდერსონი (74), 3:4 მარლე (77)

**ტრუა 1:1 მარსელი**

1:0 გუსე (33), 1:1 კამარა (43)

**სტრასბური 1:2 პარი სენ ჟერმენი**

1:0 ლუინდულა (52), 1:1, 1:2 რობერი (55, 82)

**ბასტია 5:1 ტულუზი**

0:1 რომერო (7), 1:1 ფერეირა (40), 2:1 სვიერჩევსკი (45), 3:1, 4:1 ანდრე (65, 73), 5:1 ნე (82)

**გასულ** შაბათს დასრულდა საფრანგეთის ჩემპიონატი.

ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის ვინაობა უკვე წინა ტურში გაირკვა. შაბათს კი ბრინჯაოს მედლებს ელიტის დებიუტანტი „ლილი“ დაეუფლა, რომელმაც ამასთანავე ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის უფლებაც მიიღო, რაც ნამდვილად უდიდესი მიღწევაა ჩრდილოელთათვის.

უეფას თასზე „ბორდო“ და „სედანი“ ითამაშებენ. „რენი“, „ტრუა“ და „ბასტია“ ინტერტოტოს გათამაშებაში ჩაებმებიან. „სტრასბური“, „ტულუზი“ და „სენტ ეტიენი“ მეორე დივიზიონში დაქვეითდნენ, მათ ადგილებს კი „სოშო“, „ლორიანი“ და „მონპელიე“ დაიკავებენ.

მეცში გამართული მატჩი გამოსათხოვარი იყო ლოტარინგიელთა კაპიტნის სილვენ კასტენდოჩისთვის, რომელსაც თვრამეტწლიანი კარიერის მანძილზე 577 შეხვედრა ჩაუტარებია. ბედის ირონიით, მეცელთა ცენტრალური მცველი კინაღამ სიცოცხლესაც გამოეთხოვა. მას გადაწყვეტილიც რომ არ ჰქონოდა ფეხბურთიდან წასვლა... მე-6 წუთზე ბონისელის დარტყმის შემდეგ ბურთი კასტენდოჩს სახეში მოხვდა და გრძნობაც დააკარგვინა. იგი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს და საავადმყოფოში სახის ძვლების მოტეხილობაც დაუდგინეს ტვინის მძიმე შერყევასთან ერთად. ტაიმის მიწურულს კი მისი ბედი ჟირონდელთა ლიბერო ალენ როშსაც ეწია, ოღონდ ამ შემთხვევაში ბურთის მაგივრობა „ბორდოს“ მეკარის ულრიხ რამეს იდაყვმა გასწია.

რაც შეეხება თამაშს, აქ ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ, ოღონდ კარგა ხანი ვერ იხეირეს. რამემ ტაიმის შუაში მორანოსა და მეიროს დარტყმები მოიგერია და მეტი საქმეც არ ჰქონია. 41-ე წუთზე კი პრომანის თავურმა მის კარს ძალიან ახლოს ჩაუქროლა. „ბორდოს“ მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ანგარიშის გახსნის შანსი, როცა 25-ე წუთზე კრისტოფ დიუგარი ცარიელ კართან დარჩა, მაგრამ ვერ ივარგა. მეორე ნახევარში მეცელებმა მაინც გაიტანეს გოლი — ბატიკლმა მორენოს პასი გამოიყენა. ათ წუთში სტუმრებმა საპასუხო შეაგდეს, მაგრამ ლასლანდის გოლი მსაჯმა არ ჩათვალა გამოგონილი თამაშგარეს გამო. 86-ე წუთზე თამაში ხუთიოდე წუთით შეწყდა, რადგან მაყურებლები მინდორს შეესივნენ, მისი განახლების შემდეგ კი ჟაკერმა ერთიც გაუტანა რამეს და „ბორდოც“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა.

აივერსონის არაზუსტი თამაში, ცხადია, „ტორონტოს“ წისქვილზე ასხამდა წყალს და მის ფეხმარდ უკანახაზელებს პირველი სწრაფი შეტევებისთვის ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა. სანამ აივერსონი მიხვდებოდა, რომ სხვა გზის მონახვა იყო საჭირო, „ტორონტო“ დროს არ კარგავდა და პირველი ტაიმი 15 ქულითაც მოიგო. „ფილადელფია“ და მისი ლიდერი მესამე მეოთხედშილა გამოფხიზლდნენ. აივერსონმა ამ თორმეტწუთეულში თორმეტი ქულა მიითვალა და „სიქსერზი“ ორ ქულამდე — 68:70 დაუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ ვინაიდან ამის მერე, ისევე როგორც მანამდე, აივერსონს ღირებული არა გაუკეთებია რა, „სიქსერზი“ კვლავ ჩამორჩა მეტოქეს. აღსანიშნავია ბოლო მეოთხედში ტორონტოელთა ახალბედას, მორის პეტერსონის რიგიანი თამაში. პლეი ოფის დაწყებისას ეს ჯეელი სასტარტო ხუთეულიდან ამოაგდო გამთამაშებელმა კრის ჩაილდსმა, რომელიც პირველ წრეში „ნიუ იორკთან“ კი ყოჩაღობდა, მაგრამ „ფილადელფიასთან“ აივერსონის მეთვალყურედ დანიშნეს და თავი შეირცხვინა. ხუთეულში დაბრუნება პეტერსონმა 17 ქულით და 7 პასით აღნიშნა.

20 მაისი

**ფილადელფია 88:87 ტორონტო**

**ფილადელფია: მაკკი (22), აივერსონი (21 ქულა, 16 პასი), ჯონსი (16), მუტომბო (10 ქულა, 17 მოხსნა)**

**ტორონტო: დევისი (23), კარტერი (20 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ოკლი (11 ქულა, 10 მოხსნა)**

ტორონტოელი „დინოზავრები“ და მათი წინამძღოლი ვინს კარტერი ველარაფრით გააკვირვებენ კალათბურთის ქომაგს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათთვის სეზონი დასრულდა. ნბა-ს დიდი ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრ „რეპტორზს“ დაარსებიდან, 1995 წლიდან არ ჰქონია ასეთი სეზონი. პლეი ოფის მეორე წრეშიც პირველად თამაშობდა და რიგიანადაც, მაგრამ რამდენადაც კმაყოფილები იყვნენ ტორონტოელები, ეს ნამატჩევს მათ სახეზე აღბეჭდილი სასოწარკვეთილი გამომეტყველებიდან ჩანდა. „დინოზავრებს“ სულ ერთი ზუსტი სროლა დააკლდათ კონფერენციის ფინალამდე და იგი ბოლო წამზე მათმა ჩაუქმა ლიდერმა ვინს კარტერმა გააფუჭა.

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, აივერსონის კვალზე ახლა ვინს კარტერმა ჩააგდო თამაში, 18 სროლიდან 12 გააფუჭა. იგი 48 წუთის განმავლობაში ფარიდან ფარამდე კი დარბოდა, მაგრამ იქნებ გონებით კვლავაც ასეულობით კილომეტრით შორს, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში იმყოფებოდა, რომელიც მან იმ დღეს დაასრულა. სამი წლის განმავლობაში ხსენებული უნივერსიტეტის დაუსწრებელი კურსის სტუდენტმა 20 მაისს დილით დიპლომი აიღო აფრო-ამერიკულ ურთიერთობებში, საზეიმო ცერემონიალზე კი ორიოდ სიტყვით შემოიფარგლა: „დღეისთვის კალათბურთი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ჩემი ადგილი ახლა ფილადელფიაშია. მე აქ მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ ამ ქალაქის ყველა მცხოვრებს დიდი მადლობა გადავუხადო“. ორი საათის შემდეგ იგი უკვე ფილადელფიაში იყო და მწვრთნელ ლენი ვილკენსის რჩევა-დარიგებებს ისმენდა. იქნებ დიპლომი არაფერ შუაში იყოს, მაგრამ თამაშისას იგი გვარიანად დაბნეული ჩანდა. ბოლო სროლაც ააცილა და თავისიანებს გეგმები ჩაუფუშა. ეს სროლა თავიდან არ ამომდის, მან ჩემი ოცნება წაიღოო — ამბობდა კარტერი ნამატჩევს.

ისე კი, ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა, კარტერის ცუდი თამაშის ფონზე ალენ აივერსონმა გაიბრწყინა. რაოდენ დიდი იყო ყველას გაოცება, როდესაც კალათზე დაგეშილმა აივერსონმა ნებაყოფილებით თქვა უარი ქულების დაგროვებაზე და ბურთის გათამაშება ითავა. საბოლოოდ მან კარიერაში სარეკორდო 16 პასი მოინაგრა. ერთი კია, ყველა დარწმუნებულია, რომ კონფერენციის ფინალში იგი თავიდან გამოიბერტყავს თანაგუნდელთა პასებით მომარაგებას და „მილუოკის“ კალათს ჩვეულად დააწიოკებს.

| | |
|---|---|
| მილუოკი | 4 |
| შარლოტი | 3 |

20 მაისი

**მილუოკი 104:95 შარლოტი**

**მილუოკი: რობინსონი (29), ალენი (28), კასელი (17 ქულა, 13 პასი), ვილიამსი (13)**

**შარლოტი: დევისი (29), მაშბურნი (21), კემბელი (18 ქულა, 10 მოხსნა), ვესლი (15)**

ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ რეგულარული ჩემპიონატის შედეგებით „შარლოტ ჰორნეთსი“ პლეი ოფს მეექვსე ნომრად განთესილი შეეგება. ეს საკმაოდ სიმპათიური გუნდია, რომელიც არც კონფერენციის ფინალში შეირცხვენდა თავს და ვერავინ იტყვის, იქ მოხვედრას არ იმსახურებდაო, თუმც ერთი კია, გადამწყვეტ მომენტში შარლოტელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს „მილუოკის“ და აღმოსავლეთის ფინალის საგზურიც ამ უკანასკნელს ერგო. როგორც ჩანს, „ბაქსთან“ ზედიზედ სამმა მოგებამ გამოფიტა „კრაზანები“ და ისინი ბოლო ორ თამაშში ძველებურად მომაკვდინებლად ველარ იკბინებოდნენ.

სერიის გადამწყვეტი თამაში კვლავ დიდებულად ჩაატარა „მილუოკის“ ტრიომ: გლენ რობინსონმა 29 ქულა მიითვალა, რეი ალენმა — 28, ხოლო გამთამაშებელმა სემ კასელმა 17 ქულას საპლეიოფო კარიერაში სარეკორდო 13 პასი მოაყოლა, მაგრამ „ხარირემთა“ „გამხედნავი“ ჯორჯ კარლი ამ სამეულზე მეტად ფართო საზოგადოებისთვის უცნობ მეფარეებს — სკოტ ვილიამსს და ერვინ ჯონსონს ემადლიერება. ამ დუეტის ჯამური მონაგარი 17 ქულა, 19 მოხსნა და 7 დაფარებაა. თითქოს ბევრიც არაფერია, მაგრამ ამ ორმა დიდებულად შეასრულა შავი სამუშაო და ბევრი ისეთი რამ აკეთა, რაც შეხვედრის ოქმში არ აისახება, ერვინ ჯონსონს კარლმა სულაც უძვირფასესი მოთამაშე უწოდა. არადა, კარლი არასდროს სწყალობდა ჯონსონს არც „მილუოკიში“ და არც „სიეტლში“, საიდანაც კარლმა ეს ახმახი სწორედ „ბაქსს“ გაუცვალა. მოგვიანებით „მილუოკიში“ გადმობარგებულმა კარლმა ჯონსონი სასტარტო ხუთეულიდან სათადარიგოდ გაამწესა და მხოლოდ ერთი კვირის წინ დაუბრუნა „კუთვნილი“ ადგილი ძირითადში.

სწორედ ჯონსონმა და ვილიამსმა გაუკვალეს გზა „მილუოკის“, მეორე ნახევარში ისინი ფარქვეშა სივრცის სრული პატრონები გახდნენ და დაბალ თანაგუნდელთა გალაღებას შეუწყვეს ხელი. „ბაქსმა“ მესამე მეოთხედი 29:17 მოიგო, 11 ქულით დაწინაურდა და აღარ არ გაიკარა მეტოქე.

## კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

| დასავლეთი | |
|---|---|
| სან ანტონიო | 0 |
| ლეიკერსი | 1 |

19 მაისი

**სან ანტონიო 90:104 ლეიკერსი**

**სან ანტონიო: დანკანი (28 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი, 6 დაფარება), დანიელსი (20), რობინსონი (14)**

**ლეიკერსი: ბრაიანტი (45 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (28 ქულა, 11 მოხსნა), ფიშერი (13)**

მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ფინალისტთა ვინაობა შვიდთამაშიანმა ზედამაბულმა სერიებმა გამოავლინა, ორმა მძლავრმა დასავლელმა „სფურზმა“ და „ლეიკერსმა“ ოფლის მინიმალური ოდენობით დახარჯვით მიაღწია საწადელს. ამ ბობოლებმა, რომელთა შორის ერთი ალბათ მომავალი ჩემპიონია, კარგადაც დაისვენეს და სანამ აღმოსავლელები ჯახირობდნენ, ერთი თამაშის გამართვაც მოასწრეს.

„ეს გუნდი შარშანდელზე გაცილებით ძლიერია“ — ეს თქვა და თუ არ თქვა, იგულისხმა ყველა ოკეანგაღმელმა ჩვენმა კოლეგამ, ვინც კი ამ შეხვედრაზე თუნდაც ორი წინადადება დაწერა. ეს სიტყვები, ცხადია, არ ითქვა „სან ანტონიოზე“, რომლის თამაში შორს იყო სრულყოფილებიდან. სამაგიეროდ, ჩემპიონ „ლეიკერსზე“ შეიძლება ითქვას ეს, რომელიც ახლა დიდებულ ფორმაშია და ყველაზე მოკლე გზით მიიჩქარის ჩემპიონობისკენ. თითქმის მთელი რეგულარული სეზონის უხეიროდ გავლის შემდეგ ლოსანჯელესელებმა ზედიზედ 16 (!) თამაში მოიგეს, აქედან რვა პლეი ოფში, სადაც ჯერაც დაუმარცხებლები არიან.

„სან ანტონიო სფურზს“ ურჩევნია, შაკილ ონილზე არანაკლები ყურადღება კობი ბრაიანტს დაუთმოს, რომელიც მისი მარცხის პირდაპირი მიზეზი შეიქმნა. მართალია, ტეხასელებს ბრაიანტის ამპლუის დერეკ ანდერსონი აკლიათ, მაგრამ მისი შემცვლელი ანტონიო დანიელსი ურიგო ბიჭი არაა, თუმც იმ დღეს დაცვაში აშკარად ჩააფლავა თამაში. მან 20 ქულა მიითვალა, მაგრამ ბრაიანტს ვერაფრით შეუშალა ხელი და კობიმაც 45 ქულა დაატეხა თავს მასპინძლებს.

ბრაიანტმა კარგი თამაშის გარდა შერცხვენილი სანანტონიოელები მწარე ენითაც დაკოდა. „მე რომ კალათბურთელი არ ვიყო, „სან ანტონიოს“ ნაღდად არ ვუქომაგებდი. საშინლად ერთფეროვანი გუნდია, გაუჭირდება და ვერაფერს ახერხებს გარდა იმისა, რომ აყლაყუდა ცენტრებს ჩაუგდოს ბურთი“ — თქვა კობიმ ნამატჩევს, აყლაყუდა ცენტებში კი მან ტიმ დანკანი და დევიდ რობინსონი იგულისხმა, რომელთაც თითქოს ურიგოდ არ უთამაშიათ, მაგრამ ურიგოდ ითამაშა მათმა გუნდმა, ეს კი ხანდახან შეიძლება ერთი და იგივე იყოს.

**ირაკლი ფირუზაშვილი**



REUTERS

ლეიკერსელი შაკილ ონილის შეჩერება დევიდ რობინსონმაც ვერ მოახერხა

შვიდკაცა. ჰაინეკენის თასი. ამსტერდამი

# გასხპაცური მესამე ქართველებმა ლონდონის წინ წაივარჯიშეს

**ამსტერდამში** დასრულებულ ტრადიციულ საშვიდკაცო ტურნირზე, რომელსაც „ჰაინეკენის თასი“ ეწოდება, საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. ტურნირის პირველ დღეს ჩვენმა მორაგბეებმა ჯგუფის ოთხივე მატჩი მოიგეს და ხუთ გუნდში იპირველეს. ბორჯღალოსნებმა ერთიმეორის მიყოლებით შთამბეჭდავად სძლიეს მეტოქეებს. ქართველთა პირველი ლუკმა ინგლისური „ლოუსოფტ-იარმუსი“ შეიქმნა, რომელსაც კლოდ სორელის შეგირდები მშრალად — 57:0 გაუსწორდნენ. მალე ჭამაში მოდისო და მეორე ინგლისურმა „რედინჯიანზმა“ თვისტომთა ბედი გაიზიარა — 47:0. მესამე მატჩში ჩვენებურებს ახალზელანდიური „კაკაპიტუ უონდერერზი“ დაუპირისპირდა, თუმც დიდი ბედენა ვერც ჯონა ლომუს თანამემამულენი აღმოჩნდნენ — 40:0. ჯგუფის ბოლო შეხვედრაში კი ბორჯღალოსნებმა მასპინძელი „გუი“ დაიბრიყვეს — 49:5.

შეჯიბრის მეორე დღეს, ჩვენი ნაკრები წილისყრით ინგლისის არმიის ნაკრებთან, ორ ინგლისურ და ერთ ახალზელანდიურ გუნდთან ერთად მოხვდა ჯგუფში. ქართველებს არც აქ დაუხევიათ უკან და ჯგუფის უკლებლივ ყველა მატჩში დამაჯერებელ გამარჯვებებს მიაღწიეს. მათ ჯერ ინგლისური არმიის რჩეულ ოფიცრებს სულ კუდით ქვა ასროლინეს — 33:14. მერე ზედიზედ ორი ინგლისური კლუბი იმსხვერპლეს, შესაბამისად 33:4 და 44:7. ცოტა ხანში კი მათ გზას ახალზელანდიური გუნდიც გაუყენეს — 28:7.

საბოლოოდ ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვა. ნახევარფინალში ქართველებს მეტოქედ შოტლანდიის ნაკრები ერგო. სამწუხაროდ, სორელის სამწყსოს ძალები აღარ ეყო და სკოტთა ბარიერი ველარ დაძლია. შოტლანდიელებმა მძიმე ბრძოლაში 19:15 დაამარცხეს ჩვენებურები და ფინალისკენ გაიკვლიეს გზა. ბორჯღალოსნებმა კი მესამე ადგილი ყოველგვარი ოფლის ღვრის გარეშე დაიკავეს, ვინაიდან ნახევარფინალებში დამარცხებული გუნდები ავტომატურად ბრინჯაოს მედლების მფლობელებად ცხადდებოდნენ.

ისე, ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამ ტურნირს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. სორელმა „ჰაინეკენის თასის“ გათამაშება 26-28 მაისს ლონდონში გასამართ საშვიდკაცო ტურნირისთვის მოსამზადებლად გამოიყენა. შეიძლება ითქვას, ქართველმა მორაგბეებმა ერთგვარად ივარჯიშეს მნიშვნელოვანი ტურნირის წინ, რომელიც „მსოფლიოს სერიაში“ შედის და მის შედეგს უდიდესი სარეიტინგო ფასი აქვს.

„ჰაინეკენის თასის“ სამ საუკეთესო მორაგბეს შორის ჩვენებური ვასილ აბაშიძეც დაასახელეს. და კიდევ, რაგბის სპეციალისტები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მეორე ვასილის, ოღონდ კაცაძის თამაშის შემხედვარე. ვასილ კაცაძე გია ლაბაძის არყოფნაში საქართველოს ნაკრებს კაპიტნობდა.

**ბაჩო სვანიძე**

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



ჯირო დ იტალია



REUTERS

ვლადიმირ დუმა და ელი რასტელი

# პირველმა ეტაპმა პირველი შეიწირა

**„ჯირო“** რეკორდით დაიწყო. შაბათს ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, პესკარაში გამართული პროლოგი ბელგიელმა რიკ ვერბრიუგემ მოიგო და თანაც სიჩქარის რეკორდიც დაამყარა გზატკეცილებისთვის. მან 7,6 კილომეტრი 58,874 კმ/სთ საშუალო სიჩქარით განვლო, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე დიდბრიტანელი კრის ბორდმანის მიერ 1994 წლის „ტურ დე ფრანსის“ პროლოგზე (7,2 კმ, ლილი) ნაჩვენები შედეგი — 55,152 კმ/სთ.

ინდივიდუალურ რბოლაში ბელგიის ჩემპიონმა მთელი 9 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ დარიო ფრიგოს, რომელმაც ახლახან „რომანდიის ტური“ მოიგო შვეიცარიაში. ფავორიტებიდან ყველამ თითქმის ერთნაირი დრო აჩვენა. ოღონდ ჯილბერტო სიმონიმ სტეფანო გარძელის 3 წამით აჯობა, ფრანჩესკო კასაგრანდეს, მეორე დღის და მთელი „ჯიროს“ უიღბლოს, კი — ოთხით. მარკო პანტანიმ ვერბრიუგესთან 49 წამი დათმო, ბრონქიტის გამო ანტიბიოტიკებზე შემჯდარმა იან ულრიხმა — 39. აღსანიშნავია, რომ ბელგიელს ამინდიც დაეხმარა პირველობაში. მან სხვა ძლიერ ინდივიდუალისტებზე მთელი ორი საათით ადრე განვლო დისტანცია, მერე ქარიც შენელდა და „ონსეს“ იან ჰრუსკამ და აბრაამ ოლანომ, რომლებიც პროლოგის მოსაგებად იყვნენ მომზადებულნი, სამეულში შესვლაც კი ვერ მოახერხეს.

გამარჯვებასთან ერთად რიკ ვერბრიუგემ ლიდერისთვის განკუთვნილი ვარდისფერი მაისურაც ჩაიცვა, რაც 1978 წლის და იოჰან დე მუინკის მერე ვერც ერთ მის თანამემამულეს ვერ მოუხერხებია.

პირველი ეტაპი კვირას გაიმართა და მან ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის რეიტინგით პირველი მრბოლი ფრანჩესკო კასაგრანდე შეიწირა. „ფასა ბორტოლოს“ ლიდერი ჯგუფური სპრინტის დროს წაიქცა და იდაყვიც გაიტეხა. არადა, 30 წლის მრბოლი „ჯიროს“ მოგების ერთ-ერთი ურეალურესი კანდიდატი იყო. მისი ტურნირიდან გამოთიშვა მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ფრიგოს, რომელიც გუნდის ლიდერის გრეგარიდან თავად გადაიქცა ლიდერად და პოდიუმზე ადგილის მოსაპოვებლადაც უნდა იბრძოლოს.

ეტაპი კი მარკო პანტანის იერიშით გამოირჩა. „მერკატონე“ სიმონისა და კიდევ რამდენიმე თავზეხელაღებულთან ერთად შეუტია წვიმიან ამინდში უკანასკნელ 20 კილომეტრზე და პელოტონის პირველი ნაწილიც მათ მთელი 37 წამით ჩამორჩა. ეტაპი ვერბრიუგესთვისაც წარმატებული გამოდგა. თავიდან ჩამორჩენილმა, მაინც შეძლო ლტოლვილთა დაწევა და ვარდისფერი მაისურაც შეინარჩუნა.

წარმატებული იერიში კიეტის თავდაღმართზე დაიწყო და თავიდან მხოლოდ რამდენიმე წამის უპირატესობა მისცა მოწინავეებს, მაგრამ მერე ჰრუსკასა და ოლანოს თავგამოდებამ ეს მცირედი 37 წამად აქცია. საფინიშო სწორზე ეტაპის მოსაგებად ფაქტობრივად მხოლოდ ორი კაცი შეეჯიბრა ერთმანეთს. უფრო იღბლიანი იტალიელი ელია რასტელი გამოდგა, რომელმაც უკრაინელ ვლადიმირ დუმას ბოლო მეტრებზე აჯობა.

**ბაგი გურული**

| პროლოგი<br>პესკარა, 7,6 კმ<br>ინდივიდუალური რბოლა |
|---|
| 1. რიკ ვერბრიუგე (ბელგია, ლოტო) 7წთ, 44წმ |
| 2. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) +9წმ |
| 3. რენე ანდრლე (ჩეხეთი, ონსე) +11 |
| 4. იან ჰრუსკა (ჩეხეთი, ონსე) +13 |
| 5. ანდრეა პერონი (იტალია, ფასა ბორტოლო) +13 |

| პირველი ეტაპი<br>ჯულიანოვა — ფრანკავილა ალ მარე, 202 კმ |
|---|
| 1. ელია რასტელი (იტალია, ლიკიგასი) 5სთ 15წთ 06წმ |
| 2. ვლადიმირ დუმა (უკრაინა, პანარია) |
| 3. გაბრიელე კოლომბო (იტალია, კანტინა ტოლო) |
| 4. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) |
| 5. რიკ ვერბრიუგე (ბელგია, ლოტო) ყველას იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა |
|---|
| 1. რიკ ვერბრიუგე (ბელგია, ლოტო) 5სთ 22წთ 50წმ |
| 2. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) +9 |
| 3. იან ჰრუსკა (ჩეხეთი, ონსე) +13 |
| 4. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +15 |
| 5. გაბრიელე კოლომბო (იტალია, კანტინა ტოლო) +18 |



ყატარის გრან პრი

# სიცხეს მოწყურებულნი

**ექვსი** ოლიმპიური ჩემპიონი პარასკევს ნავთობით მდიდარ და არაბული ფანატიზმით ღარიბ ყატარში ჩავიდა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) „გრან პრის“ მესამე ეტაპზე გამოსასვლელად. დოჰაში ცხელოდა და ეს გარემოება, როგორც კენიელს, დიდად საამოდ დაურჩა ნოა ნგენის, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი სენსაციურად წაართვა თვით სახელოვან მაროკოელ ჰიშამ ელ გურუჯს. ოლიმპიადის შემდეგ ნგენის თითქმის არ ურბენია და ჯან-ღონით სავსე ჩაუძლვა ყატარში თანამემამულეთა მოზრდილ არმიას. კენიელები გრძელ დისტანციებს ლონდონის ნისლსა და ბოსტონის ყინვაში იგებენ, მით უფრო, ჩვეულ სიცხეში მათი მომრევი ვინ უნდა ყოფილიყო და ამიტომ სულ თვითონ შეავსეს ვაჟთა 1500 მეტრისა და 3000 მეტრზე სტიპლჩეიზის პოდიუმები. სხვაგანაც ბლომად პირველი და საპრიზო ადგილები ერგოთ, რაც წერილის სტატისტიკურ ნაწილში მოჩანს, ახლა კი მივყვეთ ნგენის.

მას გამარჯვება უშფოთველად არ მოსვლია. დოჰაში ელ გურუჯმა არ ირბინა, მაგრამ სხვა კენიელებმა ერთობ გამოიდეს თავი და 22 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მხოლოდ ბოლო მეტრებზე გატეხა ისინი. უახლოეს მდევარს ნგენიმ მხოლოდ 0,06 წამი მოუგო, მომდევნოს — 0,10, ხოლო ნარბოლევს ასე თქვა, რბენისას ტემპერატურა ისეთი იყო, თავს სავსებით კომფორტულად ვგრძნობდიო. „ოღონდ — ბრძანა კიდევ ნგენიმ — დღეს ჩემი საუკეთესო შედეგი არ ვუჩვენე. სეზონის კვალდაკვალ კიდევ მოვუმატებ“.

სტიპლჩეიზში ბერნარდ ბარმასაიმ და რუბენ კოსგეიმ კინაღამ დახოცეს ერთმანეთი. ფინიშამდე კარგა ხნით ადრე მათ ათ წამზე მეტით გაუსწრეს უახლოეს მდევარს (ისიც კენიელი იყო) და მერე ქანცგაწყვეტამდე ირბინეს პირველობისთვის, რაც უკეთესად პირველს გამოუვიდა. 3000 მეტრის პოდიუმსაც სრულად კენიური პირი უჩანდა, მაგრამ მეორე ადგილზე ეთიოპელი აბიოტე აბატე ჩაეჩხირა და კენიელებმა იმის წინა და უკანა ადგილები იკმარეს. გამარჯვება კიპკეტერების სამძლეოსნო საგვარეულოს წევრმა, სამუელმა დაინარჩუნა.

იმავდროულად სხვა ოლიმპიური ჩემპიონები მეტ-ნაკლებად წარმატებით ილ-





ნოა ნგენიმ სიდნეიში დაწყებული წარმატებით გააგრძელა

ვწოდნენ. ჰოროსკოპში რა ეწერა, ვერ გეტყვით, მაგრამ კამილა სკოლიმოვსკას საშინელი დღე დაუდგა. პოლონელი შეუროე ქალისგან არანაკლებ 70 მეტრს ელოდნენ, მან კი ულონოდ ნატყორცნი ინსტრუმენტი 60-ს (!) ვერ გადააცილა, რაც ბოლო ადგილის ტოლფასი იყო. გაცეცხლებულ სკოლიმოვსკას კომენტარი არ გაუკეთებია. პირველ ადგილზე პოლონელის ძირითადი კონკურენტი, რუსი ოლგა კუზენკოვა გავიდა, ხოლო მეორე არაქალური დისციპლინა, ბირთვის კვრა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლამაზთვალება ასტრიდ კუმბერნუსმა დიდი ჭაპანწყვეტით მოიგო. მას აქტიურად ექიშპებოდა რუსი სვეტლანა კრიველიოვა და ბოლოს სხვაობამ სულ 2 სანტიმეტრი შეადგინა.

ცხადია, ამგვარ საქმეებს ვაჟებიც აკეთებდნენ. ლიტველმა ვირგილიუს ალეკნამ იოლად დაამტკიცა, რომ სიდნეის ოლიმპიადა შემთხვევით არ მოუგია: ბადრო მიმყოლზე 99 სანტიმეტრით შორს ისროლა, ხოლო მეშუბეთაგან სახელიანი დოჰაში არავინ იყო. ჩეხ იან ჟელეზნის, ფინელ აკი პარვიაინენსა და ბერძენ კონსტანტინოს გაციუდისს ყატარის სიცხით თავი არ შეუწუხებიათ, ჩეხმა და ფინელმა სულაც ფინეთის სიცივე, წვიმა და ქარი არჩიეს.

დიახ, სწორედ ავდარი იყო ფინურ ვანტააში, სადაც „ოქროს შუბის“ ტურნირი შედგა. მას „გრან პრის“ თემასთან კავშირი არა აქვს, მაგრამ მონაწილეთა სახელოვნების გამო ყურადღება ერგება.

ფავორიტი ჟელეზნი იყო, ოლიმპიური ჩემპიონი და ამჟამადაც რიგიან ფორმაში მყოფი, მაგრამ შინაური კედლებისა თუ სხვა რამ მიზეზით ვანტააში პარვიაინენმა იძალა და მერე აღიარა, რომ ამ გამარჯვებამ ფსიქოლოგიურად ბევრი შეჰმატა. ჟელეზნი კი გაკვირვებული იყო. „ვერ გამიგია, დღეს ასეთი სუსტი ტექნიკა რატომ ვუჩვენე — თქვა მან — ფორმაში ვარ და ამინდიც ხელს მარტო მე არ მიშლიდა“... პარვიაინენის შედეგი 84,13 მეტრი იყო, ჟელეზნისა — 82,83.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
|---|
| 200მ: 1. აბდულ აზიზ ზაკარი (განა) 20,49; 2. სტივენ ბაკლენდი (მავრიკეთი) 20,60; 3. ჟოზეფ ბატანგდონი (კამერუნი) 20,81 |
| 800მ: 1. მბულენი მულაუძი (სამხრეთ აფრიკა) 1.45,30; 2. ჰეზეკიელ სეპენგი (სამხრეთ აფრიკა) 1.45,76; 3. ჯოელ მარვა (კენია) 1.46,05 |
| 1 500მ: 1. ნოა ნგენი (კენია) 3.35,17; 2. ენოკ კოეჩი (კენია) 3.35,23; 3. ლაბან როტიჩი (კენია) 3.38,27 |
| 3 000მ: 1. სემი კიპკეტერი (კენია) 7.41,44; 2. აბიოტე აბატე (ეთიოპია) 7.41,92; 3. ტომ ნიარიკი (კენია) 7.42,42 |
| 3 000მ. სტიპლჩეიზი: 1. ბერნარდ ბარმასაი (კენია) 8.08,59; 2. რუბენ კოსგეი (კენია) 8.08,83; 3. სტივენ ჩერონო (კენია) 8.19,43 |
| 110მ. თარჯრბენი: 1. კრის ფილიპსი (აშშ) 13,62; 2. შონ ბოუენსი (სამხრეთ აფრიკა) 13,64; 3. პიტერ კოგლენი (ირლანდია) 13,74 |
| სიგრძეზე ხტომა: 1. ჰუსეინ თაჰერ ალ საბე (საუდის არაბეთი) 8,31; 2. იუნეს მუდრიკი (მაროკო) 8,20; 3. ვიტალი შკურლატოვი (რუსეთი) 8,18 |
| ბადრო: 1. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 66,81; 2. დმიტრი შევჩენკო (რუსეთი) 65,82; 3. ფრანც კრიუგერი (სამხრეთ აფრიკა) 65,67 |
| შუბი: 1. ბრიო გრირი (აშშ) 79,73; 2. ბოორნ ლანგე (გერმანია) 78,99; 3. ერიკს რაგსი (ლატვია) 78,74 |

| ქალები |
|---|
| 200მ: 1. ჯულიეტ კემბელი (იამაიკა) 22,87; 2. მირიამ ლიონი მანი (კამერუნი) 22,89; 3. ჩანდრა სტარაპი (ბაჰამის კუნძულები) 22,99 |
| 800მ: 1. იოლანდა სტეპლოვნიკი (სლოვენია) 2.00,17; 2. ჯონი ლუიზა მაიანი (ტანზანია) 2.00,29; 3. აგნეს სამარია (ნამიბია) 2.01,68 |
| 1 500მ: 1. აბებეჩ ნეგუსი (ეთიოპია) 4.09,73; 2. ბირანე ბირპასა (ეთიოპია) 4.11,17; 3. რენე კალმერი (სამხრეთ აფრიკა) 4.12,21 |
| 400მ. თარჯრბენი: 1. ნატალია ტორშინა (ყაზახეთი) 55,42; 2. იონელ ტირლია (რუმინეთი) 55,96; 3. სანდრა კამინგსგლოვერი (აშშ) 56,72 |
| 3 000მ: 1. ლია მალოტი (კენია) 9.05,64; 2. აილენ ვორკუ (ეთიოპია) 9.06,12; 3. მესერეტ დეფარი (ეთიოპია) 9.07,26 |
| სიმაღლეზე ხტომა: 1. ჰესტრი სტორბეკლუტე (სამხრეთ აფრიკა) 1,96; 2. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) 1,94; 3. მონიკა იაგარ-დინესკუ (რუმინეთი) 1,91 |
| ჭოკით ხტომა: 1. მელისა მიულერი (აშშ) 4,40; 2. მერი სოიერი (აშშ) 4,30; 3. ტატიანა გრიგორიევა (ავსტრალია) 4,30 |
| სამხტომი: 1. ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) 14,35; 2. კრისტინა ნიკოლაუ (რუმინეთი) 14,16; 3. პარასკევი ციამიტა (საბერძნეთი) 14,06 |
| ბირთვი: 1. ასტრიდ კუმბერნუსი (გერმანია) 19,51; 2. სვეტლანა კრიველიოვა (რუსეთი) 19,49; 3. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) 18,88 |
| უროს: 1. ოლგა კუზენკოვა (რუსეთი) 71,57; 2. კატალინ დივაჩი (უნგრეთი) 70,79; 3. ბრონვინ იგლზი (ავსტრალია) 67,79 |

# ელენას ბურთი და მოედანი

მასტერსის სერია
ჰამბურგი (გერმანია)
თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

**მეოთხედფინალი: ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:4, 6:2; ხუან კარლოს ფერერო (8, ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:2, 6:2; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 6:2; ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 6:2**

**ნახევარფინალი: პორტასი — ჰიუიტი 3:6, 7:5, 6:2; ფერერო — კოსტა 6:1, 6:2;**

**ფინალი: პორტასი — ფერერო 4:6, 6:2, 0:6, 7:6 (7:5), 7:5**

ის, რომ ჰამბურგის მასტერსის სერიის ტურნირის ტიტული ესპანელს დარჩებოდა, თავიდანვე ცხადი იყო — ორივე ფინალისტი ამ ქვეყნის წარმომადგენელი გახლდათ. მოულოდნელი ის იყო, რომ ჩემპიონი ალბერტ პორტასი გახდა და არა ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ხუან კარლოს ფერერო.

მეტსახელად „მოსკიტო" ფერეროს კვირამდე ზედიზედ 16 მატჩი მოეგო და მისი მთავარი პრობლემაც სწორედ ეს გამოდგა: ერთიმეორის მიყოლებით ეშტორილის, ბარსელონისა და რომის ტურნირებზე გამარჯვებამ საოცარ თავდაჯერებასთან ერთად 21 წლის ესპანელს დაღლილობა და ბარძაყ-მუცლის ტრავმებიც შეჰმატა.

სულ მთლად ენერგიით სავსე გადამწყვეტი მატჩისთვის არც 27 წლის პორტასი ყოფილა. გარდა იმისა, რომ ძირითად ბადეში კვალიფიკაციის, ესე იგი სამი მეტოქის გავლით მოხვდა, ესპანელს ფინალამდე მაგნუს ნორმანის (5), სებასტიან გროჟანისა (12) და ლეიტონ ჰიუიტის (7) დამარცხებაც გვარიან ოფლის ღვრად დაუჯდა.

შედარებით თანაბარი დასაწყისის შემდეგ, მესამე ხელიდან ფერერომ მტკიცედ ჩაიგდო უპირატესობა ხელში, თავისი მკვლელი ფორჰენდის წყალობით კარგა ხნით გაიჯეჯილა და მეოთხე სეტშიც 3:0 დაწინაურდა. „იმ მომენტში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე ერთი გეიმი მაინც მომეგო. ის ისე თამაშობდა, თავს სრულებით უმწეოდ ვგრძნობდი, მაგრამ ის ერთი გეიმი რომ მოვიგე, კორტზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა" — გაიხსენა მოგვიანებით პორტასმა.

როგორც ეტყობა, ფერეროს საწვავი ავზში ზედ ფინიშის ხაზთან გაუთავდა. გამარჯვების პირას აღმოჩენილმა „მოსკიტომ" მოულოდნელად აურია, ყველაზე შეუფერებელ დროს აურაცხელი ორმაგი შეცდომა დაუშვა და მეოთხე სეტი მეტოქეს ლამის ძალად მოაგებინა.

აქედან მოყოლებული პორტასს ერთადერთ დაბრკოლებად საკუთარი ნერვებიღა დარჩა. ესპანელის საფირმო შემოკლებულებზე ფერეროს უკვე სირბილის თავიც აღარ ჰქონდა, თუმცა კარიერის პირველი ტიტულის და 400 ათასი დოლარის მოპოვების პერსპექტივამ პორტასს ხელები არაერთხელ აუკანკალა. საბოლოოდ მოწყალება ისევ „მოსკიტომ" გაიღო და სამსაათნახევრიან ტანჯვა-წამებას აუტში გაგზავნილი ბექჰენდით დაუსვა წერტილი.

„ამის შემდეგ ჰამბურგი სიცოცხლის ბოლომდე განსაკუთრებული ადგილი იქნება ჩემთვის. ამ სეზონში რაიმე ტურნირის მოგება ამოცანად კი მქონდა დასახული, მაგრამ ამხელა პირველობაზე თუ წარმატებას მივაღწევდი, არ მეგონა, რეალურადაც კი არ მიმაჩნდა — განაცხადა ბედნიერმა გამარჯვებულმა, რომელმაც ფერეროსაც თავისი მიაგო — დღეს კი მოვიგე, მაგრამ ამჟამად თიხნარზე საუკეთესო მოთამაშე სწორედ ის არის და არა მე. უკანა ხაზზე ხუან კარლოსს ვერავინ შეედრება, სწორედ ამიტომ ვცდილობდი შემოკლებულებით მის ბადესთან გატყუებას".

211 ათასის ამარად დარჩენილი „მოსკიტო", საერთო შეხედულებით როლან გაროსის მთავარ ფავორიტად რჩება. საქმე ის არის, ასეთი დაძაბული გრაფიკის შემდეგ პარიზისთვის სულის მოთქმას და გამოჯანმრთელებას თუ მოასწრებს. „ეს-ესაა ექიმი ვნახე და მითხრა, ხვალ (მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე დიუსელდორფში) თამაში არც კი გაბედოო. მუცლის კუნთი მაქვს დაჭიმული, საზარდული სიარულის დროსაც მტკივა და რამდენიმე დღით დასვენება მინდა... სამწუხაროა, რომ აქ ვერ გავიმარჯვე. ზედიზედ ცხრა გეიმის მოგების შემდეგ ნაადრევად დავასკვენი, რომ ტიტული უკვე ჩემი იყო, მოვეშვი, თავდაჯერება დავკარგე და საკადრისადაც დავისაჯე".



REUTERS რომიდან

ელენა დოკიჩმა კარიერის პირველი ტიტული მოიგო

რომი. იტალიის ღია პირველობა.
თიხნარი. საპრიზო 1,2 მილიონი $

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (7, ესპანეთი) 6:3, 6:1; კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) — ფრანჩესკა სკავონე (იტალია) 6:2, 6:3; ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) — პაოლა სუარესი (17, არგენტინა) 6:4, 7:5; ელენა დოკიჩი (14, იუგოსლავია) — ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 6:2, 7:6 (7:5)**

**ნახევარფინალი: მორესმო — ჰინგისი 6:4, 7:6 (7:5); დოკიჩი — მარტინესი 6:3, 6:2**

**ფინალი: დოკიჩი — მორესმო 7:6 (7:3), 6:1**

18 წლის ელენა დოკიჩი მამის, დამირის ლოთობის წყალობით ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე ხშირად ხვდებოდა. რომში, როგორც იქნა, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა: ყოფილი მოკრივე და ტაქსისტი უფროსი დოკიჩი გამოსაფხიზლებლად და პოლიციის უბნის ნაცვლად მშვიდად მოკალათდა ტრიბუნაზე, მისმა ნიჭიერმა ქალიშვილმა კი კორტზე გაიბრწყინა და კარიერის პირველი ტიტული მოიპოვა.

„...ამასთან არცთუ ისე ... ტიტულით ამით დაწყება ძალიან სასიამოვნოა და იმედია, მას მომავალში კიდევ ბევრი მოჰყვება" — როგორც იქნა, დაჯილდოების ცერემონიალზე, მაყურებელმა გაღიმებული იხილა, იანვრიდან იუგოსლავიის მოქალაქეობამიღებული ელენა, რომელსაც, ასეთი მამის გადამკიდეს, სიხარულის საბაბი იშვიათად ეძლევა.

დოკიჩს იმაშიც გაუმართლა რომ წლევანდელი სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელ ამელი მორესმოს გადატვირთული გრაფიკის შემდეგ ფინალში აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. ლესბოსელ ფრანგს წინა დღით მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის დამარცხებამ მთელი შემორჩენილი ძალ-ღონე გამოაცალა.

პირველ სეტში მორესმომ კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე დამარცხების შემდეგ კორტიდან რაც შეიძლება სწრაფად გაღწევის სურვილიღა შემორჩა. მეორე ხელში ფრანგი აშკარად უგულოდ და უყურადღებოდ ირჯებოდა, ბურთებს ხშირ-ხშირად გზავნიდა ბადესა თუ აუტში და მატჩის დასრულებისას დამწუხრების ნაცვლად შვებით უფრო ამოისუნთქა.

„რა თქმა უნდა, წაგება იმედგამაცრუებელია, მაგრამ მატჩის ბოლოს ისეთი დაღლილი ვიყავი, ბრძოლის თავი ნამდვილად აღარ მქონდა. ჩემთვის მთავარი როლან გაროსია, ეს მარცხი კი იქ ჩემს შანსებს არაფერს დააკლებს. ახლა ცოტას დავისვენებ, რათა ორშაბათამდე აღვიდგინო ძალები" — აღნიშნა მორესმომ, რომელიც უახლოესი დღეების გატარებას სამხრეთ საფრანგეთში მდებარე საკუთარ ვილაში აპირებს.

დოკიჩს 178 ათასი დოლარის გარდა გვარიანად საკლასიფიკაციო ქულები ერგო და კლასიფიკაციაში ხუთი საფეხურით წინ, მე-18 ადგილზე წაიწია: „საუკეთესოთა ოცეულში მოხვედრა ჩემი მთავარი მიზანი იყო, ახლა ათეულიც არ არის მაინცდამაინც შორს. ამიერიდან ბევრ ტურნირზე განთესილი ვიქნები და თავიდანვე ძლიერ მეტოქეებთან შებმა აღარ მომიხდება".

თავის მხრივ მორესმო ორშაბათიდან მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი გახდა.

ანტვერპენი (ბელგია)
ბენილუქსის ღია პირველობა
თიხნარი. საპრიზო 170 ათასი $

**ნახევარფინალი: ბარბარა რიტნერი (5, გერმანია) — ანა იზაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:0, 6:2, კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) — ევა ბესი (ინგლისი) 3:6, 6:4, 6:1**

**ფინალი: რიტნერი — კუკალოვა 6:3, 6:2**

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS ჰამბურგიდან

ალბერტ პორტასს გამარჯვების არ სჯერა



**NHL. სტენლის თასი. კონფერენციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)**

# იელმა ისტორია აღარ გაიმეორა

### აღმოსავლეთი

19 მაისი

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 3 |
| პიტსბურგი | 1 |

**პიტსბურგი 0:5 ნიუ ჯერსი (0:1 0:2 0:2)**
**0:1 ელიაში 19 (7), 0:2 რაფალსკი 28 (6), 0:3 სიკორა 36 (8), 0:4 არნოტი 45 (5), 0:5 რაფალსკი 54 (7)**

როგორც ჩანს, პიტსბურგი ფარ-ხმალს ყრის. აშკარად გადაღლილია მარიო ლემიე. მას უკვე აღარ ჰყოფნის ძალა, პარტნიორებს წინ წაუძღვეს. ნირწამხდარია იარომირ იაგრიც, რომლის პიტსბურგიდან წასვლისა და ლემიესთან არცთუ კარგი ურთიერთობის შესახებ დარხეული ხმები სულ უფრო ემსგავსება სიმართლეს. დღესდღეობით ეს ის იაგრია, ლემიეს დაბრუნებამდე დეპრესიაში რომ იყო და კარიერის დასრულებასაც კი აპირებდა. ამ სერიაში მას ერთი ქულაც კი არ მოუგროვებია. ვერც რეგულარულ ჩემპიონატში ესოდენ ნაქები სტრაკა — ლანგი — კოვალიოვის სამეული ირჯება მარჯვედ. ცხადია, ლიდერების უნიათობა მთელ გუნდზე მოქმედებს. „პინგვინებს" აღარ გამოსდით ის ფხიზელი, დაცვაზე აგებული თამაში, თასის პირველ ორ რაუნდში ნაყოფი რომ გამოიღო. თანაც ასეთი ტაქტიკა ხომ მაინაა ეფექტური, როცა გუნდი თამაშის მსვლელობისას იგებს, პიტსბურგმა კი ორ საშინაო შეხვედრაში გოლის გატანა ვერ მოახერხა. არადა, ამჯერად მასპინძლებს ამის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. პირველ პერიოდში ისინი სამჯერ აღმოჩნდნენ რიცხვმრავლობაში, აქედან ორჯერ — ზედიზედ, მაგრამ ამას შედეგი არ მოუტანია. ნიუ ჯერსიმ კი, როგორც კი თავი სამშვიდობოზე დაიგულა, მეტოქე უმალ ზეწოლის ქვეშ მოაქცია და ბრაიან რაფალსკის შორი მანძილიდან დარტყმულ შაიბას პატრიკ ელიაშმა ოსტატურად შეუცვალა მიმართულება. საბოლოო წერტილიც სწორედ რაფალსკიმ და ნიუ ჯერსის პირველმა სამეულმა დასვეს. თავად მცველმა ორი შაიბა შეაგდო, ელიაშ — არნოტ — სიკორას ტრიო კი ხუთივე გოლის გატანისას ყინულზე იმყოფებოდა. ბოლო 7 მატჩში მათ უკვე 14 გოლი და 16 პასი მოუგროვდათ.

ეს პირველი პლეი ოფია, პიტსბურგი ზედიზედ ორჯერ უგოლოდ რომ რჩება. თანაც „პინგვინებს" უკვე 134 წუთია, ვერ გაუტანიათ. ხოლო ნიუჯერსელთა მეკარე მარტინ ბროდომ (ზედიზედ ორი შათაუტი) წლეულს მშრალი მატჩების რაოდენობა ოთხამდე გაზარდა (კარიერაში — 12), რაც საპლეიოფო რეკორდის გამეორება გახლავთ.

„ეს, ალბათ, საუკეთესო გუნდია, რომლის წინააღმდეგაც ოდესმე მითამაშია" — რაღა ეთქმოდა მატჩის შემდეგ მარიო ლემიეს.

### დასავლეთი

18 მაისი

| | |
|---|---|
| კოლორადო | 3 |
| სენტ ლუისი | 1 |

**სენტ ლუისი 3:4 კოლორადო (0:3 2:0 1:0 0:1)**
**0:1 რაინპრეხტი 15 (1), 0:2 საკიკი 16 (8), 0:3 ბურკი 16 (3), 1:3 ტარჯონი 25 (4), 2:3 ტარჯონი 30 (5), 3:3 მაიერსი 41 (2), 3:4 იელი 65 (1)**

ისტორია მეორდება. მეოთხე თამაშში, წინა შეხვედრის დარად, ოვერტაიმი გახდა აუცილებელი. დამატებითი დროის მეხუთე წუთზე კვლავ სახიფათო მომენტი შეიქმნა მასპინძელთა კართან. ისევ კოლორადოს ფორვარდი სტეფან იელი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში და... ეს ისტორია სხვაგვარად დასრულდა. ამჯერად იელიმ მეტოქე არ დაინდო — რობი ბლეიკის ლამაზი გარღვევისა და დარტყმის შემდეგ ფორვარდმა ოსტატურად შეუცვალა შაიბას მიმართულება და პირთამდე სავსე „სევის სენტერი" მეორედ და უკანასკნელად გააოგნა. ახლა კოლორადო 3:1 იგებს და ერთი ნაბიჯიღა აშორებს ფინალამდე. შეგახსენებთ, რომ წინა რაუნდშიც 3:1 უგებდა კოლორადო ლოს ანჯელესს, შემდეგ ორი თამაში წააგო და მხოლოდ მეშვიდე მატჩში მოათავა საქმე.

პირველად სენტლუისელთა ქომაგები პირველი პერიოდის 78-წამიან მონაკვეთში დამწუხრდნენ. დიახ, სწორედ ამდენი დრო დასჭირდათ სტუმრებს, რათა სამშაიბიანი უპირატესობა მოეპოვებინათ. სენტლუისელთა მეკარე რომან ტურეკმა, რომელსაც სასტარტო მესამედი ერთობ ცუდად დაებედა, ზედიზედ სამი გოლი გაუშვა და გუნდი კრახის წინაშე დააყენა. განსაკუთრებით სამარცხვინო მესამე გოლი იყო, რომელიც რეი ბურკმა დაახლოებით 20 მეტრიდან გაუტანა.

მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს თამაშში ინტრიგის შეტანა. 1,5 წუთით სათადარიგოთა სკამზე აღმოჩენილმა ტურეკმა, ეტყობა, დასკვნები გამოიტანა და ამის შემდეგ აღარ შემცდარა. პარტნიორებიც თანდათან გონს მოეგნენ. როგორც იქნა, გამოირჩა პიერ ტარჯონი, რომელიც მანამდე ჩრდილში იყო ამ სერიაში. მისი დუბლის წყალობით „ბლუზმენებმა" მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა, ხოლო მესამე პერიოდის პირველივე წუთზე კვლავ ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა ჯამალ მაიერსმა (გოლი და პასი) იოჰენ ჰეხტის მიერ კარს უკნიდან მიწოდებული პასის შემდეგ ზუსტად კუთხეში გაგზავნა შაიბა.

მასპინძლებმა მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს, ოვერტაიმში კი იღბალმა კოლორადოს გაუღიმა, თუმც ამჯერად სტუმრები გაცილებით უკეთ ირჯებოდნენ. თუ წინა შეხვედრაში გოლების გატანა ჯო საკიკის სამეულმა იტვირთა, ამჯერად სხვებმაც იხეირეს. პირველი გოლი მეოთხე, ჩეკერების ხაზის ანგარიშზეა, გადამწყვეტი კი მეორე სამეულში გადაყვანილმა იელიმ შეაგდო.

„ვერც კი ვიხსენებ, როდის გავიტანე ბოლოს ოვერტაიმში გადამწყვეტი გოლი" — თქვა მატჩის შემდეგ კოლორადოელთა მთავარმა გმირმა იელმა. სხვათა შორის, იგი იმ ექვსი მოთამაშიდან ერთ-ერთია, რომლებმაც 1996 წელს თასი მოიპოვეს.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პარიზში დასრულებულმა ევროპის ძიუდოისტთა 50-ე ჩემპიონატმა ქართველებს სარეკორდო ამბავი გვამცნო. ჩვენებურმა ფალავნებმა ხუთი მედალი მოიპოვეს — ერთი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოსი. სწორედ ეს გახლავთ სარეკორდო: აქამდე არათუ ძიუდოისტებს, არამედ საქართველოს სპორტის არცერთი სახეობის წარმომადგენლებს ერთ ჩემპიონატზე ამდენი მედალი არ აუღიათ.**

ბადრი კეთილაძის ფოტო



დავით მარგოშვილი

გოჩა დოლენჯაშვილის ფოტოები



რამაზ ჩოჩიშვილი



ნესტორ ხერგიანი

# უჩემპიონო ხუთოსნები

**რეკორდი** უფრო ლამაზი იქნებოდა, საქართველოს ერთი ჩემპიონი მაინც რომ ჰყოლოდა. რას იზამ, ამ ჯერზე არ გამოვიდა. ისე, ქართველ ძიუდოისტებს ოქრო გაუძვირდათ — ბოლოს ევროპის ჩემპიონატი ნესტორ ხერგიანმა მოიგო 1998 წელს.

პარიზის ევროპის ჩემპიონატზე ხუთი მედალოსანი ქართველიდან ოთხმა იჭიდავა ნახევარფინალში. ეს ზღუდე ერთადერთმა, 20 წლის დავით მარგოშვილმა (66კგ) დაძლია და თვისტომთა შორის საუკეთესო შედეგსაც მიაღწია. ვერცხლის მედლის გარდა მარგოშვილს ყოჩაღობაში ისიც ჩაეთვლება, რომ მეორე შეხვედრაში თურქ ოლიმპიურ ჩემპიონ ჰუსეინ ოზქანს მოუგო.

ვინ იცის, მერამდენედ გადაეყარნენ ერთმანეთს ივერი ჯიქურაული (100 კგ) და ისრაელელი არიელ ზეევი. ნახევარფინალამდე წმინდა გამარჯვებებით მისული ჯიქურაული ზეევისთან ასევე დამარცხდა, სამაგიეროდ მესამე ადგილისთვის გამართულ დაძაბულ შეხვედრაში მეტად უხერხულ მეტოქეს, გერმანელ ევროპის ექსჩემპიონ დანიელ გიურშნერს აჯობა.

ალექსი დავითაშვილს (მძიმე წონა) წამიერი უყურადღებობა ნახევარფინალის წაგებად დაუჯდა, თუმცა მესამე ადგილისთვის შეხვედრა მან ისევე დამაჯერებლად მოიგო, როგორც ორი წინასწარი და შარშანდელი წარმატება გაიმეორა.

ორი წმინდა გამარჯვებით დაიწყო ასპარეზობა რამაზ ჩოჩიშვილმაც (აბსოლუტური), ხოლო ნახევარფინალში მომავალმა ჩემპიონმა, რუსმა ალექსანდრ მიხაილინმა გადაუღობა გზა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ჩოჩიშვილმა შანსი არ დაუტოვა ბულგარელ გეორგი ტონკოვს. რამაზი მეორედ გახდა ევროპის მესამე პრიზიორი, პირველად — 1996 წელს.

პარიზის ტატამზე ქართველთაგან ყველაზე მეტი — ექვსი შეხვედრა ნესტორ ხერგიანმა (60 კგ) გამართა. ორი მოგების შემდეგ იგი ფრანგმა სირილ სოიერმა შეაჩერა. ხერგიანი სანუგეშო ტურნირში ჩაება, სამი გამარჯვება იზეიმა (ორი წმინდად, ორი — ვაზარით) და ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა.

უმედლოდ დარჩა საქართველოს ნაკრების ყველაზე გამოცდილი და ტიტულოვანი წევრი გიორგი რევაზიშვილი (73 კგ). მან ორ წმინდა მოგებას ორი ასეთივე წაგება მოუნაცვლა და მეცხრე ადგილს დასჯერდა. იგივე შედეგი აქვს დებიუტანტ ზურაბ ზვიადაურსაც (90 კგ), ხოლო ასევე ახალბედა გრიგოლ მამრიკიშვილმა (81 კგ) თითო მოგება-წაგების შემდეგ დაასრულა ასპარეზობა.

ქართველების დარად, ევროპის ჩემპიონატი ოქროს მედლის გარეშე (ვაჟებში) დაასრულეს მასპინძელმა ფრანგებმა. მათ ჩვენებურებივით ხუთი მედალი მოიპოვეს (ორი ვერცხლი, სამი ბრინჯაო). ფრანგ ფინალისტებს შავი დღე დაადგათ: გისლენ ლემერი (100 კგ) არიელ ზეევიმ გაანადგურა, ხოლო სირილ სოიერი (60 კგ) უგებდა ფინალს აზერბაიჯანელ ელჩინ ისმაილოვს, მაგრამ მერე აკრძალული მოძრაობა გააკეთა და მსაჯებმა დისკვალიფიკაცია მისცეს. აღსანიშნავია, რომ 20 წლის ისმაილოვმა ზედიზედ მეორედ მოიგო ევროპის ჩემპიონატი.

სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი ვაჟებიდან პარიზში სამმა იასპარეზა (დავიდ დუიე უკვე საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელია). მედალი ორმა მოიპოვა: ჰოლანდიელმა მარკ ჰუიზინგამ (90 კგ) მეოთხედ დაისაკუთრა უმაღლესი კონტინენტური ტიტული, ხოლო იტალიელი ჯუზეპე მადალონი (73 კგ) ფინალში წმინდად დამარცხდა აქამდე არაფრით გამორჩეულ უკრაინელ გენადი ბილოდიდთან. თურქ ოზქანზე უკვე მოგახსენეთ, მას ჯერ დავით მარგოშვილმა მოუგო, შემდეგ კი ლატვიელმა კოზლოვმა.

სამი მედალი მოიპოვეს სხვა ქვეყნების ნაკრებებში მოასპარეზე ქართველებმა. რუსეთის გუნდის წევრმა თეა დონღუზაშვილმა მძიმეწონოსან ქალთა შორის მეორე ადგილი დაიკავა. ვაჟთა 81 კგ-ის ნახევარფინალში კი ერთმანეთს ლაშა ფიფია (რუსეთი) და ირაკლი უზნაძე (თურქეთი) შეხვდნენ. ეს შერკინება ფიფიამ მოიგო, ოღონდ ჩემპიონობას მაინც ვერ შესწვდა — ფინალში ესტონელმა ალექსეი ბუდოლინმა წმინდად დაამარცხა. უზნაძემ კი მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში წმინდად მოუგო პოლონელ ვოლკოვიჩს და მესამედ დაეუფლა ევროპის ბრინჯაოს.

ქალთა ტურნირზე კი ბელგიელები ბატონობდნენ. მათ სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პარიზში მეშვიდედ გახდნენ ევროპის ჩემპიონები ულა ვერბრუკი (70 კგ) და გელა ვანდეკავეე (63 კგ). არადა, ეს უკანასკნელი ორიოდ წლის წინ ხეიბრობის კანდიდატი იყო — ერთ-ერთი ტურნირზე უხერხულად დაეცა და ხერხემალი მძიმედ დაიზიანა. ფრანგმა და გერმანელმა ქალებმა ორ-ორი ოქრო მოიპოვეს.

## ქართველები ევროპის ჩემპიონატზე

**60კგ. ნესტორ ხერგიანი (მე-3 ადგილი):** იოჰან ჰულტი (შვედეთი) 7:0; ადრიან კულიში (გერმანია) 10:0; სირილ სოიერი (საფრანგეთი) 0:10; ვლადიმირ დეგტიაროვი (რუსეთი) 10:0; იაცეკ ცირანი (პოლონეთი) 7:0; სერგეი ნოვიკოვი (ბელარუსი) 10:0

**66კგ. დავით მარგოშვილი (მე-2 ადგილი):** დენის კოზლოვი (ლატვია) 10:0; ჰუსეინ ოზქანი (თურქეთი) 5:0; მილოსლავ მიალკოვიჩი (იუგოსლავია) 7:0; რენატ მირზალიევი (უკრაინა) 0:10

**73კგ. გიორგი რევაზიშვილი (მე-9 ადგილი):** სერგეი ასტაფიევი (ესტონეთი) 10:0; კონსტანტინ სიმიონოვი (ბელარუსი) 10:0; დანიელ ფერნანდესი (საფრანგეთი) 0:10; მიკლოშ ილიეში (უნგრეთი) 0:10

**81კგ. გრიგოლ მამრიკიშვილი:** ედვინ შტერინგა (ჰოლანდია) 10:0; პეტერ ბევცი (სლოვენია) 0:10

**90კგ. ზურაბ ზვიადაური (მე-9 ადგილი):** არსენ გევორგიანი (სომხეთი) 10:0; მარკ ჰუიზინგა (ჰოლანდია) 0:7; მილან დრაგიჩი (იუგოსლავია) 7:0; დმიტრი ბუდოლინი (ესტონეთი) 0:10

**100კგ. ივერი ჯიქურაული (მე-3 ადგილი):** დამიან პეტეკი (სლოვენია) 10:0; პაველ სიტარსკი (პოლონეთი) 10:0; არიელ ზეევი (ისრაელი) 0:10; დანიელ გიურშნერი (გერმანია) 3:0

**მძიმე წონა. ალექსი დავითაშვილი (მე-3 ადგილი):** ვასილიოს ილიადისი (საბერძნეთი) 10:0; ზოლტან ჩიზმადია (უნგრეთი) 10:0; დენის ბრაიდოტი (იტალია) 0:10; რუსლან შარაპოვი (ბელარუსი) 10:0

**აბსოლუტური. რამაზ ჩოჩიშვილი (მე-3 ადგილი):** ფრანც ბირკფელნერი (ავსტრია) 10:0; იანუშ ვიონაროვიჩი (პოლონეთი) 7:0; ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი) 0:10; გეორგი ტონკოვი (ბულგარეთი) 10:0

REUTERS პარიზიდან



ბელგიელი გელა ვანდეკავეე (თეთრ კიმონოში) მეშვიდედ გახდა ევროპის ჩემპიონი

## ვაჟები

60კგ: 1. ელჩინ ისმაილოვი (აზერბაიჯანი); 2. სირილ სოიერი (საფრანგეთი); 3. სედრიკ ტაიმანსი (ბელგია) და ნესტორ ხერგიანი (საქართველო)

66კგ: 1. რენატ მირზალიევი (უკრაინა); 2. დავით მარგოშვილი (საქართველო); 3. ლარბი ბენბოდაუდი (საფრანგეთი) და იოზეფ კრნაჩი (სლოვაკეთი)

73კგ: 1. გენადი ბილოდიდი (უკრაინა); 2. ჯუზეპე მადალონი (იტალია); 3. დანიელ ფერნანდესი (საფრანგეთი) და ნიკოლაი ბელოკოსოვი (მოლდოვა)

81კგ: 1. ალექსეი ბუდოლინი (ესტონეთი); 2. ლაშა ფიფია (რუსეთი); 3. ირაკლი უზნაძე (თურქეთი) და ოსკარ ფერნანდესი (ესპანეთი)

90კგ: 1. მარკ ჰუიზინგა (ჰოლანდია); 2. რასულ სალიმოვი (აზერბაიჯანი); 3. ფრედერიკ დემონფოკო (საფრანგეთი) და დმიტრი ბუდოლინი (ესტონეთი)

100კგ: 1. არიელ ზეევი (ისრაელი); 2. გისლენ ლემერი (საფრანგეთი); 3. ელკო ვან დერ გეესტი (ჰოლანდია) და ივერი ჯიქურაული (საქართველო)

მძიმე წონა: 1. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი); 2. დენის ბრაიდოტი (იტალია); 3. სელიმ თათაროღლუ (თურქეთი) და ალექსი დავითაშვილი (საქართველო)

აბსოლუტური: 1. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი); 2. დენის ვან დერ გეესტი (ჰოლანდია); 3. რამაზ ჩოჩიშვილი (საქართველო) და ზოლტან ჩიზმადია (უნგრეთი)

## ქალები

48კგ: 1. ფრედერიკ ჟოსინე (საფრანგეთი); 2. ლაურა მოისე (რუმინეთი); 3. ან სიმონსი (ბელგია) და ჯუზეპინა მაკრი (იტალია)

52კგ: 1. ინგე კლემენტი (ბელგია); 2. იზაბელ შმუტცი (შვეიცარია); 3. იოანა დინია (რუმინეთი) და ლეტიცია ტინიოლა (საფრანგეთი)

57კგ: 1. იზაბელ ფერნანდესი (ესპანეთი); 2. დებორა გრავენსტაინი (ჰოლანდია); 3. ბარბარა არელი (საფრანგეთი) და ჩინზია კავაზუტი (იტალია)

63კგ: 1. გელა ვანდეკავეე (ბელგია); 2. კლაუდია ჰაილი (ავსტრია); 3. ილენია სკაპინი (იტალია) და რადკა სტუშაკოვა (ჩეხეთი)

70კგ: 1. ულა ვერბრუკი (ბელგია); 2. სესილია ბლანკო (ესპანეთი); 3. მარიელა სპასეკი (ავსტრია) და ადრიანა დადცი (პოლონეთი)

78კგ: 1. სელინ ლებრუნი (საფრანგეთი); 2. ჰაიდი რაკელსი (ბელგია); 3. კლაუდია ზვირსი (ჰოლანდია) და მიშელ როჯერსი (დიდი ბრიტანეთი)

მძიმე წონა: 1. კატია გერბერი (გერმანია); 2. თეა დონღუზაშვილი (რუსეთი); 3. მარა კოვაჩევიჩი (იუგოსლავია) და მარი-ელიზაბეტ ვეისი (ბელგია)

აბსოლუტური: 1. სანდრა კიოპენი (გერმანია); 2. ან-სოფი მონდიე (საფრანგეთი); 3. კარინა ბრაიანტი (დიდი ბრიტანეთი) და ირინა როდინა (რუსეთი)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაკიტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge